...ლ მარქსის სახ. ს.ს. ... საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან— 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- — სკოპლიეში (სერბია) მოკლეს სამხრეთ - სლავიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.
- — სპარსეთის მთავრობის პასუხი ინგლისის ნოტაზე.
- — სამხრეთ - აფრიკის ზანგ - მუშების პროტესტი.
- — ინგლისელების ოპერაციები შეიხ ფეიზალის წინააღმდეგ.
- — კანტონის სამხედრო ფლოტი დანებდა ლი-ტი-სინს.
- — გერმანიის ლითონის წარმოების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.
- — ჩრდილოეთ ირაქის სოფლებში დაიწყო აჯანყება.
- — ქ. ბრუკლინში პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ნიკარაგუაში ინტერვენციის წინააღმდეგ.

სამშაბათი, 17 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 13 (2056)

23 იანვარს აჭარისტანის ს. ს. რ. ქ. ბათომში
გაიხსნება
სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ.
3. პროექტი ს.ს.რ. მიწის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
4. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი.
5. პროექტი ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
6. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე.

ცაკის წევრებისა და კანდიდატების გამგზავრების დღე და წესი გამოცხადებული დამატებით.

ს.ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

საწარმოო აღზრდის მასსიური სკოლა

ჩვენ აღვადგინეთ დანგრეული მრეწველობა და ამ მხრივ ომის წინანდელ დონეს გადავაცილეთ. ასეთი მიღწევა უმძიმეს პირობებში, რომლებშიც ვიმყოფებით, შესაძლებელი გახდა პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მთელმა მუშათა კლასმა უდიდესი შეგნება, აქტივობა და გმირობა გამოიჩინა შრომის ფრონტზე. ესევე გარემოება სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაშლის საწინდარია.

დღეს ფართედ მოვკიდეთ ხელი მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას და ახალ სამრეწველო მშენებლობას. ხდება არსებული სამრეწველო დარგების გადაკეთება, ვაგებთ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს. და სწორედ ეხლა განსაკუთრებით საჭიროა მუშათა მასსების უფრო აქტიური მონაწილეობა მშენებლობაში. ამ მონაწილეობის მასიურ ფორმას საწარმოო თათბირები წარმოადგენენ.

საწარმოო თათბირებს უკვე რამოდენიმე წლის ისტორია აქვთ ჩვენში. მათი როლი მუშათა საწარმოო აღზრდის და მრეწველობის გაჯანსაღების დარგში მეტად თვალსაჩინოა. ეს როლი შემდეგში აუცილებლად კიდევ მეტად უნდა გაიზარდოს.

ჩვენი მრეწველობის სწრაფი განვითარება ჰგულისხმობს მუშათა მასსების ცხოველ დაინტერესებას სახალხო მეურნეობის საკითხებით, კერძოდ იმ წარმოების საკითხებით, სადაც მუშათა ესა თუ ის ჯგუფი მუშაობს. საწარმოო თათბირების ამოცანაა მასსებში ეს დაინტერესება გააღრმავონ და ახლოს გააცნონ მათ საბჭოთა მრეწველობის და მის ცალკე დარგების მდგომარეობა.

ასეთი გაცნობა მათ საშუალებას მისცემს უფრო საქმიანად ჩაებან წარმოების გაჯანსაღების და რაციონალიზაციის საქმეში. ცხადია, ჩვენს წარმოებას და მათ საქმიანობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს თან. ბევრგან დაუდევრობას და ბოროტმოქმედებასაც აქვს ადგილი, რაც აფერხებს მრეწველობის განვითარებას და ამავე დროს საგრძნობ ნივთიერ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. უარყოფით მხარეებთან ბრძოლაში მუშათა მასსებს და მათ საწარმოო თათბირებს პირდაპირ დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლიათ. საწარმოო თათბირების საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს მუშათა საზოგადოებრიობის სისტემატიური კონტროლი წარმოებაზე. ამ გზით შეიძლება მრავალი ნაკლის აცილება.

საწარმოო თათბირების საქმიანობა ოდნავადაც არ განისაზღვრება სამეურნეო უთავბოლობის და ბოროტმოქმედებათა მხილებით. მათი მოვალეობაა, ნაკლულოვანებათა აღნიშვნასთან ერთად, ხელის შეწყობა წარმოების რაციონალიზაციისათვის. საწარმოო პროცესის გაუმჯობესება, მიზანშეწონილი შინაგანი წესრიგის დაცვა წარმოებაში, ნედლის მასალის თავის დროზე მიწოდება, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის აწევა, მისი თვითღირებულების დაკლება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და მრავალი სხვა შეადგენენ საწარმოო თათბირების მუშაობის შინაარსს.

კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა გამომგონებლობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუშებში არა იშვიათად გამოერევიან ისეთები, რომელთაც ესა თუ ის, ხშირად მეტად სასარგებლო გაუმჯობესება შეაქვთ წარმოების ტეხნიკასა და ორგანიზაციაში. მუშათა გამომგონებლების ამ მუშაობისთვის სათანადო ხელსაყრელ პირობების შექმნა— ეს საჭირობოროტო საკითხია, რომლის გაქრას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირები ამას გვერდს ვერ აუხვევენ.

მაგრამ საწარმოო თათბირების მთელი ეს მუშაობა ამაოდ ჩაივლის, თუ მათ ყოველმხრივად ხელი არ შეუწყვეს სამეურნეო ორგანოებმა. თათბირების მიერ წამოყენებულ წინადადებათა გულდასმით განხილვა და მათი გატარება ცხოვრებაში, თუ ისინი წარმოების გაჯანსაღების საქმეს თუ გინდ ოდნავ წასწევენ წინ, მიუცილებელ წინადადებათა შესახებ დასაბუთებულ განმარტების მიცემა — აი, რა შეადგენს სამეურნეო ორგანოების მოვალეობას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არა ყველგანაა დამაკმაყოფილებელი. აქა-იქ ადგილი აქვს საწარმოო თათბირების და მათი მუშაობისადმი გულგრილ, უყურადღებო დამოკიდებულებას, რაც თათბირების და მუშების ინიციატივას და აქტივობას კლავს. ასეთ მოვლენას გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ და მოუღოთ ბოლო.

საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მათ პერიოდულ თათბირების მოწყობას ერთმანეთისათვის გამოცდილების გასაზიარებლად, მის შესაჯამებლად და შემდგომი საქმიანობის გზების გამოსამუშავებლად. საწარმოო თათბირების რესპუბლიკანურმა თათბირმა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშოს.

ჩვენი მუშათა კლასი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია საბჭოთა მრეწველობის ბედით, მიტომ, რომ ეს მისი მრეწველობაა, რომლის სწრაფი განვითარება საფუძველია პროლეტარიატის დიქტატურის უფრო განმტკიცების, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების, რაც ამავე დროს ნიშნავს მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამიტომ მუშათა მასსები აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი მრეწველობის და ქვეყნის მთელი ეკონომიკის გარდაქმნაში. საჭიროა ამ აქტივობის უფრო გაშლა და ორგანიზაციული ჩამოყალიბება, რაც მუშების კვალიფიკაციას აწევს, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის და დააჩქარებს წარმოების რაციონალიზაციას. ამ მხრივ, ვიმეორებთ, საწარმოო თათბირებს, როგორც მასიურ საწარმოო სკოლას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ და მათი მუშაობის გამოცოცხლებისა და გეგმაშეწონილად დაყენებისათვის როგორც პროფკავშირებმა, ისე სამეურნეო ორგანოებმა უნდა მიიღონ სათანადო ღონისძიებანი.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დასაცავად

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 11-ში გამოქვეყნებულია ცაკის ცირკულიარული წერილი ადგილობრივ ტყეების დაცვის შესახებ. ეს წერილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მთავარი ამოცანა, რომელსაც მიზნათ ისახავდა საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოსახლეობაზე გადაცემის დროს, მდგომარეობდა იმაში, რომ ხელი მოემართა ეკონომიურად ჩამორჩენილ სოფლის მოსახლეობისათვის, გაეძლიერებია საბინაო აღმშენებლობა სოფლად, საშუალება მიეცა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობისათვის, მომარაგებულიყვნენ სამეურნეო იარაღებით და საოჯახო ინვენტარით, რომლისთვისაც მეტწილად საჭიროა ტყის მასალა და სხვა. ამასთან ერთად ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოსახლეობაზე გადაცემა მიზნათ ისახავდა და ისახავს ამ ტყეების დაცვას მტაცებლობისა და განადგურებისაგან. ამ მოსაზრებით ადგილობრივ ტყეების მართვა-გამგეობა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად მინდობილი აქვს თვით მოსახლეობას, რომელიც სარგებლობს აღნიშნული ტყეებით.

რა დაგვანახვა სინამდვილემ? მთავარი მიზანი (სოფლის ეკონომიურად დაქვეითებულ ელემენტებისათვის სამეურნეო დახმარება და ტყეების დაცვა) უთუოდ გამართლდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსახლეობაზე გადაცემით, მაგრამ, როგორც ყოველ ახალ საქმეში, აქაც ადგილი აქვს დეფექტებს, რომელნიც რაც შეიძლება დაუყოვნებლივ უნდა იქნან აღმოფხვრილი.

ტყის მეურნეობა ერთობ რთული საქმეა. ტყის მიზანშეწონილი ექსპლოატაცია არსებითად ნიშნავს ტყის არა მარტო დაცვას უთავბოლო განადგურებისაგან, არამედ მის გაშენება-გაუმჯობესებასაც. სწორედ ეს მთავარი პირობა ვერაა სავსებით დაცული მთელ რიგ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების ექსპლოატაციის საქმეში. ასეთი ტყეები ზოგიერთ მაზრებში დაუზოგველად იჩეხება. არ არის მცოდნე და პასუხისმგებელი პირი, რომელიც სოფელს მისცემს ამ მხრივ სათანადო მითითებებს. ამასთან ერთად მეტად ცუდათაა დაყენებული ტყეების დაცვის საქმე. ამიტომ ტყე ბევრგან იჩეხება, მას იტაცებენ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ფუჭი ოცნება იქნებოდა ტყეების რაციონალურ ექსპლოატაციაზე ლაპარაკი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მიღებულ ცნობების თანახმად ბევრგან ტყის დარაჯებს ხელფასი ნატურით ეძლევათ და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ „ნატურას“ წარმოადგენს ტყე. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა არა მარტო ჩვენი შრომის კოდექსის თვალსაზრისით, არამედ თვით ტყეების დაცვის მოსაზრებითაც. ასეთ მავნე პრაქტიკას ტყეების დაცვის საქმეში ბოლო უნდა მოეღოს.

გარდა ამისა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის მთავარი პრინციპია — უსასყიდლობა. ტყე უფასოდ ეძლევა მოსარგებლეთ. სინამდვილეში კი ზოგჯერ ეს პრინციპი ირღვევა. არის მაგალითები, როცა გლეხს ტყით სარგებლობის ბარათი ეძლევა ფასით და ეს ხდება იმ მიზნით, რომ შექმნილ იქნას ტყის მცველების ხელფასის ფონდი. რა „პატივსადები“ მოსაზრებაც არ უნდა ჰქონდეთ ამ შემთხვევაში მხედველობაში, უნდა სასტიკად აღიკვეთოს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების ფასით გაცემა გლეხობაზე. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ასეთი ტყეებით სარგებლობის პრინციპს და ფასს უკარგავს იმ უაღრესი მნიშვნელობის პრაქტიკულ ღონისძიებას, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს სოფლის ღარიბ მოსახლეობის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის მიზნით.

ის მდგომარეობა, რომელიც დღეს შემჩნეულია ზოგიერთ მაზრებში, ტყეების დაცვის დარგში, პირველ ყოვლისა დიდ ზარალს აყენებს თვით მოსახლეობას. აქ ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, თუ რაოდენ სიძნელეებს და ზოგჯერ უბედურებასაც კი იწვევს ტყის განადგურება ახლო მდებარე მოსახლეობის მეურნეობისათვის.

რას უნდა მიეწეროს ის ნაკლი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი? არა მარტო მატერიალურ უსახსრობას, რასაკვირველია. საზოგადოთ მატერიალური ხელმოკლეობა ის საერთო ბოროტებას წარმოადგენს, რომლითაც ვისაც კი ეს არ დაეზარება შეუძლია ახსნას ყოველივე დეფექტი. სინამდვილეში კი სამეურნეო თუ კულტურულ მუშაობაში არსებულ ბევრ დაბრკოლებათა და სიძნელეთა მიზეზი მარტო მატერიალურ უსახსრობით არ აიხსნება. აქ უთუოდ ადგილი აქვს ჩვენს დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას, მოუქნელობას და საქმის უცოდინარობას. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმეში კი, რომელიც ბევრგან ასე მოიკოჭლებს, უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიზეზთა ამ მეორე კატეგორიას.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმეში ადვილია საზოგადოებრივ ინიციატივის გაშლა. საჭიროა მხოლოდ ამის ირგვლივ მუშაობა. პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები, უმთავრესად სწორედ იქ, სადაც შემჩნეულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაუზოგავი განადგურების შემთხვევა, ან სულ არა ან ძალიან იშვიათად თუ დაინტერესებულან საკითხით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობის ნებაყოფლობით დარაზმვა ტყეების დაცვისათვის. ეს ნაკლი უთუოდ უნდა გამოსწორდეს. არ კმარა ყვირილი უკუღმობაზე, საჭიროა მეტი თვითმოქმედება, მეტი საზოგადოებრივი ინიციატივა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის საქმეში.

ცაკის ცირკულიარული წერილი, რომელიც მიმართულია ყველა მაზრა-ქალაქების აღმასკომებისადმი, უნდა სავსებით და სისწორით შესრულებულ იქნას არა მარტო ადმინისტრატიული წესით, არამედ ამასთან ერთად მოსახლეობის თვითმოქმედების გაფართოებითაც. ხელისუფლება გულგრილად ვერ უცქერის ტყეების განადგურებას. 1928 წლის მარტის დამდეგამდე უნდა მოწყობილ იქნას ტყის დაცვის საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის, რაც ცაკის წერილშია ნათქვამი. აქ კი ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„თუ ამ საკითხის მოუწესრიგებლობა გამოიწვევს გადაცემულ ტყეების განადგურებას, მათ სარგებლობაში გადაცემული ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე ჩამოერთმევათ და გადაირიცხება ისევ სახელმწიფო ფონდში“.

მ. ლ.-ძე.

პროექტი ინგლისის ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ

კომუნისტური მოძრაობა ჩინეთში ფართოვდება—ფინ-იუი-სიანის მოწოდება

უთანხმოება საფრანგეთის რადიკალურ პარტიაში

ინდოეთის რესპუბლიკანელთა კონგრესმა დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ინგლისის საქონელს

ინგლისის მრეწველობის რეორგანიზაციის პროექტი

ლონდონი, 15 იანვარი. ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში, მაკდონალდის მონაწილეობით, მუშავდება ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის ახალი პროექტი.

პროექტი ჯერ-ჯერობით მთლიანად არ განუხილავთ ღია კრებებზე და მის შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ. „ვესტმინისტერ გაზეტ“-ის სპეციალური კორესპონდენტის ცნობით, გეგმა ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციას ითვალისწინებს „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ პრინციპის საფუძველზე და ზოგადათ ეს რეორგანიზაცია შემდეგში გამოიხატება:

სახელმწიფო საკუთრებათ იძენს ქვანახშირის ყველა მაღაროებს. ამ მიზნისათვის საჭირო კაპიტალი 260 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით შეგროვებული იქნება ბონებისა და აქციების გამოშვებით. პროცენტები ამ ბონებაზე, რომელთა რაოდენობაც წლიურად 16 მილ. გირ. სტერლინგითაა განსაზღვრული, პირველი სამი წლის განმავლობაში არ იქნება გადახდილი და მოხმარდება ქვანახშირის მრეწველობის უნიფიკაციას. ამ პერიოდის განმავლობაში მოგებიდან გამოყოფილ უნდა იქნეს კიდევ თანხა 7 მილ. გირ. სტერ. რაოდენობით 7 საათის სამუშაო დღის აღსადგენად. ქვანახშირის გაერთიანებული მრეწველობის მმართველობა გეგმით გადაეცემა კომიტეტს 13 კაცის შემადგენლობით: კომიტეტში შევა 10 საქმიანი წევრი, ერთი მაღაროების ყოფილი პატრონების წარმომადგენელი და ორი — პროფკავშირების წარმომადგენელი; თვითეული წევრის წლიური ჯამაგირი იქნება 100.000 მან. კომიტეტი თავისი მოღვაწეობის ანგარიშს წარუდგენს ბონებისა და აქციების მეპატრონეების კრებას, რომელიც ყოველწლიურად შესდგება, ეს კრება მოწვეული იქნება პარლამენტის შენობაში. კომიტეტის ანგარიშს კრებებზე განიხილავენ საპარლამენტო კამათის წესით. ამოღებული ქვანახშირის განაწილებას გეგმით კონტროლს უწევს მომხმარებელთა საბჭო. შემდეგ ეწყობა საგანგებო კომიტეტი მუშების ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად. გაზეთის ცნობით, მემაღაროეთა ფედერაციას წარმომადგენლობა ეყოლება მხოლოდ ამ კომიტეტში.

„ვესტმინისტერ გაზეტ“-ი, უკეთებს რა კომენტარიებს პროექტს, აღნიშნავს, რომ ეს პროექტი ბევრ რამეში ეთანხმება ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის იმ პროექტებს, რომლებიც წარმოადგინა ლიბერალურმა პარტიამ.

ინგლისი ჰკარგავს პოზიციას იტალიის ქვანახშირის ბაზარზე

ლონდონი, 15 იანვარი. რურის ქვანახშირის სინდიკატსა და იტალიას შორის დადებული ხელშეკრულება გერმანიის ნახშირის წლიურ იმპორტის (იტალიაში) 5-დან 6 მილიონ ტონამდე გადიდების შესახებ ძლიერ აწუხებს ინგლისის მაღაროს პატრონებს, ვინაიდან იტალია აქამდის ინგლისის ნახშირის პირველი მომხმარებელი იყო საფრანგეთის შემდეგ. **1913 წლიდან ინგლისის ნახშირის იმპორტი იტალიაში შემცირდა 2.700.000 ტონით.** ამ ხნის განმავლობაში გერმანიის ნახშირის იმპორტი გაიზარდა 3.700.000 ტონით (ადს).

კომისია საკითხზე „ზედმეტ მემაღაროეთა“ შესახებ

ლონდონი, 15 იანვარი. მთავრობამ შეადგინა სპეციალური კომისია „ზედმეტ მემაღაროეთა“ საკითხის შესასწავლად. კომისიის წევრებად დანიშნული არიან ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **ფიშერი,** ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის თავმჯდომარე **კადმანი** და აგრეთვე მთავრობის მთავარი მრჩეველი მუშათა საკითხებზე, მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღალატე **შეკლტონი.**

კომისიამ მთავრობის მითითებით, უნდა გამოსძებნოს ზომები უმუშევრობის შესამცირებლად მემაღაროეთა შორის, რისთვისაც „უნდა გადაიყვანონ ისინი ქვანახშირის სხვა რაიონებში ან მრეწველობის სხვა დარგებში“ და აგრეთვე ხელი შეუწყოს „დროებით ემიგრაციას“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უმუშევრებს წინადადებას აძლევენ წავიდნენ დომინიონებში და კოლონიებში სეზონურ სამუშაოზე. მთავრობა კი მათ აძლევს ინგლისში დაბრუნების გარანტიას. (ადს)

უთანხმოება საფრანგეთის რადიკალურ პარტიაში

პარიზი, 15 იანვარი. რადიკალურ პარტიის თავმჯდომარის ამხანაგმა **გრანდინიომ** სენის დეპარტამენტის თავმჯდომარის ორგანიზაციის კრებაზე შეიტანა წინადადება, რომ გარიცხვა გამოეცხადოს დეპუტატ-რადიკალებს, რომლებმაც დეპუტატთა პალატაში ხმა მისცეს იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც ადასტურებდა კომუნისტ დეპუტატების ხელშეუხებლობას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ გრანდინიოს წინადადება გადაეცეს განსახილველად რადიკალური პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმს, რომელიც უნდა შესდგეს 18 იანვარს. (ადს).

ინდოეთი ინგლისის წინააღმდეგ

ინდოელ რესპუბლიკანელების კონგრესი მოითხოვს საიმონის კომისიის სრულ ბოიკოტს

ქაბული, 15 იანვარი. ინდოეთის ნაციონალური პრესის ცნობებით, კალკუტაში შემდგარმა რესპუბლიკანელთა კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია საიმონის კომისიის (საპარლამენტო რეფორმების განხორციელების შემმოწმებელი კომისია) სრული ბოიკოტის შესახებ. **კონგრესი წინადადებას იძლევა, რომ კომისიის ჩამოსვლის დღეს გამოცხადდეს ნაციონალური გლოვა. კონგრესი აგრეთვე იძლევა წინადადებას, რომ ყველა იმ ქალაქებში და ადგილებში, რომლებსაც ინახულებს კომისია, მოეწყოს დემონსტრაციები.** დასასრულ კონგრესი მოითხოვს ინგლისის საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადებას.

ბოიკოტს მხარი დაუჭირეს აგრეთვე სრულიად ინდოეთის მუსლიმანთა ლიგამ კალკუტაში და ინდოეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

კომუნისტური მოძრაობა იზრდება

შანხაი, 15 იანვარი. ჩინეთის პრესა აქვეყნებს ცნობას „კომუნისტურ აჯანყებათა შესახებ ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში“. შანხაის გაზეთი „შუნბლო“ აღნიშნავს, რომ ცზიანსუს, ფუცზიანის და ხუბეის პროვინციებში ფართოვდება მუშათა და გლეხთა მოძრაობა.

„სუჩოუში, ცზიანსუს პროვინციის სამხრეთით—სწერს გაზეთი—კომუნისტები ავრცელებდენ ფურცლებს. იქვე მოხდა თავდასხმა პოლიციის ინსპექტორზე. ცზიანსუს პროვინციის სხვა რაიონებში შეუწყვეტლივ ხდება კომუნისტური აჯანყებები. ჩუანჩჟოუში (ფუცზიანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთით) **კომუნისტებმა დაამარცხეს პროვინციის ჯარების ოთხი როტა.** გომინდანის ჩუანჩჟოუს კომიტეტი გაიქცა ამოიში. ხუბეის პროვინციაში კომუნისტურმა რაზმებმა **ლო-ში-შაოს** მეთაურობით დაიკავეს რამოდენიმე სოფელი სიოგანის მახლობლად, 50 კილომეტრის მანძილზე ხანკოუს ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ჰონკონგის გაზეთი „ინდუსტრიელ ენდ კომერშიელ დეილი“ კომპარტიის მუშაობის შესახებ გუანდუნის პროვინციაში შემდეგს იუწყება:

„კომუნისტები ემზადებიან სვატოუს ასაღებად. კომუნისტური აჯანყებები სწარმოებს შაოპინის, ჩუიეიანისა და პუნინის რაიონებში, სვატოუდან დასავლეთით.

პუნინის საქალაქო ხელისუფლების ცნობით, კომუნისტების ბელადები გლეხურ კავშირებთან ერთად აწყობენ საიდუმლო თათბირებს და იძენენ იარაღს. კომუნისტების ბელადები აღიარებენ, რომ მათ განიცადეს დროებითი დამარცხება კანტონში, მაგრამ აცხადებენ, რომ განაგრძობენ მუშაობას შეუსუსტებელი ენერგიით. გაოპში გლეხთა რაზმებმა თავს დაესხნენ პოლიციას“ (ადს).

აჯანყებულ გლეხების მოძრაობა

შანხაი, 15 იანვარი. გონკონგიდან იუწყებიან, რომ პეი-პუში განადგურებულია ხუან-ჩენ-ჩუს და მუ-სი-უნის ჯარები. წითლებმა დაატყვევეს 6.000 კაცი. გამარჯვებულთა ხელში ჩაუვარდათ **16.000 ვინტოვკა. უხანის რაიონში იბრძვიან გლეხების აჯანყებული რაზმები, რომლებთაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.** (ადს).

კანტონის ფლოტილია დანებდა ლი-ტი-სინს

შანხაი, 15 იანვარი. ჰონკონგის გაზეთ „სოუტ ჩაინა მორნინგ პოსტ“-ის ცნობით, **კანტონის პატარა სამხედრო გემების ფლოტილია, რომელიც ჩან გუის ჯარებს უჭერდა მხარს, ლი-ტი-სინს დანებდა.** ფლოტილიის სარდლის თანაშემწე დაპატიმრებულია.

იმავე გაზეთის ცნობით, კანტონის ხელისუფლებამ მოისყიდა ჩრდილოელების ფლოტის შემადგენლობაში შემავალ კრეისერ „ხაიუზ“-ის მეზღვაურები. კრეისერი სამხრეთელების მხარეზე გადავიდა (ადს).

ფინ-იუი-სიანის მოწოდება

პეკინი, 15 იანვარი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, **ფინ-იუი-სიანმა** ჩანჩჟოუში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ისევ ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებლად საჭიროა შენარჩუნებულ იქნას გომინდანი, „როგორც ნაციონალური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი“.

„ყოველივე უბედურება, რასაც ვანიცდის ჩინეთი — ნათქვამია მოწოდებაში, **წარმოსდგება დიდ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ პოლიტიკისაგან ჩინეთის მიმართ. სახალხო არმიები ყოველმხრივ დახმარებას გაუწევენ იმ უცხოელებს, რომლებიც თანაგრძნობით ეპყრობიან ჩინეთს. მაგრამ აგრესიულ იმპერიალისტებს ჩვენ გადაჭრით შევებრძოლებით“.**

ფინ-იუი-სიანი, კერძოდ, უარყოფითად უცქერის კანადელ და სხვა უცხოელ რელიგიურ მისიების მუშაობას ხენანის პროვინციაში.

დასასრულ, ფინ-იუი-სიანი აცხადებს, რომ **„ჩინეთი ეხლავე უნდა შეუდგეს უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვას“.**

„იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით, შანხაის დიპლომატიურ წრეებში ფინ-იუი-სიანის განცხადებას იხილავენ როგორც იმის ცდას, რომ ხელი შეუშალოს ჩან-კაი-შის დაბრუნებას სამხრეთის ძალების მთავარსარდლის თანამდებობაზე.

შანხაიდან მიღებულ კერძო ცნობების მიხედვით, „ფინ-იუი-სიანის გარშემო თავს იყრიან გომინდანის რადიკალური წევრები“. (ადს).

გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად

პეკინი, 15 იანვარი. გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად დუნხუას მაზრაში, გაიგზავნა მუკდენის ჯარების რაზმი 2.000 ჯარისკაცის შემადგენლობით. (ადს).

ჩან-კაი-ში დახმარებას დაეძებს

ტოკიო, 15 იანვარი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, გუან-სის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბაი-ძუნ-ჩი, თანახმაა ითანამშრომლოს ჩან-კაი-შისთან შემდეგი პირობით:

ჩან-კაი-ში გუანდუნის, ხენანის, გუანსის და ხუბეის პროვინციებს სცნობს „გუანსის ჯგუფის ზეგავლენის სპეციალურ სფეროდ“ და არ ერევა ამ „სფეროს“ სამხედრო საქმეებში, რომლებიც მთლიანად მიმართული იქნება ჩრდილოეთ ექსპედიციისათვის დახმარების გაწევისაკენ.

სიჩანის უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფის წარმომადგენლები უკმაყოფილონი არიან ჩან-კაი-შის პოლიტიკით.

ჩინეთის გაზეთების ცნობით, გომინდანის მეოთხე პლენუმი გადადებულია გამოურკვეველ ვადამდე. (ადს).

მუკდენელების დამარცხება

შანხაი, 15 იანვარი. **ენ-სი-შანის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს მუკდენელები ვუდაის მახლობლად (ტაიუანფუდან 150 კილომეტრის დაშორებით).** (ადს).

მოლაპარაკება „მუდმივი ზავის“ შესახებ

საფრანგეთის პასუხი კელოგის ნოტაზე არ არის მზად

პარიზი, 15 იანვარი. წინააღმდეგ წინანდელი ცნობებისა, საფრანგეთის პასუხი კელოგის უკანასკნელ ნოტაზე შედგენილი იქნება მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 17 იანვარს.

დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კელოგის წინადადებამ, რომ მას წინასწარ ეცნობოს ინგლისის, იაპონიის, გერმანიის და იტალიის შეთანხმების ტექსტი, შესაძლებელია საბოლოოდ შეაფერხოს ომის საწინააღმდეგო ფაქტის განხორციელება. რაც შეეხება საფრანგეთის მთავრობას, ის სცდილობს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას და ამიტომ ამ საკითხში ძალიან არ აჩქარდება. (ადს)

საარბიტრაჟო ხელშეკრულების ახალი პროექტები

ბერლინი, 15 იანვარი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, შვეციამ და ნორვეგიამ ერთა ლიგის სამდივნოს წარუდგინეს უშიშროების კომისიაში განსახილველად საყოველთაო ხელშეკრულების პროექტები არბიტრაჟისა და შემარიგებელ პროცედურის შესახებ. პროექტები აგებულია ლოკარნოს პრინციპების მიხედვით. (ადს).

ნოსკე თავის კანდიდატურის შესახებ

ნოსკე უარს არ ამბობს დეპუტატობაზე

ბერლინი, 15 იანვ. „როტე ფანე“-ს მიერ ნოსკეს კანდიდატურის (რეიხსტაგის არჩევნებში) შესახებ გამოქვეყნებულ ცნობების გამო, ნოსკემ „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„ჩემი კანდიდატურა რეიხსტაგში არ არის წამოყენებული; მიუხედავათ ამისა, მე არაერთხელ შემეკითხნენ, თანახმა ვარ თუ არა ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე. **ამაზე მე კატეგორიულად უარი არ გამიცხადებია და არც ვაცხადებ“.** (ადს)

სპარსეთის პასუხი ინგლისის ნოტაზე

თეირანი, 15 იანვარი. „სეტარეე ირან“-ი ათავსებს რეშტის ერთ-ერთი გაზეთის ცნობას იმის შესახებ, რომ სპარსეთის მთავრობამ გაუგზავნა ინგლისის მთავრობას შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა:

1) ამჟამად სპარსეთის მთავრობას არ მიაჩნია შესაძლებლად ვალების მოწესრიგება.

2) სპარსეთის მთავრობას არ მიაჩნია შესაძლებლად საჰაერო მიმოსვლის მოწყობა სამხრეთ სპარსეთზე.

3). სპარსეთს შეუძლია იცნოს ირაქი, მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში.

4) შეიხ ხეიზელისათვის ქონების და თავისუფალი მიმოსვლის უფლების დაბრუნების შესახებ ნოტაში არაფერი არ არის ნათქვამი, ვინაიდან, გაზეთის სიტყვებით, ეს საკითხი სპარსეთის შინაური საქმეა.

გაზეთის ეს ცნობა მთავრობის მიერ დადასტურებული არ არის. (ადს).

შენიშვნა: 1927 წლის ნოემბრის დამდეგს ინგლისის მთავრობამ გადასცა სპარსეთის მთავრობას ნოტა, რომლითაც მოითხოვდა, რომ სპარსეთის მთავრობას მეჯლისისათვის დაემტკიცებინა შეთანხმება იმ ვალის კონსოლიდაციის შესახებ, რომელიც სპარსეთს ინგლისის ჰმართებს; მოითხოვდა ნებართვას, რომ ინგლისის გაეყვანა ბრიტანეთის იმპერიის საჰაერო გზა სპარსეთის ყურის ნავთსადგურების მიმართულებით, ირაქის ცნობას და სპარსეთიდან ირაქში შესვლის აკრძალვის გაუქმებას და აგრეთვე შეიხ ხეიზელის ხუზისტანში დაბრუნების ნებართვას და მისი ქონებრივი უფლებების აღდგენას (ადს).

კოვნოს პოლიციის მუშაობა

კოვნო, 15 იანვარი. ლიტვის გაზეთების ცნობით, პოლიტიკურმა პოლიციამ, თითქოს, კოვნოში აღმოაჩინა კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის წევრთა შორის ადგილობრივი დაწესებულებების მაღალი თანამდებობის პირები ურევია. გაზეთები აცხადებენ, რომ ჯერ-ჯერობით ამ საქმის გამო დაპატიმრებულია 19 კაცი, რომელთაც უნახეს მმხილებელი მიწერ-მოწერა.

გაზეთების სიტყვით—დაპატიმრებულთა შორის არის ებრაელთა ბანკის ბუხჰალტერი **პლახინი,** პროვიზორის თანაშემწე **ბურაკას—სტანკონუსი** და ორი ქალი—**შუნასეს კაიტი და სამარაუს ვიენე** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება ჩრდილოეთ ირაქში

ანგორა, 16 იანვარი. ჩრდილოეთ ირაქის რამოდენიმე სოფელში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც გამოიწვია ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალადობამ გადასახადების აკრეფის დროს. აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილია ინგლისის ჰაეროპლანები. (ადს).

გერმანიის მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 16 იანვარი. ჰალე-მაგდებურ-ანგალტის რაიონში მელითონე მუშათა საზოგადო კრებაზე, სადაც მონაწილეობას იღებდა 50.000 მუშაზე მეტი, მიიღეს რეზოლიუცია სამედიატორო განაჩენის გაუქმების შესახებ, რომელიც ხელფასის გადიდებას ითვალისწინებს.

ჰალეში ლითონის მრეწველობის საწარმოო დაწესებულებათა უმეტეს ნაწილში დღეს უკვე დაიწყო გაფიცვა (ადს).

ყუმბარების დაშენა ჰაეროპლანებიდან ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. მანაგუადან (ნიკარაგუას სატახტო ქალაქია) იუწყებიან, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სარდლობის ჰაეროპლანებიდან ნიკარაგუაში ყუმბარები ჩამოჰყარეს; სანდინოს ჯარებიდან მოკლულია 40 კაცი. კორინტოში მოვიდა 500 მეზღვაური ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებიდან.

კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის საფლავებზე

ბერლინი, 16 იანვარი. კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის დახოცვის წლის თავზე გუშინ სასაფლაოზე ბერლინის მახლობლად, სადაც ისინი დასაფლავებულნი არიან, მოხდა მანიფესტაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა ათასმა ბერლინელმა მუშამ.

მუშათა ბევრმა ორგანიზაციამ ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის საფლავებზე მიიტანეს გვირგვინები. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტმა დეპუტატმა პიკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც წლისთავს შეეხებოდა. (ადს).

საბჭოთა კოოპერატორები ლონდონში

ლონდონი, 16 იანვარი. ლონდონში ჩამოვიდა საბჭოთა კოოპერატიული დელეგაცია „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარის ლიუბიმოვის მეთაურობით, რომელსაც მეგობრულად შეხვდნენ ინგლისის კოოპერატიული მოძრაობის ხელმძღვანელები. დელეგაცია მიიწვიეს შეერთებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბითუმად შესყიდვის ინგლისურ საზოგადოების გამგეობასთან ერთად; სხდომამ დიდის ყურადღებით მოისმინა ლიუბიმოვის მოხსენება და მისი წინადადებით ამოირჩია გამგეობის სპეციალური კომისია იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებმაც უნდა გააფართოვონ საქმიანი კავშირი ბითუმად შესყიდვის ინგლისურ საზოგადოებასა და ცენტროსოიუზს შორის. საბჭოთა კავშირის კოოპერატიული დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა სადილი (ადს).

ნავთის მტაცებელთა ბრძოლა

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. „სტანდარტ ოილის“ კომპანიამ დეტერდინგს უპასუხა (გამოქვეყნებულია) მკაცრი წერილით ნიუ-იორკის გაზეთებში, სადაც „სტანდარტ ოილი“ აცხადებს, რომ მისი სანავთო პოლიტიკა უცვლელია. ნიუ-იორკის გაზეთებმა პასუხი დაბეჭდეს პირველ გვერდზე და სენსაციური სათაურები გაუკეთეს: „სტანდარტ ოილი“ ცეცხლს უშენს „როიალ დეტჩს“, თავის ევროპიულ მეტოქეს მსოფლიო ნავთისათვის ბრძოლაში, „სტანდარტ ოილი“ იცავს თავის უფლებას საბჭოებთან მორიგების შესახებ და საბრძოლველად იწვევს დეტერდინგს“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ფიქრობს, რომ „სტანდარტ ოილის“ კომპანია აიძულა შეტევაზე გადასულიყო ნავთის კომპანიის „ინდოენის“ შუამდგომლობამ, რომელიც მან ახლახან აღძრა პროტექციონური საბაჟო ტარიფის შემოსაღებად საბჭოთა ნავთის ინდოეთში შეზიდვის წინააღმდეგ (ადს).

ინტერვენციის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. ბრუკლინში კომპარტიამ მოაწყო ნავთსადგურების მუშების დემონსტრაცია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის წინააღმდეგ ნიკარაგუაში. ცხენოსანმა პოლიციამ დემონსტრაცია გაჰფანტა; ერთი დემონსტრანტი დაპატიმრებულია (ადს).

ჩრდ.-აღმოსავლეთისაკენ გაფრინდნენ

პრაღა, 16 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „პრასნიცის სამხედრო-საავიაციო სკოლიდან გამორიცხულმა ორმა მოსამსახურემ დღეს დილა ადრიან სძლიეს დარაჯის წინააღმდეგობა, ხელში ჩაიგდეს ერთი ჰაეროპლანი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გაფრინდნენ.

პილსუდსკი ქსენძების წინააღმდეგ

ვარშავა, 16 იანვარი. მთავრობა პოზიცია—პოზიციაზე ართმევს ენდეკებს; უკანასკნელ ხანებში მან ყურადღება მიაქცია ეკლესიასაც, რომელიც „სახალხო დემოკრატიის“ ხელში სერიოზულ იარაღს წარმოადგენს. მთავრობის დავალებით რომში წასული არქიეპისკოპოსი გლონდი ცდილობს, რომ პი მე-XI-მ აუკრძალოს პოლონეთის კათოლიკეთა სამღვდელოებას არჩევნებში საკუთარი კანდიდატების წამოყენება. ამავე დროს ზოგიერთმა პოლონელმა ეპისკოპოსმა უკვე გამოსცა ასეთი აკრძალვის ბრძანება (ადს).

მკვლელობის საბაბი

შანხაი, 16 იანვარი. შანხაის სავაჭრო პალატამ მიიღო გომინდანის, ხუნანისა და ხუბეის პოლიტიკური საბჭოებისაგან დეპეშები, რომლებშიაც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ „ინგლისელი იმპერიალისტები კვლავ ხოცავენ სუცზიანში — ცზიანსუს პროვინციაში— ჩინელებს. გაფიცულთა ძებნის საბაბით, ნათქვამია ერთ დეპეშაში, ინგლისელმა მეზღვაურებმა დაიწყეს თოფების სროლა, რითაც მოკლა და დაიჭრა მრავალი ჩინელი (ადს).

სამხრ.-სლავიის იუსტ. სამინისტ. წარმომ. მოკვლა

ვენა, 15 იანვარი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, სკოპლიეში ბულგარელმა ქალმა [illegible] მოჰკლა სამხრეთ-სლავიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ადგილობრივ მილიციის პრეფექტურასთან, პრელიჩი და შემდეგ თავი მოიკლა. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ პრელიჩი განსაკუთრებით სძულდათ მაკედონიის ავტონომისტებს, რადგან მან აღმოაჩინა მაკედონიის სტუდენტთა ორგანიზაცია და ის აწარმოებდა გამოძიებას ამ საქმეზე, რომლის მონაწილეებს ამ ცოტა ხნის წინად გამოუტანეს საბრალმდებლო განაჩენი.

პრელიჩის მოკვლასთან დაკავშირებით, სამხრეთ-სლავიაში მოელიან სამხედრო და საპოლიციო ღონისძიებების გაძლიერებას.

ომი ნიკარაგუაში

ინგლისელი სანდინოს შტაბში

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. ნიკარაგუადან მიღებულ ცნობით, ამერიკელ ჯარების მიერ გენერალ სანდინოს მთავარი ბანაკის ხელში ჩაგდების დროს მოკლული **როი ჯონტსონი** არის ინგლისელი. ჯონსტონი თარჯიმანად იყო ამერიკის ჯარებში. (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია

ვაშინგტონი, 15 იანვარი. უორკერს პარტის (ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების კომპარტია) ვაშინგტონის ორგანიზაციამ გამართა საპროტესტო დემონსტრაცია ამერიკის თავდასხმის წინააღმდეგ ნიკარაგუაზე. დემონსტრანტებმა დროშით გაიარეს გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობის წინ. (ადს).

სამხრეთ-აფრიკის ზანგი მუშების პროტესტი

ლონდონი, 15 იანვარი. იოჰანესბურგიდან მიღებულ ცნობის თანახმად, სამხრეთ - აფრიკის სამრეწველო მუშების და სავაჭრო მოსამსახურეების კავშირმა, რომელსაც ჰყავს 100.000 წევრი, უმთავრესად ზანგები, გამოაქვეყნა პროტესტი იმის გამო, რომ ის არ იქნა დაშვებული სამხრეთ - აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის შემადგენლობაში (სამხრეთ - აფრიკის პროფკავშირთა კონგრესი ხელმძღვანელობს ევროპიელ ეროვნებათა მუშებს). „ჩვენ,— ნათქვამია პროტესტში, — არ დაუშვებთ, რომ კონგრესი გვეპყრობოდეს, როგორც მათხოვრებს. ჩვენი კავშირის წევრებს უფლება აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა იმ პროფსაბჭოების მუშაობას, რომელშიაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ. (ადს).

ინგლისელ. ოპერაციები შეიხ-ფეიზალის წინააღმდეგ

ლონდონი, 15 იანვარი. „ტაიმს“-ის ბასორელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის სამხედრო მფრინავებმა დაიწყეს დამსჯელი ოპერაციები შეიხ ფეიზალის წინააღმდეგ. ინგლისის სამხედრო საჰაერო რაზმებს ირაქის ყველა კუთხეებიდან თავი მოუყარეს ურშფა, საიდანაც აეროპლანები აწარმოებენ დაზვერვას ფეიზალის რაზმების აღმოსაჩენად. ფეიზალის მთავარ ბანაკში—არტავიაში მფრინავებმა მხოლოდ ქალები და ბავშვები აღმოაჩინეს, ინგლისელები სჯიან ყველა ტომებს, რომლებიც ასე თუ ისე, მხარს უჭერენ ფეიზალს. უარყოფენ ხმებს, რომ ფეიზალი ტყვედ ჩაუვარდა იბნ-საუდს.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 16 იანვარი. 14 იანვარს შესდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის სრულიად საკავშირო სატირაჟო კომისიის საზეიმო სხდომა. საკავშირო მთავრობის სახელით სხდომა გახსნა სრულიად საკავშირო სატირაჟო კომისიის თავმჯდომარემ და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **უხანოვმა,** რომელმაც წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. შემდეგ ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. **ბრიუხანოვმა** გააკეთა მოხსენება სახელმწიფო სესხების მნიშვნელობის შესახებ სოციალისტურ რევოლიუციისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით განაღდებას და გამოსთქვამს იმედს, რომ გლეხობა არა ნაკლები ყურადღებით შეხვდება მთავრობის მოწოდებას საგლეხო სესხის რეალიზაციის შესახებ. ტირაჟის პირველ დღეს გათამაშებულ იქნა 800 ას-ას მანეთიანი მოგება.

საბჭოთა გამოფენაზე თავდასხმის გარშემო

ვინ არის დამნაშავე

მოსკოვი, 16 იანვარი. დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. კამენევამ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ბრიუსელში საბჭოთა გამოფენის დარბევის გამო განუცხადა შემდეგი:

„ჩვენმა განზრახვამ გვეჩვენებინა საზოგადოებისათვის საბჭოთა აღმშენებლობის ათი წელი დიაგრამებს, ფოტოგრაფიულ სურათებსა, პლაკატებსა და მხატვრულ მრეწველობის ნიმუშებში, ძლიერ აალელვა ბურჟუაზიული ქვეყანა. ოფიციალურმა საფრანგეთმა უარი გვითხრა მოგვეწყო ასეთი გამოფენა. ბერლინში ოქტომბრის გამოფენა გრძელდებოდა თვე-ნახევარი და იგი აღნიშნული იქნა ყველა დიდი გაზეთების მიერ. მხოლოდ მარტო „ტეგლიხე რუნდშაუ“ ახასიათებდა გამოფენას, როგორც პროპაგანდის ოსტატურ ნიმუშს, ვინაიდან თვით ამ გაზეთმაც ვერ შესძლო ციფრებისა და დოკუმენტების მჭერმეტყველობის გაბათილება. ბელგიაში გამოფენა გადაიგზავნა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებასთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ. ოქტომბრის გამოფენის მოწყობის წინააღმდეგი არ ყოფილა ოფიციალური ხელისუფლებაც. ბრიუსელში გამოფენა გაგრძელდა 11 დღე. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდასხმა გამოწვეულია, ალბათ, გამოფენის წარმატებით. მე იმედი მაქვს, რომ კულტურული კაცობრიობა არ გაამართლებს და შესაფერ პასუხს გასცემს ფაშისტური ჯგუფის ამ ბარბაროსულ გამოსვლას.

თავდასხმის გამო

მოსკოვი, 16 იანვარი. როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების განყოფილებაში, გამოფენის ყველა ექსპონატები დაზიანებულია. არსებული ცნობების მიხედვით, გამოფენის ორგანიზატორებმა ხელისუფლებას წარუდგინეს სარჩელი დამსხვრეულ და განადგურებულ ექსპონატების ღირებულების რაოდენობით. გამოფენა შესდგებოდა 9 განყოფილებისაგან. თავდამსხმელებმა გაანადგურეს პირველი განყოფილება, პირველ განყოფილებაში იყო ისეთი ექსპონატები, რომელნიც ასურათებდნენ საბჭოთა კავშირის ადმინისტრატიულ და ნაციონალურ დაყოფას და საბჭოთა კავშირის ერების კულტურულ განვითარებას. დარბეულია აგრეთვე მეორე განყოფილება „სახალხო განათლება და კულტურული აღმშენებლობა საბჭოთა კავშირში“.

ამ განყოფილებაში დაზიანდა მხოლოდ თეატრალური მაკეტები და ფარფორი. კუსტარული ნაწარმოების ძვირფასი კოლექციის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მოიპოვება. განსაკუთრებული გამძვინვარებით თავდამსხმელებმა დაარბიეს მეცხრე განყოფილება წითელი არმია. ამ განყოფილებაში ბლომად იყო ექსპონატები, რომელნიც ასურათებდნენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას წითელ არმიაში. დარბეულია აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ-უზრუნველყოფის განყოფილებები. განყოფილებები—მუშათა ყოფა - ცხოვრება, პროფკავშირები, სასოფლო-მეურნეობა, სამრეწველო აღმშენებლობა, საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია, ტრანსპორტი, კავშირი და ავიაცია, საბჭოთა კავშირის საგარეო-საფინანსო ცხოვრება—არ დაზიანებულა. (ადს).

ტროცკისტული ოპოზიციის მუშაობა კომინტერნის წინააღმდეგ

შეიდემანების დამხმარეთა საქმიანობა

(„პრავდა“-ს წერილი)

ქვემოდ დაბეჭდილი ორი დოკ. წარმოადგენს ტროცკისტულ ცენტრის სადირექტივო წერილებს, რომლებიც გადაეგზავნა ტროცკის და კომპანიის საზღვარგარეთელ მომხრეებს. წერილები ააშკარავებს ყველა ბოლშევიკების წინაშე ტროცკისტების საქმიანობას მეხუთმეტე ყრილობის შემდეგ. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც ტროცკისტულმა ოპოზიციამ გააფთრებული იერიშები მიიტანა საკავშირო კომპარტიის და მისი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მან გადააბიჯა ყველა საზღვრებს, იგი დაეშვა შჩერბაკოვშჩინამდე და ანტისაბჭოთა დემონსტრაციების მოწყობამდე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მისი ავანგარდი გადაჭრით გამოვიდნენ ტროცკიზმის წინააღმდეგ და ალიკვეთეს მისი კონტრრევოლიუციონური ბრძოლა. საბჭოთა კავშირში პოლიტიკურად დამარცხებული ტროცკისტული ბელადები ცდილობენ თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, გახრწნან მისი რევოლიუციონური რიგები. დასცენ საბჭოთა კავშირის და საკავშირო კომპარტიის ავტორიტეტი დასავლეთ ევროპის მუშების წრეებში. სადირექტივო წერილებიდან სჩანს, რომ უახლეს ისტორიულ გამოცემის მენშევიკების ეს ყრილობის შემდგომი გზა იძლევა უსაქმოდ დარჩენილ ოპოზიციონურ ბელადების პოლიტიკურ ფსიხოლოგიის სურათს და კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ ადასტურებს გადაგვარებულ ტროცკიზმის იმ ბოლშევიკურ შეფასებას, რომელიც მოგვცა ყრილობამ.

უპირველესი და ყველაზე უფრო აშკარა დასკვნა, რომელსაც გააკეთებს ყველა, ვინც წაიკითხავს ქვემოდ დაბეჭდილ დოკუმენტებს, არის ის, რომ არალეგალური მუშაობა სწარმოებს მთელი ხაზით, ოპოზიციის მრავალ განცხადებების და ფიცის მიუხედავად. ამის შესახებ ცინიკური გულახდილობით ლაპარაკობს ორივე დოკუმენტი. არც ერთი დღით ყრილობის შემდეგ ყოფილ ოპოზიციონერ-ტროცკისტებს არ შეუწყვეტიათ თავისი ბინძური მუშაობა პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ. სწარმოებდა და სწარმოებს ყოველგვარ „დოკუმენტების“ დამზადება, მათი ბეჭდვა, გავრცელება და დაგზავნა უაღრესად ბნელი საშუალებებით (მათ შორის ბურჟუაზიის აგენტების დახმარებითაც!) უთანხმოება საკმაოდ ღრმაა იმისათვის, რომ გაამართლოს მემარცხენე ფრაქციის არსებობა“—ასაბუთებენ წერილები. ტროცკისტული ოპოზიცია უშვებს „დამოუკიდებელ ყოველდღიურ გაზეთს“—„ფრაქციის ორგანოს“, რომელიც სავსეა შხამიანი ცილისწამებით საბჭ. კავშირის წინააღმდეგ. კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმის საწინააღმდეგოდ ოპოზიცია წინადადებას იძლევა წამოყენებულ იქნას „საერთაშორისო მემარცხენე კომუნისტურ ოპოზიციის პლატფორმა“ (შენიშვნა: სხვათა შორის კომინტერნის პროგრამის პროექტს რომელიც მოწონებულია ლენინის მიერ, ტროცკისტები პირდაპირ აცხადებენ ნაციონალურად შემოფარგლულად). ტროცკისტები ემზადებიან პროფინტერნისა და კომინტერნის კონგრესებისათვის.

ეს სადირექტივო წერილები სრულიად უდავოდ ააშკარავებს, რომ ტროცკისტების ყველა „განცხადებები“ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობაზე იყო შეგნებული მენშევიკური სიცრუე, რომლითაც სურდათ ბოლშევიკურ ყრილობის მოტყუება. „ჩვენ განვაცხადეთ და ვაცხადებთ, რომ ვემორჩილებით მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს და ვშლით ჩვენს ფრაქციას“, ფიცულობდენ ოპოზიციონერები თავის უკანასკნელ (მესამე) განცხადებაში მე-15 ყრილობის მიმართ. ეხლა, ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ ყველა გაიგებს, რომ ეს იყო უსინდისო თვალთმაქცობა. კიდევ მეტი, ეს წერილები ამტკიცებს, რომ ის „დათმობებიც“ კი (მაგალითად ფრაქციის დაშლის შესახებ), რომლებზედაც თვალის ასახვევად თანხმდებოდა ყოფილი ოპოზიცია, მოასწავებდა მათ განზრახვით არა „დათმობებს“ მე-15 ყრილობის მიმართ (ტროცკისტებმა წინასწარ გადასწყვიტეს, რომ ანგარიში არ გაეწიათ ყრილობის ნებისყოფისათვის), არამედ „დათმობებს“ კამენევისა და ზინოვიევის მიმართ, რათა რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებიათ ისინი ტროცკისტულ ბანაკში („ეს იყო დათმობები ზინოვიევის და კამენევის მიმართ ზოგიერთ ამხანაგებს ჩვენ საკუთარ წრეში იმედი ჰქონდათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა მთლიანობის შენარჩუნება ზინოვიევისა და კამენევის მიმართ დათმობებზე წასვლით“).

ორივე დოკუმენტი ნათლად მოწმობს ღრმა არევდარევის არსებობას ყოფილი ოპოზიციის წრეებში. კამენევისა და ზინოვიევის ჩამოშორებას ოპოზიციიდან ტროცკისტები შეხვდენ ისეთი აღშფოთებული განგაშით, რომელსაც შეიძლება მეტოქეობა გაუწიოს მხოლოდ შეიდემანის „ფორვერტს“-მა. ბოლშევიკურ ყრილობისათვის დამორჩილების გამო, ტროცკისტები კამენევსა და ზინოვიევს უწოდებენ მოღალატეებს („ზინოვიევისა და კამენევის ღალატი არის ისტორიული ფაქტი“.) ასეთი დახასიათება, რა თქმა უნდა, ერთხელ კიდევ ადასტურებს ბოლშევიკების უფლებას, რომ მუშათა კლასის მოღალატეებად ჩასთვალონ სწორედ ტროცკისტები. ორში ერთი—ან მოღალატენი არიან ისინი, ვინც ემორჩილება საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობას (ასე ფიქრობს, მაგალითად, „ფორვერტს“-ი), ან მოღალატენი არიან ისინი, ვინც არ ემორჩილებიან პროლეტარულ ავანგარდის ყრილობას (ასე ფიქრობენ ბოლშევიკები).

გერმანელ პოლიციელ-რენეგატების მასლოვ-რუტ ფიშერის კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი ვერ აღმოჩნდა სავსებით კმაყოფილი თავისი „რუსი“ ძმებით და მფარველობით. „ფაან დეს კომუნიზმუს“-ის უკანასკნელ ნომრებში ეს ჯგუფი ფარდას ხდის ტროცკისტების „მანევრებს“. ეს ფურცელი უსაყვედურებს ტროცკისტებს, რომ მათ უარი სთქვეს ნამდვილად პროგრამულად ექციათ საკავშირო კომპარტიაში (ბ) არსებული უთანხმოება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მასლოვისტები“ ამხილებენ ტროცკისტებს. სამაგიეროდ, როგორც აშკარად სჩანს წერილებიდან, ტროცკისტები თავის მხრივ ამხილებენ მასლოვისტებს „მერყეობისა და თვალთმაქცობის“ გამო.

ეს ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული საყვედურები, დარიგებები და ლანძღვა-გინება „საერთაშორისო ორგანიზაციაში“, რომელშიც ითვლება ორნახევარი კაცი, რამოდენიმედ კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს არის ახირებული ბრძოლა „ჰეგემონიისათვის“ ცარიელ ადგილზე, თავისებური „ტარაკანების დოღი“. მაგრამ ეს ამასთანავე ერთად ნათლად მოწმობს, რომ არც ერთ ყოფილ ოპოზიციონურ ჯგუფს არ გააჩნია ფეხქვეშ არავითარი პროლეტარული ნიადაგი (ყურადღება მიაქციეთ წერილის აღსარებას ალტონის შესახებ გერმანიაში. აქ მუშებმა მასლოვის მომხრეებს არა ნაკლებ მაგარი სილა გააწნეს, ვიდრე „ავიოპრიბორის“ მუშებმა ტროცკისტებს).

არავითარი პროლეტარული ბაზის ტროცკისტებს არ აღმოაჩნდათ არც საბჭოთა კავშირში, არც მის გარეთ. სამაგიეროდ მათი ერთადერთი საიმედო დასაყრდენი აღმოჩნდენ და არიან არხი მემარჯვენე ანტიპროლეტარული ელემენტები კომინტერნის რენეგატების ბანაკიდან. საბჭოთა კავშირის შიგნით, პარტიის საწინააღმდეგოდ წარმოებულ ბრძოლის დროს, ოპოზიცია სცდილობდა როგორმე აეფარებინა „მემარცხენე“ ნიღაბი. საერთაშორისო ეკრანზე მათ ესეც კი ვერ შესძლეს და მთელი მემარჯვენე სოციალ-ოპორტუნისტული შინაარსი გაშიშვლებული მოსჩანს. „საერთაშორისო მემარცხენე ოპოზიცია“. სინამდვილეში აღმოჩნდა საერთაშორისო მემარჯვენედ. მართლაც—აქ ჩვენ ვხედავთ აშკარა ბლოკს არხიმემარჯვენე, არხირენეგატულ ელემენტებთან საერთაშორისო მუშათა მოძრაობის „ყოფილ ადამიანების“ წრიდან. „ერთადერთი ჯგუფი“, რომელზედაც ტროცკისტები „მტკიცე“ იმედებს ამყარებენ, ეს არის კოიარის, ლორიოს და სხვების აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული ჯგუფი. ტროცკისტებს იმედი აქვთ „მიიმხრონ“ აგრეთვე რენეგატი როსმერი, რომელიც დიდი ხანია გამორიცხულია საერთაშორისო კომუნიზმის რიგებიდან. ისინი „იწვევენ“ ბატონ სუვარინსაც კი, ამ ოპორტუნისტს, რომლის ღვარძლიანი სოციალ-დემოკრატიული სული ერთ ვერსზე უწევს. თურმე ნუ იტყვით, ისიც კი „ნიჭიერი რევოლიუციონერი“ ყოფილა. და ამ კავშირს მემარჯვენეებთან, ამ პოლიტიკურ სიბინძურის „თაიგულს“, რომელსაც სათავეში უდგია ტროცკიზმი, ამაყად უწოდებენ „საერთაშორისო კომუნისტურ მემარცხენე ოპოზიციას“.

აღნიშნულ დოკუმენტების დამახასიათებელ თვისებას, რომელიც პირდაპირ თვალში გეცემათ, წარმოადგენს ის გარემოება, რომ აქ დემონსტრატიულად ამაყობენ ოპოზიციის ტროცკისტული შინაარსით. თურმე ნუ იტყვით ტროცკიზმი ყოფილა ნამდვილი ლენინიზმი. „ეხლა საბოლოოდ უნდა გამოაშკარავდეს შარლატნური ბრძოლა ტროცკიზმთან“—ვკითხულობთ ჩვენ პირველ წერილში. თურმე 1923—24 წელში სწარმოებდა „დანაშაულებრივი და უაზრო ბრძოლა“ ტროცკიზმთან ვინაიდან ეს ბრძოლა სწარმოებდა 1921 წელშიაც, 1925, 1926 და 1927 წლებშიაც, ვინაიდან ეს ბრძოლა სწარმოებდა 1904 წლიდან 1917 წლამდეც, აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს რომ ბოლშევიკური პარტიის მთელ ისტორია შეიცავდა „დანაშაულებრივ და უაზრო ბრძოლას“. ამ დივერსიის აზრი, რა თქმა უნდა, ნათელია. ვინაიდან ბევრი მათგანი, ვინც ტროცკიზმთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას, ჩამოშორდენ ტროცკის, თვალთმაქცობას აზრი დაეკარგა და ტროცკიზმი გამოდის ნიღაბახდილი.

რაზე ემყარებიან მენშევიკი-ტროცკისტები? რისი იმედი აქვთ კიდევ მათ? წერილები ამაზედაც იძლევა პასუხს.

„წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები საკავშირო კომპარტიაში ხელმძღვანელობენ პარტიას და სახელმწიფოს, მაგრამ ისინი იძულებული არიან დაემყარონ მუშათა კლასს და დაუპირდაპირდენ მსოფლიო იმპერიალიზმს. მაგრამ ბურჟუაზიის უფრო მძლავრ შემოტევას შეუძლია შექმნას პარტიაში უფრო გადამჭრელი გადახრა მარცხნივ“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ბურჟუაზია უფრო ძლიერ „შემოუტევს“, ოპოზიცია მოიპოვებს რაღაც წარმატებას—აი როგორი პერსპექტივა ესახება თვალის წინ ახალ მენშევიკებს. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ასეთი გზა (სიძნელეთა გამწვავებისა და ომის იმედი, ბურჟუაზიის გაძლიერებულ შემოტევის იმედი) პირდაპირ გამომდინარეობს „კლემანსისტური“ გადატრიალების თეორიიდან (შეადარეთ აგრეთვე რაკოვსკის სათანადო განცხადებები). ძნელი არაა აგრეთვე იმის დანახვაც, რომ ეს თვალსაზრისი მთლიანად ეთანხმება იმ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისს, რომელიც აგრეთვე ქადაგებს და სხვა და სხვანაირად ამართლებს „ბურჟუაზიის მძლავრ შემოტევას“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ოპოზიციას თავი მოჰქონდა თავისი „მემარცხენეობით“, ეხლა კი აშკარად მისჩანჩალებს კუდში სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ცდილობს „გააკრიტიკოს“ საბჭოთა კავშირი „მარცხნიდან“.

რის ეშინიათ ყველაზე უფრო ტროცკისტულ „ბელადებს“? მათ ეშინიათ, რომ არ დარჩენ მუდმივად „უმწეო სექტად“. ეს მომენტი აიძულებს მათ მცირეოდნად „ფრთხილად“ იყონ ზოგიერთ საკითხებში. ასე, მაგალითად, მათ სცხვენიათ თავის თავს უწოდონ მეორე პარტია (თუმცა საქმით, რასაკვირველია, მეორე პარტიას წარმოადგენენ). თავისი თავის აშკარად გამოცხადება დამოუკიდებელ პარტიად ნიშნავს თავისი „სექტანტური“ არსებობის აშკარად აღიარებას, რაც როგორც წერილებშია ნათქვამი, არავითარი „პრობლემატიური მანდატების“ მიღების იმედსაც კი არ აძლევს ტროცკისტებს.

სწორედ ამ, მხოლოდ ამ თვალსაზრისით („არ უნდათ სექტად დარჩენ“-) ტროცკისტები ვერ ბედავენ ისროლონ „მე-4 ინტერნაციონალის“ ლოზუნგი. სურთ და თანაც ეშინიათ) აფრთხილებენ ამის შესახებ თავის საზღვარგარეთელ მომხრეებს. სწორედ ასევე ეშინიათ რა ყველა ქვეყნების რევოლიუციონური მუშების რისხვისა და დაცინვის. ტროცკისტები აცხადებენ: იმის მიღება, რომ საბჭოთა კავშირში თერმიდორი, არ არის სწორი“ (სხვათა შორის, ორიოდე სტრიქონის შემდეგ ისინი ლაპარაკობენ „ტერმიდორის შემდგომ განვითარებაზე“, ე. ი. ტერმიდორზე, როგორც მომხდარ ფაქტზე), ეშინიათ რა დასავლეთ-ევროპის პროლეტარების აღშფოთებისა, ტროცკისტები მზად არიან „აღიარონ“, რომ „საბჭოთა სახელმწიფო მუშებსა და გლეხებს აძლევს მეტს, ვიდრე მისცემდა ბურჟუაზიული სახელმწიფო საწარმოო ძალთა განვითარების იმავე დონეზე“ (რა ძვირფასი აღიარებაა!). სამაგიეროდ ისინი არსად არ ამბობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი არ არის ბურჟუაზიული სახელმწიფო და ამ მხრივ ისინი თვით ოტტო ბაუერზედაც მემარჯვენენი არიან. კრინტსაც კი არ სძრავენ ისინი სოციალისტურ ელემენტებზე საბჭოთა კავშირის მეურნეობაში და მის ზრდაზე.

ჩვენ, რასაკვირველია, ეჭვი არ გვეპარება, რომ ტროცკისტული კამპანია სრულებითაც არ მოერიდებოდა და საბჭოთა კავშირს აშკარად ბურჟუაზიულ სახელმწიფოს უწოდებდა, რომ მას არ ეშინოდეს იმის, რომ დასავლეთ ევროპის მუშები ისევე უსტვენდენ, როგორც ბატონ მაკდონალდებს უსტვენენ.

„საჭიროა ბრძოლა საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობასთან, ისე რომ საბჭოთა კავშირს არ დაუპირდაპირდეთ“.—ასეთ ხერხს ურჩევენ „ჩვენი“ ტროცკისტები თავის საერთაშორისო მოძმეებს. რატომ არ უნდათ დაპირისპირდეს? იმიტომ ხომ არა, რომ საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურაა? იმიტომ ხომ არა, რომ რევოლიუციონერებმა საბჭოთა კავშირი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაიცვან? სრულებითაც არა! საბჭოთა კავშირი, ფრთხილად უნდა მოექცენ მოსახვევ გზებზე არა მისი ლამაზი თვალებისათვის. მიზეზები უფრო მდაბალი ხასიათისაა. თურმე:

„თუ ოპოზიცია თავის თავს დაუპირისპირებს საბჭოთა კავშირს, როგორც ბურჟუაზიულ (?!) სახელმწიფოს, ხოლო საკავშირო კომპარტიას და კომინტერნს, როგორც წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას, მაშინ ის სექტად გადაიქცევა“.

განა ეს ცინიკური, უფრო სწორ რომ ვსთქვათ, აშკარად თავხედური განცხადება არ არის? მაგრამ აქ განცხადებაში მოისმის ბოლშევიკებისათვის ძალიან კარგად ნაცნობი მოტივები. ბრძოლა საკავშირო კომპარტიას, ისე რომ საბჭოთა კავშირს არ დაუპირდაპირდეთ,—ეს არის ტროცკისტულად გადაკეთებული ძველი კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგი: „საბჭოები უკომუნისტებოდ“.

წერილები—დირექტივები ღირსია იმის, რომ გულდასმით წავიკითხოთ და თვითეულ აბზაცზე დავფიქრდეთ.

მათში მკაფიოდ შეგვიძლია დავინახოთ ტროცკიზმის ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატიული სახე. მათში სააშკარაოზეა გამოტანილი ტროცკიზმის კონტრ-რევოლიუციონური ანტიპროლეტარული ტენდენციები. სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ წარმოთქმული ერთი ორი სიტყვა, რასაკვირველია, ვერავის მოატყუებს. სოციალ დემოკრატიის მეთაურები ამ სიტყვებზე ისევე იხითხითებენ, როგორც ჰილფერდინგები და ველსები ხითხითობენ თავის „მემარცხენეების“ „ცელქობაზე“.

„კაპიტულიანტებთან ულმობლად უნდა გავწყვიტოთ კავშირი“-ო. წერილების ეს სიტყვები მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც იარაღს ჰყრის ბოლშევიკური პარტიის წინაშე. მაგრამ ეს სიტყვები სრულიად სამართლიანია იმათ მიმართ, ვინც ნამდვილად იარაღს ჰყრის მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის წინაშე, ვინც ხელს უწყობს შეიდემანებს, ვინც უერთდება პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გაბოროტებულთა ხროვას, მეშჩანების ბოროტ სისინს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გამო, ვინც ოცნებობს „ბურჟუაზიის მედგარ შეტევაზე“. ასეთ მოღალატეებთან ულმობლად უნდა გავწყვიტოთ კავშირი, ასეთი ვაჟბატონებიდან უნდა გავწმინდოთ პროლეტარული ოჯახი.

დოკუმენტები ოპოზიციის მუშაობის შესახებ

პირველი დოკუმენტი

1) ნათლად უნდა შევიგნოთ, რომ კაპიტულიანტების (ზინოვიევის და კამენევის) ჩამოშორება ოპოზიციიდან საჭიროდ ხდის საერთაშორისო ოპოზიციის ყველა ელემენტების შემოწმებას. საკავშირო კომპარტიის ოპოზიციასთან, თუ კაპიტულიანტებთან? ასე და მხოლოდ ასე უნდა დაისვას საკითხი თვითეული ცალკე ჯგუფის მიმართ ევროპაში, თვითეული ცალკე ოპოზიციონერის მიმართ. კაპიტულიანტებთან ულმობლად უნდა გავწყვიტოთ კავშირი, აშკარად უნდა გავმიჯნოთ მერყევ ელემენტებისაგან და იმათგან, ვინც იმის მოლოდინშია, თუ როგორ წავა საქმე.

2) ზინოვიევის და კამენევის ღალატი ისტორიული ფაქტია. ამ ფაქტიდან გამომდინარე ყველა საჭირო გაკვეთილები ახლავე უნდა გამოვიყენოთ მომავლისათვის.

8) ამ მხრივ მ. რ.—ს (შენიშვნა: „მ რ.“—„მასლოვი“, „რუტ ფიშერი“) მოქმედება საეჭვოდ არის მისაჩნევი. მ. ფაქტიურად ხელს აფარებს ზინოვიევსა და კამენევს, როცა ამტკიცებს, რომ ისინი ცოტა უარესნი არიან სხვებზეო, ესე იგი, ცდილობენ წაშალონ საზღვარი რევოლიუციონერებსა და კაპიტულიანტებს შორის. კაპიტულიანტებისათვის ასეთი ფაქტიური მხარის დაჭერა ცდილობს დაეყრდნოს მარცხენა ფრთის პირველსა და მეორე განცხადებას. ორივე ეს განცხადება შეიცავს ნამდვილად მეტად დიდ კომპრომისს. მაგრამ ეს არის კომპრომისი ზინოვიევისა და კამენევის მიმართ.

ეს იყო გათიშვის თავიდან აცილების უკანასკნელი ცდა (ზოგი ამხანაგები ჩვენს საკუთარ წრეში იმედოვნებდენ, რომ შესაძლებელია მთლიანობის შენარჩუნება, თუ კომპრომისებზე წავალთ ზინოვიევისა და კამენევის მიმართ) და რა წამს გათიშვა მოხდა, ოპოზიციამ,—კაპიტულიანტების წინააღმდეგ დასაპირისპირებლად,—შეიტანა სმილგას, მურალოვის, რაკოვსკის და რადეკის განცხადებანი. რომ ამის შემდეგ არ დავინახოთ განსხვავება ოპოზიციასა და კაპიტულიანტებს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტულიანტებს შეგნებულად ზურგი გაუმაგროთ.

4) ოპოზიციის ხელმძღვანელთა განცხადება კომინტერნის აღმასკომის მიმართ, რომელიც ამასთანავე არის დართული (შენიშვნა: შემოწმებული ცნობების მიხედვით კ. და ზ.—ის არავითარი „განცხადება“ არ არსებობს), აღარავითარ ადგილს არ სტოვებს ეჭვებისა და ყოყმანობისათვის. თუ მ. ამის შემდეგაც ზ—ისა და კ.—ის მახლობლებად ჩაგვთვლის, მაშინ ჩვენ მ.—ს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც შეგნებულ მოწინააღმდეგეს.

5) კომინტერნის აღმასკომისადმი წარდგენილი განცხადება და ამასთან დართული ხელმომწერთა მოკლე ბიოგრაფიები უნდა გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ.

თვითეული ოპოზიციონური ჯგუფის წინაშე უნდა დაისვას საკითხი—ვინ არის მომხრე, ვინ არის წინააღმდეგი. ფარდა უნდა ავხადოთ იმ მასკარადს, რომლის საშუალებით ზოგიერთი ოპოზიციონერები შეეცდებიან „ტროცკიზმთან“ ბრძოლის მომიზეზებით—მიეკედლონ კაპიტულიანტებს.

6) სწორედ ამ ხაზით უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ვედინგის, პფალცის, ზიულის და სხვების მიმართ. (შენიშვნა: ოპოზიციონური რაიონები გერმანიაში).

„ტროცკიზმთან“ ბრძოლის შარლატნობა ახლა საბოლოოდ უნდა გამოვამჟღავნოთ, როგორც ოპორტიუნიზმის (სტალინი) და ცენტრისტული კაპიტულიანტობის (ზინოვიევი) საფარი.

7) ასეთივე საზომით უნდა მივუდგეთ საფრანგეთის ჯგუფებსაც. თუ ტრენი და სუზანა ჟირო რყევაში იქნებიან კაპიტულიანტობასა და ეგრედწოდებულ „ტროცკიზმს“ შორის, მაშინ ისინი საკუთარ ალალ-ბედზე უნდა დავტოვოთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამ ჯგუფთან მხარდამხარ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია სიარული, თუ იგი ნათლად, მკაფიოდ და ულმობელად გაიმიჯნება კაპიტულიანტებისაგან.

8) შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჯგუფი „მიმდინარეობის წინააღმდეგ“ ჩვენთან იქნება (შენიშვნა: ჯგუფი „მიმდინარეობის წინააღმდეგ“ უკიდურესი მემარჯვენე ოპორტუნისტული ოპოზიციონური [illegible] საფრანგეთში—კოიარი, ლორიო და სხვები). თუ ტრენი და ჟირო ჩვენთან იქნებიან, მაშინ ყველა მასალა გაერთიანებამდევე უნდა გადაეცეს ორსავე ჯგუფს. ხოლო თუ ტრენი და ჟირო მერყეობაში იქნებიან „ტროცკიზმთან“ ბრძოლის მომიზეზებით. მაშინ მტკიცედ უნდა ავიღოთ გეზი ჯგუფისაკენ „მიმდინარეობის წინააღმდეგ“, როგორც ჩვენი ნამდვილი თანამოაზრეების ერთად-ერთი ჯგუფისაკენ. ამ შემთხვევაში ტრენ-ჟიროს ჯგუფის ცოცხალი ელემენტები ადრე თუ გვიან ჩვენსკენ წამოვლენ.

9) თუ ტრენ-ჟიროს ჯგუფმა სწორი პოზიცია დაიჭირა, ორივე ჯგუფის შეერთება სასურველია რაც შეიძლება დაჩქარებით. ამასთანავე ჩვენის თვალსაზრისით ლაპარაკიც კი არ შეიძლება 1926 წლის ჯგუფის ცალმხრივ მოთხოვნილებაზე 1923 წლის ჯგუფის მიმართ იმის შესახებ, რომ მან აღიაროს თავისი შეცდომები, როგორც ამას ერთ დროს მოითხოვდენ. ძალიან სასურველია, რომ ჟურნალის („მიმდინარეობის წინააღმდეგ“) მუშაობაში ჩაებათ როსმერი (შენიშვნა: როსმერი არის პარტიიდან გამორიცხული მემარჯვენე, სინდიკალისტური გადახრით).

10) აუცილებელია სწორი დამოკიდებულება მონატის ჯგუფისადმი (შენიშვნა: ეს ჯგუფიც მემარჯვენეა) რევოლიუციონურ ანარქისტ-სინდიკალისტებთან ბლოკი უნდა შევკრათ. პარტიას ისინი ჩამოაშორა დანაშაულებრივმა უაზრო ბრძოლამ „ტროცკიზმის“ წინააღმდეგ (1923—1924 წელი). ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი რიგების გაერთიანება ანარქო-სინდიკალისტებთან, მაგრამ ისინი არიან მოკავშირენი და არა მტრები.

11) ჩვენ ჯერ არ გვინახავს ტრენ-ჟიროს ჟურნალის არც ერთი ნომერი და ამიტომ მის შესახებ არაფერს ვამბობთ. მოაგვარეთ ყველა გამოცემათა სისტემატიურად გამოგზავნის საქმე. ჩვენ არ გვინახავს უკანასკნელი გამოცემები... (სტრიქონი გაურკვეველია. რედ.) თუ ვიმსჯელებთ ბიულეტენის (შენიშვნა: ლაპარაკია სუვარინის—მემარჯვენე რენეგატის ორგანოზე), პირველი ნომრის მიხედვით, მთელ რიგ საკითხებში (განსაკუთრებით ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში) სუვარინმა დაიჭირა სრულიად შემცდარი მემარჯვენე პოზიცია, ინგლისის მუშათა მოძრაობის შეფასება სუვარინის მიერ, ხშირად შემცდარია. სუვარინს აქვს ტენდენცია პოლიტიკის კლასიური ანალიზი შესცვალოს ფსიქოლოგიზმით, მაგრამ იგი არის ნიჭიერი ისტორიკოსი და რევოლიუციონერი. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ მისი გზა შეუთანხმდება ჩვენს გზას, საფრანგეთის მუშათა მოძრაობისათვის სასარგებლოდ.

12) ჩეხო-სლოვაკიის ოპოზიციის მიმართ აუცილებელია მოკლე ხანში მივაღწიოთ გარკვეულობას. აქ უკეთესია გვქონდეს პატარა, მაგრამ შემჭიდროებული ხელმძღვანელი ჯგუფი, ვიდრე ჩამოუყალიბებელი, გარკვეულ სახეობას მოკლებული ბლოკი მემარჯვენე ფრთასთან. რომელიც იქით-აქეთ ქანაობს. თქვენი ცნობა იმის შესახებ, რომ ნ. (შენიშვნა: ალბათ ნეიტარტი), უფრო მეტად ხელმძღვანელობს ანგარიშის, ვიდრე პოლიტიკური მოსაზრებით, (თუ თქვენ არ აჭარბებთ). მოწმობს იმას, რომ ის ჩვენი გზით ვერ ივლის. კავშირის გაწყვეტა ტყუილ-უბრალოდ ვინმესთან, დანაშაული იქნებოდა. მაგრამ კიდევ უფრო მეტი დანაშაული არის ჩავებღაუჭოთ ცალკე პირებს, თუ ეხლა, ზ. და კ.-ს კაპიტულიაციის შემდეგ, ისინი კიდევ დაიწყებენ მერყეობას და ქანაობას.

18) შეიძლება თუ არა მივაღწიოთ იმას, რომ ბელგიის კომპარტიის ცეკამ პარტიისათვის გასაცნობად გამოსცეს ჩვენი მასალები? რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ცეკა გაურკვევლად, ბუფერულად არის განწყობილი. შეიძლება თუ არა მასზე მოვახდინოთ ზეგავლენა ქვემოდან, ქვევით მოვნახოთ დასაყრდენი წერტილი. აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს ბელგიას, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავემყაროთ ბუფერულ ცეკას და უნდა შევეცადოთ საიმედო დასაყრდენი შევქმნათ ქვევით. ასეთივე დავალება უნდა მიეცეს ფრანგ თანამოაზრეებსაც.

14) ჰოლანდიაში წინედ იბეჭდებოდა ჩვენი დოკუმენტები. როგორია საქმის ვითარება ეხლა?

15) დასასრულ, კიდევ ამ საკითხის შესახებ: ერთი თუ ორი პარტია. მ. და რ. ალბათ ფიქრობენ, რომ ჩვენ გათიშვის წინააღმდეგი ვართ საბჭოთა კავშირის სპეციფიური პირობების გამო. ეს არ არის სწორი. ჩვენ ვართ წინააღმდეგი მეორე პარტიისა, მეოთხე კომინტერნისა, ჩვენ ამის შეურიგებელი მოწინააღმდეგეები ვართ, ამასთანავე ამ საკითხში ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო ბოლშევიზმის ინტერესებით. საბჭოთა კავშირის სპეციფიურ პირობებსაც საერთაშორისო თვალსაზრისით ვაფასებთ, საერთაშორისო მუშათა კლასის თვალსაზრისით ოპოზიცია თავისთავს სექტის უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებდა, რომ იგი შემდგარიყო მეოთხე ინტერნაციონალის პოზიციაზე და საწინააღმდეგო პოზიცია დაეჭირა ყველა იმის მიმართ, რაც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან და კომინტერნთან. საქმე ეხება კომინტერნის დაპყრობას.

უთანხმოება საკმაოდ ღრმაა, რომ გამართლებულ იქნას მემარცხენე ფრაქციის არსებობა. მაგრამ ეს ფრაქცია ეხლანდელ პერიოდში არის კომპარტიაზე, ე. ი. პროლეტარულ აქტივებზე ზეგავლენის იარაღი.

მეორე დოკუმენტი

პეტრეს.

1. როგორია ოპოზიციის ძირითადი ამოცანა კომინტერნის სექციებში? კომპარტიის დაპყრობა შიგნიდან. თუ კომუნისტებმა დაიპყრეს გერმანიის დამოუკიდებელი და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უმრავლესობა, მაშინ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოპოზიციას სწორი პოლიტიკის წარმოებით არ შეუძლია ეხლანდელი კომპარტიების პროლეტარული უმრავლესობის დაპყრობა.

2. ოპოზიციის სწორი პოლიტიკა საკუთარი ქვეყნის კომპარტიის მიმართ გულისხმობს სწორ დამოკიდებულებას კომინტერნისა, საკავშირო კომპარტიისა (ბ) და საბჭოთა კავშირისადმი. ჩვენ ნათელი ანგარიში უნდა მი[illegible] ჩვენ თავს, აშკარად გავი[illegible] ეხლანდელი [illegible] მდგომარეობის გარკვეული, ერთი მეორის საწინააღმდეგო თავისებურებანი, და ის, რაც ხდება, არ უნდა მივიღოთ უკვე მომხდარ ფაქტად.

3. გამოსვლა იმ დებულებიდან, რომ საბჭოთა კავშირში მოხდა ტერმიდორი, შემცდარია, ეს ნიშნავს მისი მოხდენის გაადვილებას. კლასობრივ ძალებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ თავისი გადამწყვეტი სიტყვა. საერთაშორისო ოპოზიციის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ საკავშირო კომპარტიის ოპოზიციასთან ერთად შეუშალონ ხელი ტერმიდორის შემდგომ განვითარებას და დაიბრუნონ პროლეტარიატის მიერ დაკარგული პოზიციები.

4. წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები საკავშირო კომპარტიაში ხელმძღვანელობენ პარტიას და სახელმწიფოს, მაგრამ ისინი იძულებული არიან დაემყარონ მუშათა კლასს და დაუპირდაპირდენ მსოფლიო იმპერიალიზმს. ისინი დათმობაზე მიდიან ბურჟუაზიის წინაშე. მაგრამ ბურჟუაზიის უფრო ძლავრ შემოტევას შეუძლია პარტიაში შექმნას უფრო გადამჭრელი გადახრა მარცხნივ. ჯერ არც ერთი პროცესი არ არის დამთავრებული.

5) საბჭოთა კავშირი, ეხლანდელ წვრილ-ბურჟუაზიული ხელმძღვანელობის დროსაც რევოლიუციონურ როლს თამაშობს საერთაშორისო მასშტაბით. საბჭოთა კავშირის არსებობა ყოველთვის იყო ჩინეთის რევოლიუციის მკვებავი წყარო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობამ ჩინეთის რევოლიუცია მიიყვანა დამარცხებამდე. ჩვენ უნდა დავსცხოთ საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობას და ამასთანავე ჩვენი თავი არ უნდა დაუპირდაპიროთ საბჭოთა კავშირს.

6. ეს შეეხება საკავშირო კომპარტიას (ბ), რომელიც სულ უფრო და უფრო ითქვიფება სახელმწიფოში და კომინტერნში. თუ ოპოზიცია თავის თავს დაუპირისპირებს საბჭოთა კავშირს, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, საკავშირო კომპარტიას (ბ) და კომინტერნს, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას, იგი გადაიქცევა სექტად. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის დაპყრობისათვის.

7. ეს ეხლანდელი პერიოდისათვის ნიშნავს: არა მეორე პარტია, არამედ ფრაქცია დარაზმული იმდენად, რომ უზრუნველყოფილი იქნას პარტიაზე სისტემატიური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ზემოთმოყვანილი მოსაზრებანი ისე, როგორც გერმანიის (ალტონის) ცოცხალი გამოცდილება ლაპარაკობს დამოუკიდებელი კანდიდატურის წამოყენების წინააღმდეგ. არ შეიძლება მთელი ხაზის გამრუდება პრობლემატიური მანდატების გულისათვის.

8. შეცდომას წარმოადგენს „მემარცხენე კომუნისტთა კავშირის“ შექმნა. (შენიშვნა: გერმანელ რენეგატების „იდეა“); ოპოზიციის სახელი საკმაოდ პოპულარულია და საერთაშორისო ხასიათი აქვს. „კავშირის“ სახელი არაფერს არ შემატებს მას, მაგრამ შეიძლება გადაიქცეს მეორე პარტიის პსევდონიმად.

მრავალი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შიგნიდან პარტიის დაპყრობისათვის ბრძოლის აუცილებლობის არასაკმაოდ შეგნება ნაკარნახევია იმავე ტენდენციებით, რომელნიც იწვევდა მთლიანი ფრონტისა და პროფკავშირებში მუშაობის პოლიტიკის უარყოფას.

9. დამოუკიდებელი ყოველდღიური გაზეთის საკითხიც იმავე თვალსაზრისით სწყდება: ასეთ გაზეთს, როგორც პარტიაზე სისტემატიური ზეგავლენის მოხდენის იარაღს, და ამასთანავე, მეორე რიგში, უპარტიო მასებზე ზეგავლენის მოხდენის იარაღს, უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს. მაგრამ თუ გაზეთი სწორ ნიადაგზე არ იქნა დაყენებული, მას შეუძლია დააჩქაროს ოპოზიციის მოწყვეტა პარტიული მუშაობისაგან, მისი გადაქცევა სექტად.

10 მასლოვ-რუტ ფიშერის დამოკიდებულება საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციასთან, არსებული ცნობების მიხედვით, წარმოადგენს უფრო „სამანევრო“, ვიდრე პრინციპიალურ დამოკიდებულებას. მასლოვ-რუტ-ფიშერის ძირითადი ამოცანაა დაამცროს ოპოზიციის ავტორიტეტი მთლიანად. ხოლო უახლოესი ამოცანაა არაპირდაპირად დაიცვას კაპიტულიანტები (ზინოვიევი და კამენევი) იმის მტკიცებით, რომ სხვები მათზე უკეთესები არ არიან. ასეთი პოზიცია მასლოვს აძლევს მკაცრი და მოუსყიდავი მოსამართლის სახეს. ნამდვილად კი ეს არის კავშირი კაპიტულიანტებთან.

ჩვენ ტყუილად არ უნდა გავამწვავოთ დამოკიდებულება, მაგრამ სათანადო პასუხი უნდა გავსცეთ იმ მანევრებს და განვმარტოთ მათი ფარული აზრი (ზეპირი ან წერილობითი საშუალებით, და მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით).

11. აუცილებელია ფართოდ გამოქვეყნდეს ოთხის (სმილგა, მურალოვი, რაკოვსკი და რადეკი) განცხადება მე-15 ყრილობაზე და განსაკუთრებით გადასახლებულთა განცხადება კომინტერნის აღმასკომისადმი, ამასთანავე განმარტებულ უნდა იქნას, რომ ეს განცხადება გამომდინარეობს 1928 წლის ოპოზიციის ხელმძღვანელებისაგან სმილგას მიმართებით, რომელიც შეუერთდა ამ ჯგუფს.

12. ბრძოლა ეგრედწოდებულ ტროცკიზმთან, არის ის ანკესი, რომლის საშუალებით სტალინი თავისკენ ეწევა ზინოვიევს, ზინოვიევი კი თავის „მემარცხენეებს“ (საფაროვს და სხვებს). რამდენადაც მასლოვიც ამ ანკესზეა წამოგებული, ის იძულებულია შეაკოხტაოს კაპიტულიანტები იმის მტკიცებით, რომ ისინი ბევრით არ არიან სხვებზე უარესი.

18. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გამოიცეს სხვადასხვა ენებზე წერილი პარტიისადმი, რომელიც ეხება საკითხს „ტროცკიზმის“ შესახებ.

14. ზინოვიევისა და ლაშევიჩის წერილები და განცხადებები „ტროცკიზმის“ შესახებ, რომლებიც ამასთან ერთად იგზავნება (ტროცკის, პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის და სხ. წერილი), ჯერჯერობით არ არის დანიშნული პრესისათვის და ისინი გამოყენებული უნდა იქნეს საინფორმაციოდ.

15. ხასიათოვანი შთაბეჭდილებას ახდენს ფრანგული ორგანო „მიმდინარეობის წინააღმდეგ“ (შენიშვნა: ხსენებული გამოცემა უკიდურესად მემარჯვენეა).

სამწუხაროდ ჩვენ ვღებულობთ მხოლოდ შემთხვევით ნომრებს (1 და 4). ჩვენ არ მიგვაჩნია აგრეთვე საფრანგეთის ოპოზიციის პლატფორმა. რედაქციის წერილები კარგია. ვერ არის სავსებით გასაგები, თუ რატომ ათავსებს რედაქცია შენიშვნას, რომ კისრულობს პასუხისმგებლობას მხოლოდ რედაქციის წერილებისათვის. ფრაქციის ორგანოს უნდა ახასიათებდეს სრული იდეური ერთსულოვნება.

16. ზემოხსენებულ პრინციპიალურ მოსაზრებებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში არსებულ ოპოზიციის შესახებ, საჭიროა რამოდენიმე შენიშვნის გაკეთება წერილის გამო „მათი დაბრუნება, ვინც ნახა“ (№ 4, გვ. 8) და სხვა წერილების გამო, რომლებიც ეხებიან საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას.

პირველი ნომრის მოწინავე წერილში სავსებით სწორად არის ნათქვამი, რომ „ოპორტიუნისტულ პოლიტიკის მხილება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ბურჟუაზიისათვის სამსახურის გაწევას“. მაგრამ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მკითხველს თვითეულ კერძო შემთხვევაში უჩვენოთ ის თვალსაზრისი, რომლითაც ჩვენ ვუდგებით საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობის შეფასებას. კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტებმა ყოველთვის ხაზი უნდა გაუსვან სამ მომენტს: საბჭოთა სახელმწიფო ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობის დროსაც კი აძლევს მუშებს და გლეხებს განუზომლად უფრო მეტს იმაზე, რასაც მისცემდა მათ ბურჟუაზიული სახელმწიფო საწარმოო ძალთა იმავე დონის პირობებში; საბჭოთა კავშირის უდიდეს შინაურ სიძნელეთა მთავარ მიზეზს წარმოადგენს ევროპის პროლეტარიატის არასაკმაო აქტივობა და ევროპის კომპარტიების არასაკმაო ბრძოლის უნარიანობა; ევროპის სოციალ-დემოკრატიას (მენშევიზმს), რომელიც ღვარძლიანად იმეორებს ყოველგვარ ცნობებს, საბჭოთა კავშირის შინაგან სიძნელეთა შესახებ, ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ამ სიძნელეთათვის.

17. პროფინტერნის კონგრესი იხსნება 15 მარტს. ეს საკითხი ეხლავე უნდა დაისვას ყურადღების ცენტრში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ოპოზიციის დელეგატები მოხვდენ კონგრესზე, უნდა მომზადდეს პრინციპიალური თეზისები და პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც დამყარებული იქნება ამა თუ იმ ქვეყნის პროფკავშირთა მოძრაობის გამოცდილებაზე. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი წუთი, ვინაიდან დრო ძლიერ მცირე დარჩა.

18. საჭიროა ეხლავე დაიწყოს მზადება კომინტერნის კონგრესისათვის: საჭიროა ისე მომზადდეს თეზისები დღის წესრიგის ყველა საკითხებზე, რომ ამ თეზისებმა მთლიანად შეადგინოს საერთაშორისო კომუნისტურ მემარცხენე ოპოზიციის პლატფორმა, უნდა გაიმართოს ფართო კამპანია ოპოზიციონერების გამორიცხვის გამო მთელ კომინტერნში და გადასახლებულთა შესახებ საბჭოთა კავშირში; უნდა დაწყებულ იქნას კომინტერნის პროგრამის შემუშავება (ბუხარინის პროგრამა არის კომინტერნის ნაციონალურ სექციის ცუდი პროგრამა, და არა მსოფლიო კომუნისტურ პარტიის პროგრამა).

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 16 იანვარი.

პარტიული ცხოვრება

ლენინის კვირეულისათვის

ა.-კ. ყველა ცენტრალურ. დედა-ქალაქებისა და საოლქო. კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინის კვირეული, რომელიც ტარდება 20-დან 27 იანვრამდე, უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი მასწავლებლის და ბელადის ანდერძის შესრულების თვალსაზრისით.

ამიტომ, იმ მოხსენებებში, რომლებიც გაიმართება ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოებზე კლუბებში, საჭიროა მსმენელებს გაეცნოს ლენინის მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოზე, როგორც პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოზე, პროლეტარიატის კავშირზე გლეხობასთან, სოციალისტურ აღმშენებლობაზე, კოოპერაციაზე, როგორც მთავარ გზაზე სოციალიზმისაკენ, ეროვნულ საკითხზე და სხვ.. საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორ ხორციელდება ეს ანდერძი საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებებში და საბჭოთა კავშირის ცაკის უკანასკნელი სესიის მანიფესტში.

იმ კრებებზე კი, რომლებიც იმართება უშუალოდ წარმოებებსა და დაწესებულებებში, ჩამოთვლილი საკითხები უნდა გაშუქდეს პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით და უნდა დაუკავშირდეს აღნიშნულ წარმოებისა და დაწესებულების მუშაობას, უნდა აღინიშნოს თავისი მიღწევები და ნაკლულოვანებანი შრომის ნაყოფიერების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, საბჭოების დეპუტატების მუშაობის, კოოპერატიულ კომისიების მუშაობის, კულტურულ კავშირის და სხვ. დარგებში.

ამ საკითხების გარშემო მსჯელობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასამ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი შენიშვნები და შეტანილი იქნას ეს შენიშვნები შემდგომი მუშაობის გეგმაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი.

თბილისის კომიტეტში

თათბირი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ

გუშინ ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა თათბირი კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამოცვლის კამპანიის წინასწარი შედეგების განსახილველად.

თათბირს დაესწრენ: პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარეები, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები და რაიკომებისა და თბილისის კომიტეტის მუშაკები.

მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების წინასწარ შედეგების შესახებ გააკეთა ამხ. ხვედელიძემ.

პარტიისა და უმაღლეს პროფორგანოთა დირექტივები,—სთქვა მან,—ჩატარებულ კამპანიის დროს დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მხოლოდ ეს არ შეიძლება ითქვას ვადის შესახებაც. დაწესებული ვადისათვის ჩვენ ვერ შევსძელით დაგვემთავრებია კამპანია. ამის მიზეზი იყო სათანადო მასალების გვიან მიღება ცენტრიდან. მხარეების მოუმზადებლობა და აგრეთვე ის, რომ კამპანიისათვის დადებული იყო ძლიერი მოკლე დრო.

ხელფასის რეფორმა ბევრ ადგილას გატარდა, მაგრამ ზოგ წარმოებაში შეუძლებელი შეიქმნა ზედმეტი ნამუშევრის მთლიანად ჩართვა სატარიფო განაკვეთში. ეს გარემოება უმთავრესად გამოწვეული იყო სამეურნეო ორგანოების მიზეზით. რომლებიც მუშაობის შეჩერების შიშით არ თანხმდებოდენ სატარიფო განაკვეთის გადიდებაზე.

ხელფასის ფონდის საკითხში პროფკავშირები მტკიცედ იდგენ სათანადო ორგანოთა დირექტივების გატარების საფუძველზე. ზოგ სამეურნეო ორგანოს კი ემჩნეოდა ხელფასის ფონდის შემცირებისაკენ მისწრაფება.

სამუშაო ქირის გადიდება, რომელიც მოხდა პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უმთავრესად შეეხო მატერიალურად ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების ხელფასის აწევას.

სადაო საკითხებს, რომლებიც წამოიჭრენ პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებს შორის, უმთავრესად შეადგენდენ შვებულებისა—შაბათის მუშაობის და გასასვლელი დახმარების საკითხები.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო მუშაკები წელს გაცილებით უფრო შეგნებულად შეხვდენ კოლხელშეკრულებათა გამოცვლის კამპანიას.

უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ პარტორგანიზაციები დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ხელშეკრულებათა დადებას და ღირსეულად ხელმძღვანელობდა მას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: მზარეულაშვილმა, ქერანოვმა, გოდაბრელიძემ, ბედელაძემ, ფირალოვმა, ხაცკევიჩმა და სხვ.

თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაავალა სათანადო რეზოლიუციის შედგენა.

კ. სურმუშელი.

კომკავშირში

ს. ა ლ. კ. კ. ქალაქის რაიონის მე-10 კონფერენცია

მეექვსე სხდომა

კვირას, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება კომკ. მონაწილეობის შესახებ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ სახელმწიფო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან გაძლიერებულ ბრძოლის აუცილებლობას.

დასასრულ კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტიული დადგენილებანი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში.

მეშვიდე სხდომა

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. სვანიძის ვრცელი მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მე-15 პარტყრილობის შედეგების შესახებ.

მოხსენების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი მთლიანად იწონებს საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებებს და უერთდება მათ.

კონფერენციის დახურვა

გუშინ, საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხიჩინაიას მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

სულ კონფერენციას დაესწრო გადამწყვეტი ხმით — 141 დელეგატი, სათათბირო ხმით — 15. მათ შორის 70 პროც. მუშები შეადგენდენ. სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ დამტკიცებული იქნა კომისიების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციები.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია ახალი რაიკომი 71 წევრისა და — 13 კანდიდატისაგან. მათ შორის 69 პროცენტამდე მუშებია.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია დელეგატები თბ. სამაზრო - საქალაქო კონფერენციაზე, რითაც დაიხურა სხდომა.

ამხ. სოფიო კუბელ—შატბეროვას ხსოვნას

14 იანვარს ქ. კისლოვოდსკში (ამხ. ლენინის სახელობის სანატორიუმში) გულის სიგანივრით გარდაიცვალა ამხ. სოფიო კუბელ - შატბეროვისა. ვინ იყო ამხ. სოფიო? ის იყო ძველი ბოლშევიკი, რომელმაც ბევრი ტანჯვა - წამება გადაიტანა ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ მისი კომუნისტური რწმენა ვერაფერმა შეარყია. მე მას ვიცნობდი 1905 წლიდან. ვიცნობდი, როგორც საუკეთესო პროპაგანდისტს მუშათა წრეებში. ამხ. სოფიო ხელობით მასწავლებელი იყო და ამიტომ ის რეაქციის დროს წერა - კითხვის უცოდინარ მუშებს ასწავლიდა წერა-კითხვას, და ასეთი მეცადინეობის დროს მუშებს უნერგავდა ზიზღს არსებულ წყობილების წინააღმდეგ. როგორც ადამიანი ამ სიტყვის ბოლშევიკური მნიშვნელობით ის თითით საჩვენებელი იყო. ამ ბოლო დროს ის მსახურებდა ყრუ - მუნჯთა სკოლაში მასწავლებლად, სადაც მას დიდი და დაუფასებელი ღვაწლი აქვს. ადვილია — თქმა: ყრუ-მუნჯთა მასწავლებლობა. მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ მთელი ის საშინელება, რასაც წარმოადგენს მათი სწავლების პროცედურა,—ყრუ-მუნჯთა მასწავლებლობა არის თავისებური სპეციალობა, რაც მეტად მოქმედობს ნერვებზე. ამხ. სოფიოს თაოსნობით მოეწყო ქალაქ თბილისში ყრუ - მუნჯთა საზოგადოება.

ქ. ხ—ძე.

საქ. ალ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ

ოთხშაბათს, 18 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ლენრაიონი) **გაიხსნება**

საქ. ალ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის

მეხუთმეტე სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

თბილისის კომიტეტის მდივანი: სილ. ძე.

საწარმოო თათბირების რესპუბლიკანური კონფერენცია

პირველი სხდომა

ამხ. გ. ყურულიშვილის სიტყვა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საწარმოო თათბირების რესპუბლიკანური პირველი კონფერენცია. კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გ. ყურულიშვილმა.

ამხანაგებო, საწარმოო თათბირების ასეთ ფართო კონფერენციას ვიწვევთ პირველად. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების მუშაობას, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, კონფერენციის შემადგენლობიდან ნათლად სჩანს, რომ დელეგატები დიდი ხანია ჩაბმული არიან წარმოებებში და მათ აინტერესებთ წარმოების კეთილდღეობა, მისი აყვავება - გამაგრება, საწარმოო თათბირებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღების დარგში, მათ ხელი შეუწყვეს იმ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრას, რომელნიც თან სდევდენ ჩვენს მრეწველობას და რომელნიც ხელს უშლიდენ მის განმტკიცებას. მაგრამ საწარმოო თათბირების მუშაობა ამით არ დამთავრებულა. მათ კიდევ საკმაოდ დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. კონფერენციამ ჯამი უნდა გაუკეთოს თათბირების წარსულ მუშაობას და გამოიმუშაოს ღონისძიებები მომავალში ამ მუშაობის გასაცხოველებლად. პროფსაბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ კონფერენცია გამოამჟღავნებს და გააშუქებს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც ხელს უშლიდენ საწარმოო თათბირების მუშაობას.

დღის წესრიგი

ამხ. ყურულიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და ახალი მშენებლობის შესახებ; 2) თანამოხსენება მუშათა გამომგონლების მუშაობის შესახებ; 3) წარმოების რაციონალიზაციის საკითხი; 4) საკონტროლო კომისიების დაარსება წარმოებებში და 5) საწარმოო თათბირების მუშაობა.

პრეზიდიუმი

შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ყურულიშვილი, ავაქოვი, გოდაბრელიძე, ხვედელიძე, ჩიქოვიშვილი, პატარიძე, გუსიევი, პაპოვი, დაგუნავა და ბაღდასაროვი.

რეგლამენტის გამომუშავების შემდეგ პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ავაქოვმა.

ამხ. ავაქოვის მოხსენება

ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის განვითარება საგრძნობლადაა დამოკიდებული საწარმოო თათბირების სწორ, მიზანშეწონილ მუშაობაზე. არ შეიძლება მრეწველობა განვავითაროთ, თუ მუშათა ფართო მასები არ იქნებიან ჩაბმული ამ საქმეში. ყოველი დარგის მუშაობას უეჭველად თან სდევს ნაკლულოვანებანი. ნაკლულოვანებებს, რა თქმა უნდა ადგილი აქვს სახალხო მეურნეობის მშენებლობაშიც. ვის შეუძლია შეამჩნიოს ეს ნაკლოვანებანი, ვის შეუძლია გამოასწოროს ისინი? აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა ფართო მასას, რომელიც საწარმოო თათბირების სახით ჩაბმულია წარმოების გაჯანსაღების საქმეში. ასეთია საწარმოო თათბირების მნიშვნელობა და მოვალეობა. ამიტომ საწარმოო თათბირები გაცნობილი უნდა იყვნენ არამც თუ მარტო იმ წარმოების საქმიანობას და მდგომარეობას, რომელშიც მუშაობენ ისინი, არამედ საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობასაც. ამ მიზნით მე გაგაცნობთ ჩვენი მეურნეობისა და ახალი მრეწველობის მდგომარეობას.

საქართველო ცნობილია ბუნებრივი სიმდიდრით. ჩვენში ბევრია რკინა, სპილენძი და სხვა ისეთი მასალა, რომელიც საჭიროა მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ამ სიმდიდრის გადასამუშავებელი საშუალებანი. ამიტომ ჩვენი უახლოესი ამოცანაა შევქმნათ ისეთი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს წარმოებას საწარმოო იარაღებით და მანქანებით.

რა მდგომარეობაშია ჩვენი ახალი მშენებლობა? ამჟამად შენდება სულ 21 საწარმოო ერთეული. ამათში პირველი ადგილი უჭირავს თბილისის მაუდის ფაბრიკას, რომელიც ჯდება 5 მილიონი და ოთხას ათასი მანეთი.

რაც შეეხება გამოცდილ მუშა-ხელს, ასეთი ჩვენ არ მოგვეპოვება. ამიტომ რუსეთის სხვადასხვა ფაბრიკებში გავგზავნეთ 55 მუშა, რომლებიც შეისწავლიან საფეიქრო საქმეს. ახლო მომავალში გავგზავნით მოწაფეების მეორე ჯგუფსაც.

შენდება აგრეთვე კასპში ცემენტის ქარხანა. რომელიც ჯდება 5 მილიონი მანეთი. მეაბრეშუმეობაშიც დიდი მიღწევები გვაქვს. წინათ ჩვენი პარკი სხვაგან მიდიოდა დასამუშავებლად. ეხლა ვაშენებთ აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებს, რათა პარკი დამუშავებული იქნეს ადგილობრივადვე. ჩვენ უკვე ავაშენეთ აბრეშუმის სახვევი სამი ფაბრიკა, ასეთივე ფაბრიკებს ვაშენებთ ხონში, ქუთაისში, ოზურგეთში და სენაკის რაიონში.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის საამშენებლო პროგრამაში შეტანილი გვაქვს აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის აშენებაც. ერთი ასეთი ფაბრიკა არსებობს თბილისში, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭიროა აშენდეს უფრო დიდი ფაბრიკა.

მაგრამ ამ მშენებლობაში ბევრი ნაკლი გვაქვს. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბნი ვართ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებით. გარდა ამისა, ჩვენი ინჟინერები არ არიან შეჩვეული დიდ წარმოებების გეგმების შედგენას და მათ აშენებას. საქართველოში არც ერთი დიდი წარმოების პროექტი არ შემდგარა. ყველა გეგმები შედგენილია რუსეთში. ამიტომ არის, რომ ჩვენი მშენებლობა მძიმეთ მიდის.

თვით სამშენებლო მუშაობის ორგანიზაციაში გვაქვს დიდი ნაკლი. ხშირად დავიწყებთ ქარხნის აშენებას და, როდესაც უკვე მოვათავებთ, ირკვევა, რომ ქარხანა ვერ ავაშენეთ კარგ ადგილას, ან ისე ვერ ავაშენეთ, როგორც საჭირო იყო. მაგალითად, მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ფაბრიკა. ის აშენებულია სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე. ასე რომ, ტყიდან ნედლი მასალა უნდა ჩამოვიდეს სადგურში, დაიწყოს რონოდაზე და მიტანილი იქნეს ფაბრიკაში. რატომ არ შეიძლებოდა ამ ფაბრიკის სადგურის მახლობლად აშენება? შეიძლებოდა, მაგრამ უცოდინარობით და დაუკვირვებლობით მოხდა ეს.

შემდეგ ამხ. ავაქოვი გადადის წარმოების რაციონალიზაციის საკითხზე და ამბობს, რომ რაციონალიზაცია არ ტარდება წესიერად. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წარმოების ხელმძღვანელთა და მუშებ შორის არ არსებობს მჭიდრო კავშირი რაციონალიზაციის საკითხში. მუშათა კულტურული ჩამორჩენილობაც ხელს უშლის რაციონალიზაციის გატარებას. საჭიროა მუშებსა და მეურნეებს შორის დამყარებულ იქნას მტკიცე კავშირი. საჭიროა აგრეთვე ინჟენერებმა ყურადღება მიაქციონ თავიანთ ცოდნის ამაღლებას. მათ ზომები უნდა მიიღონ თავიანთი თავის გადასამზადებლად დიდი წარმოებისათვის. მხოლოდ ასეთი საშუალებით ჩვენ შევსძლებთ აღმოვფხვრათ ახალი მშენებლობის ყოველგვარი ნაკლი.

ამხ. გოდაბრელიძის თანამოხსენება

ამხ. ავაქოვის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოდის ამხ. გოდაბრელიძე. ჩვენი მეურნეები —ამბობს გოდაბრელიძე, — ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ მუშა-გამომგონებლებს. საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს დადგენილების თანახმად, დაჯილდოვებული უნდა იქნეს არა მარტო გამომგონებ, არამედ ისიც, რომელიც გააუმჯობესებს წარმოებას და გაადვილებს სამუშაო პირობებს. ჩვენში ეს ასე არ ხდება. ჩვენი ფაბრიკების ხელმძღვანელები ან სრულებით არ აჯილდოვებენ მუშა-გამომგონებს, ან, თუ აჯილდოებენ ძალიან „მომჭირნეთ“.

შემდეგ ამხ. გოდაბრელიძე ამბობს. რომ თანახმად არსებულ წესებისა, მუშა-გამომგონებს უნდა ეძლეოდეს წლიწადში 15-დან 25 პროცენტამდე ჯილდო იმ თანხიდან, რომელსაც აძლევს წარმოებას ახალი გამოგონება. ასეთი გამოანგარიშება კი ჩვენში არ სწარმოებს.

საწარმოო მუშაობის გასაუმჯობესებლად და მუშა-გამომგონებელთა რიცხვის გასადიდებლად — ს. მ. უ. ს-თან აუცილებლად დაარსებული უნდა იქნეს მუშა-გამომგონებელთა დამხმარე ბიურო.

ამხ. გოდაბრელიძის თანამოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რვა კაცმა.

ვ. ნ.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მუშათა თეატრის შენობაში შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი, სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.

განათლების განყოფილების მუშაობა

ამხ. ქაცარავას მოხსენება

პლენუმმა მოისმინა განათლების განყოფილების გამგის — ამხ. ქაცარავას მოხსენება აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო განათლების საქმე ქ. თბილისსა და მის მაზრაში შეუჩერებლათ მიდის წინ. ამას ამტკიცებს განათლების განყოფილების ბიუჯეტის შესამჩნევი ზრდა: 1925—26 წელს აღმასკომის ბიუჯეტის 22 პროცენტი გადადებული იყო სახალხო განათლებისთვის, 1926—27 წელს დაიხარჯა მთელი ბიუჯეტის 23 პრ., მიმდინარე 1927—28 სამოსწავლო წელს დაიხარჯება აღმასკომის ბიუჯეტის 23-ნახ. პროცენტი, რაც შეადგენს 3.965.000 მანეთს.

ნივთიერ საშუალებათა ზრდასთან ერთად, განათლების განყოფილებამ შესძლო სასკოლო ქსელის სწრაფად გაფართოება: ამჟამად ქ. თბილისის სკოლებში სწავლობს 41.000-ზე მეტი ბავშვი, მაზრაში—16.000.

მასწავლებელთა რიცხვი 2317-მდე ავიდა, მათ შორის 193 კომუნისტია.

განათლების განყოფილება უკვე მზად არის საყოველთაო სავალდებულო სწავლების [illegible] ოთხწლიან შრომის სკოლის ფარგლებში.

სახალხო განათლების საქმე იზრდება, როგორც რაოდენობით, ისე ღირსებითაც. შემოღებულია ახალი მეთოდებით სწავლება. მასწავლებელთა გადასამზადებლათ სისტემატიურად ტარდება მოკლევადიანი კურსები. სკოლები შევსებულია ლაბორატორიებით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკებით, სახელოსნოებით და სხ.

ბავშვთა და კომკავშირელთა მოძრაობა იზრდება. შედარებით სუსტია მუშაობა სასკოლო ასაკამდე აღზრდის დარგში.

ბავშვთა უმწეობასთან საბრძოლველათ განათლების განყოფილებას დუშეთისა და აღბულახში მოწყობილი აქვს ორი საბავშვო ახალშენი, სადაც იზრდება 650 უპატრონო ბავშვი.

სასკოლო შენობების რიცხვი სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ ჩვენი სკოლები იძულებული ხდებიან ორი, ან სამი ცვლით იმეცადინონ.

მაზრაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ახალ სასკოლო შენობების ასაგებათ. წელს დამთავრდება 34 შენობის აგება.

განათლების განყოფილებამ თავის დროზე მიიღო ზომები, რომ სასკოლო მშენებლობა მჭიდროთ დაეკავშირებია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან. ამ მიზნით, ქალაქის მეორე საფეხურის რამოდენიმე სკოლა გადაკეთდა სპეციალურ კურსებათ, გაიხსნა 6 პროფსკოლა და ერთი დაბალი ტიპის სასოფლო - სამეურნეო სასწავლებელი.

მაზრის შვიდწლედები გადაკეთდა სოფლის ახალგაზრდობის და პროფტეხნიკურ სკოლებათ. გაიხსნა ჭრა-კერვის 14 სკოლა.

დიდი ყურადღება ექცევა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას: თბილისსა და მის მაზრაში ამჟამად ითვლება ეროვნულ უმცირესობათა 60 სკოლა (რუსულ და სომხურ სკოლებს გარდა).

განათლების განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს პოლიტგანათლების საკითხებს: მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის მოსასპობათ და მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ განათლების შესატანად.

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში გასულ წელს გატარდა 4.880 კაცი. აქედან მაზრაში—3188, ქალაქში—1692 კაცი.

დაარსებულია მაღალი ტიპის სკოლა, სადაც უმთავრესად ის მუშები სწავლობენ, რომელთაც სურთ შეიძინონ ცოდნა და მოემზადონ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

განათლების განყოფილების განკარგულებაშია: ქალაქში—4 კლუბი და 14 ქოხ-სამკითხველო, მაზრაში—5 ბიბლიოთეკა, 38 ქოხ-სამკითხველო და 41 წითელი კუთხე. ქალაქში განყოფილების გამგებლობაშია მუშათა თეატრი, რომლის მდგომარეობა წელს საგრძნობლათ გაუმჯობესდა. მაზრაში დაარსებულია 32 თეატრი.

თბ. საბჭოს განათლების სექციის მუშაობა

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **ნინა მახარაძის** მოხსენება განათლების სექციის მუშაობის შესახებ. სექციაში ჩაეწერა 123 წევრი. მათ შორის 45 ქალი. შემდეგ სექციას მოემატა აქტივი და კომკავშირელები, რიცხვით 90 კაცი. დღემდე სექციის ქონდა 13 სხდომა. სხდომებს ესწრება სექციის წევრთა რიცხვის 65 პროცენტი.

სექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლების სამეურნეო საკითხებს. უმთავრესი ყურადღება მიექცა სასკოლო შენობათა შეკეთების და სკოლების შენობებიდან კერძო მდგმურების გამოსახლების საკითხებს. დაისვა აგრეთვე საკითხი საბავშვო ბაღების გაფართოებისა და მოწყობის შესახებ.

სექცია მუშაობდა თბილისის მუშათა თეატრის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ამ მუშაობამ შესამჩნევი შედეგები გამოიღო. სასკოლო დაწესებულებებზე მიმაგრებული ამხანაგები ინდივიდუალურად მუშაობენ. სექციამ ჩაატარა სკოლების გამოკვლევა.

პლენუმმა დაადგინა კამათი გადაიტანოს მომავალი სხდომისათვის.

ბოლოს მოისმინეს ამხ. **ლ. სუხიშვილის** განცხადება საბჭოების გადარჩევის გადადების შესახებ. პლენუმმა დაადგინა დაშალოს საარჩევნო კომისიები და ჩაატაროს საანგარიშო კამპანია. საანგარიშო კამპანია ჩატარდება: თბილისში — [illegible] და მაზრაში — თებერვალში.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კოოპერატივ. ნაკლი და მიღწევები

ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს

კოოპერაცია, რომ ერთად ერთი საშუალებაა მუშა-მოსამსახურეების კერძო მოვაჭრის ბრჭყალებიდან დახსნისა და მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ეს დღეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ ჯერ-ჯერობით, რომ კოოპერაციამ ვერ შესძლო მუშების მთელი ასი პროცენტი ჩაება კოოპერაციის საქმიანობაში, ესეც არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

მართალია კოოპერატივის წევრთა რიცხვი დღე-დღეზე იზრდება, თვით კოოპერაციის ქსელიც ფართოვდება და სასტიკ მეტოქეობას უწევს კერძო მოვაჭრეებს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კოოპერაციის ასე სწრაფ განვითარებას არ სდევს თან ნაკლი, რომელიც ხელს უშლის კოოპერაციის წესიერ მუშაობას და აფერხებს მუშათა ფართე მასის ჩაბმას კოოპერაციაში.

მთავარი ნაკლი კოოპერაციისა და განსაკუთრებით კი მუშკოოპის საქმიანობისა ის არის, რომ დღემდე ბოლო ვერ მოეღო კოოპერაციის სხვადასხვა მაღაზიებში ერთი და იმავე საქონლის ფასების სიჭრელეს. გარდა ამისა აღნიშნულ კოოპერატივების მაღაზიებში, წევრები არ სარგებლობენ უპირატესობით რიგის მიხედვით. საზედროდ კოოპერატივის ყველა მაღაზიებში წარწერაა გამოკრული იმის შესახებ, რომ წევრს რიგ გარეშე შეუძლიათ შეიძინონ საქონელი. მუშკოოპისა და „ზაკტპო“-ს მაღაზიებში კი წევრი იმდენი ხანი დგას რიგში და უცდის საქონლის მიღებას, რამდენიც არა წევრი. ეს გარემოებაც მხედველობაში უნდა მიიღოს მუშკოოპის გამგეობამ და გამოასწოროს იგი მომავალში.

რაც შეეხება თვით კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებას რომელიმე საქონლით, აქაც არ არის ყველაფერი რიგზე. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი საქონელი, როგორიც არის თეთრეული, ბამბაზია და სხვა იცემა მხოლოდ წევრებზე გამგეობის მიერ გაცემულ ორდერის მიხედვით, მაგრამ საქონლის განაწილება წევრებზე ვერ ხდება წესიერათ. ისეთ წევრს, რომელსაც ორი სული ჰყავს შესანახი და ისეთს, რომელსაც 6—7 სული, თანასწორ რაოდენობით აძლევენ საქონელს. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი ძნელად საშოვარი საქონელი წევრებზე ნაწილდებოდეს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. მართალია ეს გაუძნელდება მუშკოოპის გამგეობას. მაგრამ ფაბ-ქარხკომებმა დახმარება უნდა გაუწიონ ამ საქმეში. ამით ჩვენ ალმოვფხვრით ზოგიერთ წევრების ბოროტმოქმედებასაც კოოპერატივიდან გამოტანილ საქონლის გაყიდვის მხრივ.

გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე საქონელზე ფასების აღნიშვნას. რაც შეიძლება სხვილი ციფრებით. ასეთია ჩვენი კოოპერაციის მთავარი ნაკლი, რომლის გამოსწორება წინ წასწევს კოოპერაციის საქმიანობას.

მუშკოოპისა და „ზაკტპო“-ს გამგეობებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ აღნიშნულ ნაკლულოვანებების გამოსასწორებლად.

მუშკოოპის წევრი.

სადუქნო კომისიის პროტექციით

3 იანვარს, „ზაკტპო“-ს მე-5-ე მაღაზიაში (კოოჩნისა და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში. „ზაკტპო“-ს წევრებს ურიგებდენ ბამბაზიას. მაღაზიაში დიდი რიგი იყო გამართული. ყველანი იდგენ და უცდიდენ თავიანთ რიგს. მაგრამ რიგი არ იძროდა ადგილიდან. თურმე ნუ იტყვი სადუქნო კომისიას, რომლის ხელმძღვანელობითაც სწარმოებდა ბამბაზიის გაცემა, გამოურთმევია ორდერები თავის ნაცნობ-მეგობრებისათვის და რიგ გარეშე უშვებდა მათ.

ზოგი ორდერების პატრონები არც კი აღმოჩნდენ მაღაზიაში, მაგრამ სადუქნო კომისიამ მაინც გადაუზომა ბამბაზია და შეუნახა. სადუქნო კომისიის ასეთი პროტექციის წყალობით რამოდენიმე ორდერი რიგ გარეშე იქნა გაშვებული.

„ზაკტპო“-ს გამგეობამ პასუხი უნდა მოსთხოვოს ასეთ სადუქნო კომისიას.

ზალ-ლი.

წესიერათ განაწილეთ

(მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოთ)

ჩვენს კოოპერატივში საქმე ვერ არის მოგვარებული. განსაკუთრებით საქონლის განაწილება მუშკოოპის წევრებზე არ სწარმოებს წესიერად. ხშირად ვისაც 5 და 10 სული ჰყავს შესანახი იმასაც [illegible] და ხუთმეტ მეტ თეთრეულსა და ბამბაზიას აძლევენ ვისაც 2—3 სული იმასაც. ამიტომ არის რომ ზოგიერთი წევრები ხშირად ჰყიდიან კოოპერატივიდან გამოტანილ მომეტებულ საქონელს, რომელსაც იღებენ მოგებასაც. ამ გარემოებას ზოგიერთი წევრები ბოროტად იყენებენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოიტანონ და მოგებით გაჰყიდონ.

კარგი იქნება, რომ კოოპერატივის გამგეობამ ასეთი საქონელი წევრთა შორის გაანაწილოს, ისე, რომ ყველას შეხვდეს იმდენი, რამდენიც დასჭირდებოდა ამა თუ იმ წევრის ოჯახს. ამით მოისპობა ის ბოროტმოქმედებები, რომელსაც აქვს ადგილი მუშკოოპის წევრთა შორის.

შაქრო ნავთლუღელი.

როგორ სძარცვავენ გლეხებს

ყოფ. მუხრანის ბაზარზე ავლაბრის ხიდთან და დეზერტირის ბაზარზე ძველ დროიდანვე არსებობენ ეგრედ წოდ. ყარახოღლი კომისიონერები, რომლებსაც თავიანთ ქსელში გაბმული ჰყავთ სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა. გლეხობას ყოველდღიურად აუარებელი ხილი და ბოსტნეულობა შემოაქვთ ტომრებით. კომისიონერები, როგორც „გულშემატკივარი“, უხვდებიან გლეხებს, ართმევენ მათ საქონელს და უყიდიან. ამ „შრომისათვის“ კომისიონერები ღებულობენ 10 პროცენტს. ისე, რომ გლეხებს თითქმის ნახევარს აქ ატოვებინებენ და ეუბნებიან, რომ შენი ხილი დამპალი გამოდგა და სხვა.

გარდა ამისა, მათ დადგმული აქვთ თავიანთი სასწორები და უსახლვროთ ატყუილებენ გლეხებს. გლეხები იძულებული არიან მიიღონ იმდენი, რამდენსაც არგუნებენ ყარახოღლი კომისიონერები.

საჭიროა ჩვენმა კოოპერატივებმა აქეთკენაც მიაქციონ ყურადღება და აღნიშნულ ადგილებზე გლეხებს მოუწყონ გამსაღებელი პუნქტები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეტეხის [illegible] დაბლა ბოსტნეული გაყიდვამდე მტვერიან ქუჩაზე ყრია. ამასაც ყურადღება უნდა მიაქციოს სანიტკომისიებმა.

ნიკო მკერვალი.

რათ არის ასე

(მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოთ)

ზაფხულობით, როდესაც წყლებს გაციება უნდა ყინულით, მუშკოოპის მაღაზიაში ყინულით გაციებულ ბორჯომის წყალს ჰყიდიან 35 კაპ. ბოთლს. ზამთარშიც, როდესაც არაა საჭირო ყინულით გაციება, ბორჯომის წყალს იგივე ფასი აქვს. გარდა ამისა, მუშკოოპ. ერთ მაღაზიაში, სადაც რამოდენიმე განყოფილებებია ბორჯომის წყალს ჰყიდის გასტრონომიულიც და ცალკე წყლის განყოფილებაც. პირველში ბოთლი წყალი ღირს 35 კაპ. მეორეში კი 38 კაპ. ამავე დროს კერძო მოვაჭრეებთანაც 35 კაპ. ღირს. რაშია საქმე. რატომ უნდა ჰქონდეს ერთსა და იმავე მაღაზიაში ერთი და იმავე საქონელს სხვადასხვა ფასები.

საჭიროა ნაკლის გამოსწორება. გარდა ამისა, უნდა მიექცეს ყურადღება საქონელზე ფასების დაწერას, თორემ მომხმარებელს უხდება დიდი ხნის ლოდინი ამა თუ იმ საქონლის მისაღებათ.

წევრი.

ხაზზედაც გახსენით მაღაზიები

(„ზაკტპოს“ გამგეობის საყურადღებოთ)

„ზაკტპო“-ს გამგეობის უგეგმო და არადამაკმაყოფილებელ მუშაობის წყალობით ხაზის მუშა-მოსამსახურენი პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. იქ, სადაც არსებობს „ზაკტპო“-ს მაღაზია არ იშოვება პირველმოთხოვნილების საგნები, რის გამო მუშები ბუფეტის მოიჯარადრეებისა და კერძო ვაჭრების ბრჭყალებში ვარდებიან. ამასგარდა აღსანიშნავია, რომ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს გამოაქვთ დადგენილებები „ზაკტპო“-ს მაღაზიის. ფარდულის, ხორცის სავაჭროსა და სხ. გახსნა-დაარსების შესახებ. მაგრამ „ზაკტპო“-ს გამგეობა ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევს.

სად. მცხეთაში, ავჭალაში, ყარაიაზში, ჰალა დიდში და სხ. კიდევ მთელ რიგ სადგურებზე არ არსებობს „ზაკტპო“-ს ფარდულები, რის გამო მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ამას გარდა თბ. ლენინის უბანში 2 900 მცხოვრებია. ასეთ ვეებერთელა მუშათა უბანში „ზაკტპო“-ს მხოლოდ ერთი მაღაზია არსებობს.

საჭიროა „ზაკტპო“-ს გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და გააფართოვოს კოოპერატიული ქსელი ხაზის სადგურებზე.

ა. ჭ—ო.

მუშკორთა წერილებიდან

მოგვაქციეთ ყურადღება. საბჭოს ქ. № 106 სახლის ქვეშ არის სარდაფი, რომელშიც აღმასკომის მოიჯარადრეები ინახავენ ყინულს. არდ. გვერდით ცხოვრობენ მუშები რომელთა ბინებშიც ჟონავს წყალი ასეთივე მდგომარეობაში იქნებიან მუშები მომავალშიც თუ აღმასკომმა არ მიაქცია ყურადღება და ან მუშები არ გადაიყვანა იქიდან და ან საყინულე.

ფილმუხ.

სამკითხველოში ხმაურობაა. თბილისის [illegible] სასწავლებლის სამკითხველოში ისეთი ხმაურობაა, რომ ყოვლად შეუძლებელია იქ ჟურნალ-გაზეთების კითხვა. კლუბის გამგემ წესრიგი უნდა დაიცვას სამკითხველოში.

ს. მიქაშავიძე.

ჩვენს მუშკორებს

ყასივე მეზობელს. თქვენი წერილი, „ჯარიმა არაა საკმაო“ არ დაიბეჭდება, რადგან როგორც სწერთ დამნაშავე უკვე დასჯილია.

ახკორ ქოპოსანს.—„საჭიროა ყურადღება მიექცეს“—არ დაიბეჭდება წერილში არ არის პირდაპირ ნათქვამი ვინ სჩადის ასეთ ბოროტებას.

გეოს—„საჭიროა მეტი ყურადღება“ არ არის საგაზეთო მასალა. თითქმის ყველა კინოებში ასეთი მდგომარეობაა. არ დაიბეჭდება.

სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის 10 წლის თავი

საზეიმო სხდომა

კვირას, 14 იანვარს, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს შეუსრულდა არსებობის ათი წლის თავი. სადღესასწაულო ზეიმს დაესწრენ სახელმწიფო, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომა გახსნა პროფ. ზაიცევმა, რომელმაც დამსწრეთ მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ათი წლის თავზე პირველი სიტყვა უნდა ითქვას იმ კაცის შესახებ, რომლის სახელიც მიკუთვნებული აქვს ამ სასწავლებელს. ეს კაცი იყო ვლადიმერ ილიჩი.

ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზში გაისმა ორკესტრის სამგლოვიარო ჰიმნი.

პროფ. ზაიცევის წინადადებით ერთხმად არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **მამია ორახელაშვილი**, **მიხა ცხაკაია**, **ფილიკა მახარაძე**, **შალვა ელიავა**, **ლავრენტი ქართველიშვილი**, **მ. კახიანი**, **გუსეინოვი**, **ამ. ბარცუმიანი**, **დ. კანდელაკი**, **მარიამ ორახელაშვილი**, **გ. ყურულაშვილი**, **თედო ღლონტი**, **გულოიანი** და ინსტიტუტის საბჭოს მთელი შემადგენლობა.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

პირველი მისასალმებელი სიტყვით საქართველოს მთავრობისა და კომპარტიის სახელით გამოვიდა საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე**.

ამ საზეიმო სხდომაზე, ამბობს ამხ. ფ. მახარაძე, საჭიროა გავიხსენოთ ცოტა რამ იმ უახლოესი წარსულიდან, რომლის მოწამენიც ბევრი აქ დამსწრეები არიან. თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-70 წლებში. ამ იდეის განხორციელება მაშინ არ მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფის მთავრობა ეგრედ წოდ. განაპირა ქვეყნებში ატარებდა თავის რუსოფილურ პოლიტიკას. უმაღლესი სასწავლებელი მისი აზრით,—ეს ის ბუდე იქნებოდა, სადაც თავს იჩენდა რევოლიუციონური საქმიანობა, ხოლო ეს კი მისთვის რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო თებერვლის რევოლიუციამ ქვეყანა გაანთავისუფლა მეფის სულთამხუთავი რეჟიმისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა თბილისი მაინც ვერ ეღირსა უმაღლეს სასწავლებელს. კერენსკის მთავრობა თავისი არსებობის პირველ ხანებში გადაჭრით წინააღმდეგი იყო თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების. მაგრამ, ადგილობრივი მოღვაწეების ენერგიული მეცადინეობით თბილისში დაარსდა პირველი უმაღლესი სასწავლებელი—ამჟამად სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

მენშევიკების ბატონობის დროს ეს ინსტიტუტი მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას. მენშევიკებს არ აინტერესებდათ ამ სასწავლებლის ბედიღბალი. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ინსტიტ. არსებობა დადგა მკვიდრ ნიადაგზე და ამჟამად ინსტიტუტს უკვე თავისი შენობაც აქვს.

ჩვენი პროლეტარიატი თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკ. ინსტიტუტიდან მოელის ახალი ცხოვრების მშენებლებს, რომლებიც დაეხმარებიან პროლეტარიატს ახალი ცხოვრების შენებაში. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ათი წლის თავის შესრულების გამო საქართველოს მთავრობამ დაადგინა მოგიძღვნათ თქვენ ნივთიერი დახმარების სახით 28.000 მანეთი, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ თქვენი საქმის უკეთეს ნიადაგზე დასაყენებლად.

ამასთანავე ამხ. ფ. მახარაძემ ინსტიტუტის რექტორს პროფ. ზაიცევს გადასცა დროშა და თავისი სიტყვა დაამთავრა შემდეგნაირად:

— საქართველოს მთავრობა თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს აბარებს ამ დროშას და გამოსთქვამს იმედს, რომ მას მუდამ სათანადო სიმაღლეზე დაიჭერენ ინსტიტუტის ხელმძღვანელები და სტუდენტები.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში და „ვაშას“ ძახილი. პროფ. ზაიცევმა მიღებული დროშა გადასცა სტუდენტების წარმომადგენელს. სტუდენტების სახელით დროშა მიიღო სტუდენტმა **მეფოდიევმა**.

ინსტიტუტის მიღწევები

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მიღწევების შესახებ ვრცელი საანგარიშო მოხსენება გააკეთა რექტორმა პროფ. **ზაიცევმა** თავის მოხსენებაში იგი შეეხო ინსტიტუტთან არსებულ ყველა სამეცნიერო განყოფილებათა მუშაობას, აღნიშნა ცალკე ფაკულტეტურ საქმიანობის მიღწევები და სთქვა რომ ინსტიტუტთან ამჟამად მოწყობილია სამი ფაკულტეტი: სასოფლო-სამეურნეო ორი განყოფილებით, ჰიდრო-ელექტრო-მექანიკური და საინჟინრო-საამშენებლო. გარდა ამისა, ინსტიტუტთან არსებობს 25 სხვადასხვა კაბინეტი და მრავალნაირი ლაბორატორიები. ინსტიტუტში სწავლობს 2.200 სტუდენტი.

მისალმებები

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელიც კრებას ესალმება საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტისა და ამიერ-კავკ. ცაკის სახელით.

— ინსტიტუტს დიდი მიღწევები აქვს განვლილი ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ამიერ-კავკ. მუშათა კლასი მისგან კიდევ მეტს მოელის. საბჭოთა ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ ავიწყდება კულტურული ფრონტი; იგი ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ამ ინსტიტუტს, რომელმაც სამაგიეროთ უნდა მოგვცეს სოციალისტური ქვეყნის ახალ მშენებელთა კადრები.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **გ. ყურულაშვილი**, რომელიც ინსტიტუტს ესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, თბილისის კომიტეტისა და პროფსაბჭოს სახელით.

განათლების კომისარიატის სახელით სხდომას ესალმება ამხ. **დ. კანდელაკი**.

თბილისის აღმასკომის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **ქაცარავა**, რომელიც აცხადებს, რომ აღმასკომის მიერ გადადებულია 5 ათასი მანეთი ინსტიტუტის სასარგებლოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა პროფ. **კეკელიძე**. იგი სალამს უძღვნის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს სახელმწ. უნივერსიტეტის 4 ათასი სტუდენტის და პროფესურის სახელით და აღნიშნავს, რომ საჭიროა მომავალში ორივე ამ უმაღლეს სასწავლებლის სამეცნიერო მუშაობა სწარმოებდეს ურთიერთის დახმარებით.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორი ამხ. **გულოიანი**, აზერბეიჯანის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის რექტორი პროფ. **ესმანი**, მთიულეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენელი—პროფ. **პეტრუსოვი**, ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი პროფ. **აკიმცევი**, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენელი **ა. პაპავა** და სხვ.

ზეიმზე წაკითხულ იქნა მრავალი მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირის მრავალ უმაღლეს სასწავლებლებიდან, სხვადასხვა პროფესორებისა და აკადემიკოსებისაგან.

საღამოს ინსტიტუტის შენობაში გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდა ამხ. **ლისოვსკი** მოხსენების შემდეგ მოეწყო კონცერტი ოპერისა და დრამის მსახიობების მონაწილეობით.

ცვლილებები მიწის კოდექსში

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიას, რომელიც შესდგება 28 იანვარს აჭარისტანში (ბათომში), მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დასამტკიცებლად წარუდგენს მიწის კოდექსში შესატან ცვლილებებსა და დამატების პროექტს.

მიწსახკომში მიღებულ ცნობებით,—ცვლილებები უმთავრესად შეეხება მიწის კანონთა კრებულის შემდეგ ნაწილებს:

გაფართოებული იქნება მუხლი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, ვინაიდან ადგილობრივი ორგანოები ხშირად გვერდს უხვევენ და ამახინჯებენ მიწის ნაციონალიზაციის წესს. ახალი მუხლით აგრეთვე გარკვევით გათვალისწინებული იქნება მიწის ნაციონალიზაციის გატარება ქალაქებში.

ახალი პროექტით მიწათმოწყობის ჩატარების დროს უპირატესობა მიეცემა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს,—ამასთანავე მიწად-მოწყობისათვის საჭირო თანხები შეტანილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მიწის კოდექსში შეტანილი იქნება აგრეთვე ცვლილება მიწის დამუშავების შესახებ. ამ ახალი ცვლილებებით გათვალისწინებულია მიწათმოქმედების და მიწის მეურნეობის ისეთი ფორმებით წარმოება, რომელიც წარმოადგენს მიწის კოლექტიურად დამუშავებაზე თანდათანობით გადასვლას. ამ დამატების მიზანია ხელი შეუწყოს მიწის მეურნეთა კოლექტივებში შეკავშირების საქმეს და გლეხობა შეაჩვიოს კოლექტიურ მეურნეობას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე უმიწაწყლო გლეხობის ახალშენების მოწყობას. ამ მუხლში შეტანილი ცვლილებებით მცირე და უმიწაწყლო გლეხებს სხვა ადგილებზე გადასასახლებლად მიეცემა დახმარება, შეღავათი მგზავრობის დროს გრძელ და მოკლევადიანი სესხი, საამშენებლო მასალა და სხვა.

ახალი დამატებით გაუმჯობესებული და გამარტივებული იქნება ამა თუ იმ შემთხვევაში ოჯახის წევრთა გაყრის საქმე.

ცვლილებები აგრეთვე შეეხება საადგილმამულო სასამართლოების მუშაობას.

საქართველოს პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობა

პროლეტ. პოეტებს

გადმოვვრიგალდით ძველი ქვეყნიდან
და მოვზიდავდით ეპოქის ტვირთებს,
ყოველ ჩვენგანის დედა სტიროდა,
ჩვენზე დღე და ღამ, რომ ცრიდენ ფიქრებს.
ვაზნებით წელზე და ხელში თოფით
გვითენებია ბარიკადებზე,
მაგრამ არ ვხრიდით ქედს ტანჯვის ყოფნით
და ვთხზავდით ჰანგებს მომავლის ბედზე.
დღეს, მეგობრებო, ჩვენი ლექსები
მტრების ბანაკებს ტყვიებათ აწვიმს,
გადავანათეთ ცეცხლით ხავსები
და ბევრი კიდევ რიგშია დაწვის.
ამხანაგებო, ყველა ერთი გზით
და ერთი რწმენით ერთად მივიდვართ
უკან დავსტოვეთ წარსული ზიზღით
და მომავლისკენ მივქრით, მივფრინავთ.
ჩვენ არ ვხლებივართ პარნასზე მუზას
და არ ვამაყობთ „ციური მადლით“,
მაგრამ ჩვენ მაინც მუშური ლექსით,
კვლავ ვეკვარებით, ვისაც ვუყვარდით!

სანდრო ეული.

მესამე დღე

კამათი ასოციაციის გამგეობის მუშაობის გარშემო

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის გარშემო გაიმართა კამათი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო, ორატორების დიდი უმრავლესობა, რომელიც მიმოხილვას უკეთებდა ასოციაციის გამგეობის მუშაობას და აღნიშნავდა როგორც მიღწევებს, ისე ნაკლულოვანებებს მის საქმიანობაში, საერთოდ იწონებდა გამგეობის მოქმედებას როგორც ორგანიზაციულ დარგში, ისე იდეურ მუშაობის სფეროში. მხოლოდ ყრილობის დელეგატთა უმნიშვნელო ნაწილს ასოციაციის გამგეობის მუშაობა არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად. ეს ნაწილი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად პირობების გაუმჯობესებისა, ასოციაციამ ვერ შესძლო მუშაობის გაღრმავება და გაფართოება როგორც თავის წევრებს შორის, ისე მკითხველ მასაში. ასოციაციის მთავარი ამოცანა—შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერება პროლეტ. მწერალთა შორის—ამ ამხანაგთა აზრით, არ არის შესრულებული. მას არ გამოუყენებია მუშაობის ის ფორმებიც, რომელიც პირველად „პროლემაფ“-მა შემოიღო. ასოციაციას არ უწარმოებია მუშაობა კვალიფიციურ მწერლებთან და ამით აიხსნება მათი შემოქმედების ტემპის შენელება. თუმც რიცხობრივად ასოციაცია გაიზარდა, მაგრამ წევრთა მიღება ასოციაციაში სწარმოებდა იმის გაურჩევლად, ღირსია თუ არა ესა თუ ის პირი ასოციაციაში მიღებისა. ასოციაცია უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობას, ვიდრე მუშათა ახალგაზრდობაში. მას არ გაუმართავს ლიტერატურული საღამოები მუშათა წრეებში და არც უზრუნვია მკითხველთა წრეების მოწყობისათვის; პროლეტარული მწერლობის წარმატება კი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მომზადებული კვალიფიციური მუშათა მკითხველი ეუფლება მას. მოუწესრიგებელი აქვს სექციას გამომცემლობის საქმე: გამომცემლობისათვის სხვადასხვაგვარ ორგანიზაციებისაგან მიღებული სხვადასხვა თანხები არ ხმარდებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ ტირაჟი თანდათან კლებულობს იმის გამო, რომ მისი შინაარსი უარესდება ერთი მხრივ და მეორეს მხრივ არავითარი ყურადღება არ ექცევა ჟურნალის გავრცელების საქმეს. ასეთ აზრებს გამოსთქვამდა დელეგატების უმცირესი ნაწილი.

განსაკუთრებით ვრცლად ეხება ასოციაციის მუშაობას **რ. კალაძე**. პროლეტარული მწერლობა ჩვენში სუსტია,—ამბობს იგი; მთავარი მიზეზი ამ გარემოების ის არის, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით ძლიერი არ არის სამრეწველო პროლეტარიატი. პარტიამ ეს გარემოება თავიდან მიიღო მხედველობაში და როგორც კი საშუალება მიეცა, მთავარი ყურადღება მიაქცია პროლეტარულ მწერლობის განვითარების საკითხს. პარტიამ თავის რეზოლიუციით პროლეტარულ მწერლობას მისცა სახელმძღვანელო ხაზი და არ დაუზოგავს ნივთიერი საშუალება პროლეტ. მწერლობის გასაძლიერებლად. ასეთ პირობებში ასოციაციას შეეძლო უფრო მეტის გაკეთება, ვიდრე მან მოგვცა. ამ 2 წ. განმავლობაში პროლეტ.მწერლობას არ ჰქონია ფორმალური მიღწევები. ასოციაცია მოვალე იყო ხელი შეეწყო სხვადასხვა ჯგუფებისათვის შემოქმედების ახალი გზების ძებნაში. თუ კი რომელიმე ჯგუფი პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება ასოციაციის მთავარ ხაზს,იგი ყოველმხრივ წახალისებას და დახმარებას უნდა ჰპოვებდეს თავიანთ ხელმძღ. ორგანიზაციის მხრივ ახალ მხატვრულ ფორმების გამომუშავებაში. ამ თვისებას კი ასოციაცია საანგარიშო პერიოდში მოკლებული იყო.

ყრილობის დანარჩენი დელეგატები (გარდა ხუთი კაცისა) გადაჭრით უარყოფდენ და აბათილებდენ იმ ბრალდებებს, რომლებსაც გამგეობას უარყოფდენ ზემოხსენებული ამხანაგები. პროლეტარული მწერლობის ორგანიზაციას, მათი დასკვნით, არასოდეს იმდენი აქტივობა არ გამოუჩენია.როგორც საანგარიშო პერიოდში. ასოციაცია ქმნიდა კომკავშირელ მწერალთა უჯრედებს. აწყობდა კომკავშირელ მწერალთა სისტემატიურ გამოსვლებს კომკავშ. უჯრედებში. ზრუნავდა მწერალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მკითხველთა გემოვნების განსავითარებლად, გამომცემლობის გასაუმჯობესებლად და სხ. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მის მუშაობას ახასიათებს ნაკლულოვანებანიც. ეს არის—კომკავშირის მოუგვარებლობა და შეუთანხმებლობა თბილისის გაზეთების რედაქციებთან პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოებთა ბეჭდვის საკითხში, ასოციაციის შორის დგომა თეატრების და განსაკუთრებით მუშათა კლუბებისაგან; ნაკლებად ზეგავლენა თეატრებზე იმ მხრივ, რომ რეპერტუარში დათმობილი ჰქონდეს ადგილი პროლეტ. მწერალთა დრამატიულ ნაწარმოებებს და სხვ.

ვრცლად ეხება ასოციაციის მუშაობას ამხ. **გ. ყურულაშვილი**. რომელიც ერთგვარ დასკვნებს უკეთებს გამგეობის მუშაობის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. შემცდარია ის შეხედულება,—ამბობს ამხ. ყურულაშვილი, თითქოს უკანასკნელ ხანებში პროლეტარულ მწერლობას ნაბიჯი არ გადაედგას წინ. ის პროდუქცია, რომელსაც გვაწვდის პროლეტარულ მწერლობის პერიოდული გამომცემლობა. უდავოდ მოწმობს, რომ პროლეტარული მწერლობა მომწიფდა მხატვრულად, გაიზარდა იდეოლოგიურად. ფორმალური მიღწევების მხრივ პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოებნი არ ჩამოურჩება სხვა არაპროლეტარულ მიმდინარეობათა მწერლების ნაწარმოებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროლეტ. მწერლობის მიღწევები პოეზიის დარგში. უფრო მეტი გასაკეთებელი აქვს პროლეტარულ მწერლობას მხატვრული პროზის დარგში. მომავალში ახალგაზრდა მწერლებმა პროზის დამუშავებას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. დაკმაყოფილება იმით, რაც ამ დარგში გაკეთებულა, არ შეიძლება, ლიტერატურული პროდუქციის მოსაცემად აუცილებლად საჭიროა უფრო ახლო მისვლა ჩვენს მუშათა ყოფა-ცხოვრებასთან, წარმოებასთან, თვით-კრიტიკის უფრო მეტად გაძლიერება, უფრო მეტი სწავლა და თვითგანვითარება. ამისათვის კი წინასწარ პირობას წარმოადგენს კოლექტიური მუშაობის გაძლიერება. განზე გადგომა, განცალკავება, განმარტოება,—ეს არის გზა ბურჟუაზიული მწერ. და ამას ვერ დაადგება ჩვენი პროლეტარული მწერლობა. პირიქით, უფრო მეტი დაახლოვება, უფრო მეტი შეკავშირება გამოიყვანს ახალგაზრდობას შემოქმედების ასპარეზზე და ფართო გზას გაუშლის მის ნიჭს. თვით-განდიდება და ერთიმეორის ქება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში, შეუფერებელია პროლეტ. მწერალთა ასოციაციის წევრებისათვის. სად მარქსისტულ ნიადაგზე დამყარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა არის პროლეტ. მწერლობის წინ მსვლელობის თავდები. მიუღებელია აგრეთვე თავისთავის შემოფარგვლა ამხანაგთა ვიწრო წრით. პროლეტ. მწერალმა თავის ნაწარმოების პოპულიარიზაციისთვის თვითონვე უნდა იზრუნოს, მან თვითონ უნდა მოიპოვოს თავის მკითხველთა მასა, ამ მიზნით მან არ უნდა გაუშვას არც ერთი შემთხვევა კლუბებში თუ სხვა მუშათა აუდიტორიებში და უშუალოდ თავისი ნაწარმოებით წარსდგეს მასის წინაშე. მხოლოდ ამ საშუალებით იგი დაიახლოვებს მასას, გახდის მას თავის მკითხველად, რომელიც შემდეგში უკვე არ დაიზარებს თავის გროშის გაღებას პროლეტ. მწერლების დაბეჭდილ ნაწარმოების შესაძენად.

მეოთხე დღე

ამხ. ბუაჩიძის საბოლოო სიტყვა

კამათი გაგრძელდა მეოთხე დღის სხდომაზედაც. ამ დღეს საკამათოდ გამოსულმა ამხანაგებმა არსებითად იგივე განიმეორეს, რაც წინა ორატორებმა სთქვეს. დასასრულ ოპონენტებს პასუხი გასცა მომხსენებელმა ამხ. **ბუაჩიძემ**, რომელიც გადაჭრით უარყოფს ზოგიერთ დელეგატების ბრალდებას, თითქოს გამგეობას უგეგმო მუშაობა ეწარმოებოს. გამგეობას ჰქონდა გეგმა, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა, როგორც ორგანიზაციულ, ისე იდეოლოგიურ მუშაობის სფეროში. ზოგიერთი ორატორის მტკიცება, თითქოს თვითკრიტიკა უარყოფდეს სხვა არაპროლეტარულ მწერალთა კრიტიკას, შემცდარია. არ არის სწორი აგრეთვე ის, თითქოს პროლეტ. მწერალთა ასოციაცია ლიტერატურული ბლოკით ეკროდეს ბურჟუაზიულ მწერლობას. იგი ცდილობს მხოლოდ იდეური ზეგავლენა მოახდინოს ბურჟუაზიულ მწერლობის იმ მერყევ ელემენტებზე, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ჩვენდამი სიმპატიით, ხოლო ბურჟუაზიულ მწერლობის გავლენისათვის ჯერ კიდევ თავი არ დაუღწევიათ. უსაფუძვლოა აგრეთვე საყვედური, თითქოს ჩვენ არ ვზრუნავდეთ მკითხველ მასაზე. არ ვიკვლევდეთ მას. მაგრამ ჯერ უნდა შევქმნათ ეს მასა და შემდეგ გამოვიკვლიოთ იგი. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ ლიტერატურულ წრეების მოწყობაზე, რადგან ისინი ხელს უწყობენ ახალ ლიტერატურულ ძალების წარმოშობას. როცა ზოგიერთი ამხანაგები ამტკიცებენ,თითქოს პროლეტ. ლიტერატურა არ მიდიოდეს წინ, ამით ისინი ააშკარავებენ რწმენის უქონლობას პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებისადმი. ჩვენ გავაგრძელებთ იმ გზით სვლას; რომლითაც დავიწყეთ: გავაძლიერებთ მუშაობას პროლეტარულ ახალგაზრდობაში, უფრო მეტად დაუახლოვდებით მუშათა ყოფა-ცხოვრებას, პროლეტარულ საზოგადოებრიობას და ამ საშუალებით შევქმნით ნიადაგს პროლეტ. მწერლობის ნაყოფიერი შემოქმედებისათვის.

რეზოლიუცია გამგეობის მუშაობის შესახებ

გამგეობის მუშაობის შესახებ წარმოდგენილ იქნა ორი რეზოლიუცია: პირველი, რომელიც იწუნებდა ასოციაციის გამგეობის მუშაობას საანგარიშო პერიოდში, ყრილობამ დიდი უმრავლესობით უარყო. მეორე, რომელიც ყრილობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს, ყრილობამ მიიღო ხმის დიდი უმრავლესობით ოთხის წინააღმდეგ. ყრილობაზე წარმოებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიხედვით დაწვრილებითი რეზოლიუციის გამომუშავება დაეკისრა პრეზიდიუმს.

ყრილობამ სცნო სარევიზიო კომისიის უმოქმედობა და მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად აღიარა.

პროლეტ. მწერლობის მხატვრული პლატფორმისათვის

(მომხსენებელი ამხ. რონდელი და რადიანი)

მომხსენებელმა მიმოხილვა გაუკეთეს პროლეტარულ მწერლობის განვითარებას ოქტომბრის რევოლიუციამდე და მის შემდეგ და წამოაყენეს შემდეგი დებულებები: პროლეტარულ ლიტერატურის განსაკუთრებული განვითარება ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ წლებში იწყება. ამ პერიოდში პროლეტარული ლიტერატურის სახე გამოირკვა და თავისი ჩამოყალიბების პროცესში განიცადა და ნაწილობრივ დღესაც განიცდის ბურჟუაზიული ლიტერატურის მხატვრულ—იდეოლოგიურ გავლენას, მაგრამ ამჟამად პროლეტ. მწერლობა თანდათან არკვევს თავისი განვითარების დამოუკიდებელ გზებს. პროლეტარული მწერლობა თავის შემოქმედების გამოსააშკარავებლად მიმართავს მხატვრული მასალის განსახიერების ძირითად ჟანრებს (ლირიკა, ეპოქა, დრამა). პროლეტარულ მწერლობისათვის სხვა არაპროლეტარული მიმდინარეობანი წარმოადგენენ გამოსაყენებელ მასალას. ამ მასალის ნიადაგზე პროლეტარული მწერლობა აწარმოებს ექსპერიმენტალურ მუშაობას.

იყენებს რა მემკვიდრეობით მიღებულ მხატვრულ საშუალებებს, ქმნის ახალ მხატვრულ ხერხებს. პროლეტარულ მწერლობის ამოცანათ რჩება დაუხლოვდეს თანამედროვე ინდუსტრიალურ ეპოქის სტილს და შეუფარდოს იგი კომუნისტურ იდეოლოგიას. პროლეტარულ მწერლობა ისტორიულად დაკისრებულ ჰეგემონიის მიღწევა შეუძლია მხოლოდ სწავლის, შემოქმედების და თვითკრიტიკის ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელებით. პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენს ურთიერთობის დამყარება პროლეტარულ მწერალთა და მასიურ მკითხველს შორის.

ახალი ჟანრების შესახებ პროლეტარულ მწერლობაში *)

მწერლობა დღეს მეტისმეტად საზოგადოებრივი საქმეა, ლირიკა კი მწერლობის ის ჟანრია (დარგი), რომელიც მწერლის პიროვნულ განწყობილებების გადმოცემას ემსახურება. ჩვენი წინა ეპოქა, რომელსაც ეხლა ვებრძვით, ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით ხასიათდება. ლირიკას ბევრი შერჩა [illegible]ლისტური (მსოფლმხედველობით) ტრადიციები, მისი მხატვრული მეთოდიც კი ინდივიდუალისტურია. საგნებში და ცხოვრებაში რევოლიუცია ხდება, პიროვნების ფსიქოლოგიაში, მით უმეტეს ცხოვრებიდან ჩამოცილებული პოეტის ფსიქოლოგიაში კი რევოლიუცია ძლიერ იგვიანებს. თუ გავითვალისწინებთ თქმულს, უდავოთ მივიღებთ, რომ ინდივიდუალისტური ლირიკა ყველაზე კონსერვატიული ჟანრია.

პროლეტარული აზროვნება მატერიალისტური მონიზმით, მოქმედება კი კოლექტივისტური გეგმიანობით ხასიათდება. ლირიკა კი ქმნის კონფლიქტს ცხოვრებასა და ადამიანს შორის, საგნებსა და პიროვნებას შორის, ვინაიდან ადამიანს იგი ანცალკევებს, ყოველივე პიროვნების გარეშე მდგომ პიროვნული მეტრით ზომავს, „სუბიექტიური უპირდაპირდება ობიექტიურს“.

ლირიკა თავის მხრივ სხვადასხვა დარგებს შეიცავს (ელეგია, ოდა, სატირა და სხვა). სამწუხარო სწორედ ისაა, რომ პროლეტ. მწერლობაში თანდათან შემოიჭრა ლირიკის სწორედ ყველაზე უფრო მავნე და ავადმყოფური ფორმები: ელეგია, მინორული ტონის მინიატიურები და საერთოდ „სიმღერები“. რუსეთში ი. უტკინი, ივ. მალჩანოვი და ნაწილობრივ ალ. ჟაროვი არიან ამ „სიმღერების“ რესტავრატორები. ჩვენში კ. ლორთქიფანიძემ ამ მხრივ ყველას „გადააჭარბა“, თუმცა ერთ დროს ვერც კ. კალაძე, და ალ. მაშაშვილი ასცდენ ამ „ლირიკულ გაზაფხულის“ გავლენას.

ერთი პატარა. მაგრამ დამახასიათებელი „თეორეტიკოსიც“ აღმოჩნდა რუსეთში ამ ტკბილ ლირიკას (მ. ბეკერი) ლ. ავერბახმა. ლებედინსკიმ და მათმა ამხანაგებმა [illegible] საერთოდ გადაჭარბებულ ფსიქოლოგიზმზე და „ადამიანის სულის გადმობრუნებაზე“ („Ковыряние в душе человека“) აილეს მ. ბეკერმა გულწრფელად და თამამად განაგრძოს თავისი მასწავლებლების საქმე: „ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ სოციალიზმი უეჭველობით ვერ აშენდება“-ო, ამბობს იგი. „ინდივიდუალურმა გრძნობებმა, რომლებიც ჩახშობილი იყო ზარაბანისა და ზარბაზანის ხმით. მძლავრად განაცხადეს თავისი არსებობისა და უფლებების შესახებ“-ო, განაგრძობს ბეკერი. „ზარაბანის ხმამ ჩაახშო ინტიმური, გულითადი და შინაგანი“-ო, სტირის ბეკერი.

მოყვანილი ამონაწერებიდან ნათელი ხდება, თუ რატომ იბრძვიან ასე გამძაფრებით ლირიკისათვის ბეკერები, უტკინები, ლორთქიფანიძეები და სხვები. თუ რატომ ილაშქრებენ ისინი ასე სასტიკად ზარაბანისა და „ნაჯახით გათლილი ცხოვრების“ წინააღმდეგ (ზარაბანი ამ შემთხვევაში კლასობრივი ბრძოლის მწვავე ფორმების სიმბოლოა). ობივატელი, რომელიც რევოლიუციას გაჰყვა, დაიღალა რევოლიუციით. დაიჭრა მსუბუქათ ბრძოლაში და ეხლა საკომპენსაციოთ იმისა, რომ მოეხმარა რევოლიუციას, პროლეტარიატიდან ითხოვს უფლებას კომფორტზე, დასვენებაზე, ინდივიდუალური ლირიკით ცხოვრებიდან გაქცევაზე და სხვა.

მ. სვეტლოვს აქვს ლექსი („Стихотворение“), სადაც პირდაპირ ამბობს: ბრძოლაში დავიღალე, ამიტომ დასვენება მინდაო. ივ. მალჩანოვი კი ასეთ ფორმულას იძლევა (იხ. „Свидание“):

«Тот, кто устал, имеет право,
У речки тихой отдохнуть.

„ლირიკოსებმა“ ცოტა გადააჭარბეს „და ლ. ავერბახმა ძლიერ გვიან დაიწყო ამ ხალხის წინააღმდეგ „ბრძოლა“: მან სამართლიანად აღნიშნა, რომ ივ. მალჩანოვის ეს „ცნობილი“ ლექსი უტკინიდან მოდის, რომ ზემოდ მოყვანილ სიტყვებს ამბობს რევოლიუციის ობივატელი. რომ ამ ობივატელს რევოლიუციონურ ბრძოლის დღეებშიც „არ ავიწყდებოდა თავისი სევერიანინული (სევერიანინი-ბურჟუაზიული ეროტიკის რუსი პოეტია) ბუნება. ამტკიცებს გასაბჭოებული ესენინელი უტკინი:

«Как рад я, что к мирным равнинам
Так выдержанно принес
И мужество гражданина
И лирику женских волос».

როგორც ვხედავთ აქ მოცემულია 1. სიმშვიდის იდეალიზაცია, 2. ესენინური ტონი, 3. სევერიანინის ეროტიკა და ყოველივე ეს შეზავებული „რევოლიუციონერობასთან“.

კ. ლორთქიფანიძე შორს წავიდა სევერიანინის და ესენინის გზით. ლექს „მიტოვებულ ბაღში“ პოეტი კომუნარ ქალს ეუბნება: რადგან დამთავრდა ბრძოლები, დეე, „ეს გული“, „დღეს სიყვარულის ტკბილმა მორევმა“ ჩაითრიოსო.

კ. კალაძემ უკვე 1925 წელში მოგვცა ფორმულა ამ დაღლილობის. რომელმაც სხვა პოეტებში „ლირიკული გაზაფხული“ გამოიწვია: „მე დაჭრილი ვარ და ხმას ვაძლევ ცას მოკაშკაშეს“-ო.

ალ. მაშაშვილის ლექსებში საქართველოს აწუხებდა და პოეტიც იცრემლებოდა.

როგორც ვხედავთ დაღლილობა და რევოლიუციის დეზერტირობა ყოფილა ლირიკის ვატკბილების და გადაგვარების კლასობრივი მიზეზი. ობივატელური დაღლილობის განწყობილებებმა მრეწველობაში მოითხოვა თავისი მხატვრული ფორმა ეს ფორმა ტკბილი მინორული, ინდივიდუალისტური ლირიკაა. მუსიკალური ტონალობა და ესენინური „დამღერება“. ასეთ ფორმებში ულტრა-რევოლიუციონური ფრაზებიც კი გვხვდება. მაგრამ ეს ფრაზები ვერ დაფარავს პოეტის საფუძველში ავადმყოფურ განწყობილებებს

ბეკერი აცხადებს: „ინტიმურის შესახებ არ შეიძლება ყვირილი, ინტიმურზე შეიძლება მხოლოდ სიმღერა“-ო. აი. ეს ტკბილი სიმღერა აწამებს ლირიკას წყობა. მეტრი და ტონალობა ისე მუშავდება. რომ რაც შეიძლება მელოდიური იყვეს. უმოძრაო და სტატიურ თემაზე „აჭკინტავენ“ ორიოდე ღერიმ და ისევე უძრავ მოტივს, ამ უმოძრაო მოტივს რამოდენიმეჯერ მელოდიურ ტონებში და გულშემზარავად გამეორებენ და ასე ვღებულობთ დეკადენტურ ლექსს. ამ დეკადენტურ ლექსში. რაც არ უნდა რევოლიუციონური ფრაზები იხმარო, იგი მაინც არარევოლიუციონურია. მაგალითად: დღევანდელი ადამიანი-რევოლიუციონერი ცხოვრების ერთგულია კ. ლორთქიფანიძე ისეთი ტონით და ისეთ კონსტრუქციაში იძლევა „მიწისადმი ერთგულებას“, რომ ძალა უნებურად ცხოვრებისადმი სიძულვილს იწვევს მკითხველში, გვაგრძნობინებს, რომ ჩვენ მხოლოდ იძულებული ვართ ვიცხოვროთ, ისე კი.. და თუმცა ეს „ცხოვრება თურმე ყოფილა გულქვაც“.

„თენდება: ჰქრება ეს საოცრება,
ცრემლით ევსება თვალთა უპეები;
რა ვუყოთ მერე, ჩემო ოცნებავ
თუ ცხოვრებისთვის დაიღუპები“.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ (ლირიკა) როგორც მასალა ახალი ჟანრისათვის და ახალი ლირიკისათვის.

ახალი ჟანრები ციდან არ მოდის. საჭიროა სხვადასხვა „პატარა“ დავიწყებული და კლასიკური ჟანრების გამოყენება ამ საქმისათვის. ბ. ტომაშევსკი („ლიტერატურის თეორია“) სწერს: „თანამედროვე პოეზიაში შემჩნეულია მძლავრი ლტოლვა ამ საშუალო პოეტური ჟანრების ახალი ფორმების შექმნისაკენ“ (გვ 196). საშუალო ჟანრი იქნება მაგალითად ახალი ბალადა, როგორც ერთგვარი ხერხი ლირიკის და ეპოსის შეთანხმებისა. ეს შინაარსის და არა ჟანრის საკითხია, როგორც ჟანრი კი ის შეიძლება პრინციპიალურად ახალი იქნეს.

თვით ეპოსი ყველაზე უფრო ჯანსაღი და საქმიანი ჟანრია, ახალი ეპოსი რა თქმა უნდა ავტორის ტენდენციური ამ შემთხვევაში კომუნისტური გეგმით იძლევა იმას, რაც სინამდვილეში ხდება, მას საფუძვლად რეალური და ფაქტიური მასალა უძევს და ამიტომ იგი ყველა ჟანრებზე უფრო შესაფერისია პროლეტარული მწერლობისათვის, როგორც იდეალისტური მიმართულებისათვის. ეპოსში მკითხველის ყურადღების ცენტრი ფაქტებზე და სიტუაციებზეა მიპყრობილი. „საქმე ბადებს სიტყვიერ გამოძახილს“. (იხ. აიხენვალდი).

თითქმის იგივე ითქმის ეპოპეის შესახებ. ჩვენი გმირული რევოლიუციების ეპოქის მოსაცემად ეპოპეიას ბევრი საშუალება აღმოაჩნდება. ალ. ბეზიმენსკის „კომსომოლია“ ეპოსისა და ეპოპეის შეთანხმებულ სინთეზს წარმოადგენს. საერთოდ ტომაშევსკის არ იყვეს ჟანრების აღრევა ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ახალი ჟანრების შექმნისათვის.

რა თქმა უნდა ამ ძველი ჟანრების პრინციპიალური განახლება უნდა მოხდეს. თუ ძველი ეპოპეა ეპოსისათვის ჩვეულებრივი იყო რომ ანტიური იდეალიზაცია წარსულის (ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“) ახალი ეპოსის ამოცანაა ყოველივე რევოლიუციონურ-ბოლშევიკურის, დადებითის და გმირულის „იდეალიზაცია“ აწმყოში და კომუნიზმის მომავალში.

ძველი ეპოსი თუ პასიური „ჭვრეტა“ და ფაქტებისადმი აუღელვებელი მოწმის „ობიექტიური“ მიდგომა იყო, ეხლა იგი საზოგადოებრივად აქტუალური, მეცნიერული და მატერიალისტურ-დიალექტიკაზე დამყარებული უნდა იყვეს. ფაქტების ზერელე, ე. ი. იმპრესიონისტული მოცემის მაგიერ ჩვენ საქმე გვექნება ძიებების და დოკუმენტალურ ფაქტების რეალისტურ სინთეზთან.

როდესაც აღმოსავალი ბურჟუაზიის თეატრი და კერძოთ „ცრემლიანი კომედია“ არისტოკრატიულ ტრაგედიას ებრძოდა, იგი დრამატურგიაში ქმნიდა ცხოვრებაში ჯერ არ არსებულ, მაგრამ პოტენციაში მოცემულ იდეალურ ბურჟუაზიულ გმირს (პლეხანოვი). ამ „გაკეთებული“ გმირის საშუალებით, დრამატურგია იბრძოდა ახალი ტიპის ადამიანისათვის, პროპაგანდას უწევდა მის განმტკიცებისათვის. თუ კი განსაზღვრულმა ლიტერატურულმა მიმართულებამ შექმნა თავისი გმირი, რომელიც იდეალური იქნება განსაზღვრული კლასისათვის,—მაშინ იგი იპყრობს ამ კლასის მკითხველს, ხდება ამ კლასის [illegible] მწერლობათ. ჩვენი ეპოქის ასეთი ცენტრალური პიროვნება-ბოლშევიკის მოცემა უმთავრესად ახალ, აქტუალურ ეპოპეას შეუძლია.

რაც შეეხება ლირიკას—ჩვენ ვებრძვით ინდივიდუალისტურ-ავადმყოფურ და ოჯახურ-კამერულ ლირიკას და მის იმ დარგებს, რომლებიც უმთავრესად ასეთი მსოფლ-გაგებისათვის არის შესაფერისი. შეიძლება არსებობდეს ნების ანუ გმირული ლირიკა, იდეების ლირიკა და სხვ. ამ შემთხვევაში ეს იქნება ბოლშევიკური ნების, რევოლიუციონური საქმიანობის ლირიკა,—მომქმედი ბოლშევიკის და არა ესთეტი პოეტის თვალთახედვით მოცემული. ალ. ბეზიმენსკი ამ გმირული ლირიკის საუკეთესო მაგალითია. ჟანრის მხრივ ასეთი ლირიკა ყველაზე უფრო გამოიყენებს ფაბულარულ-სიუჟეტიან ლექსს. ოდას, ეპიგრამას, (როგორც თავდასხმის საშუალებას) და სხვა. მისი სიტყვიერი მასალა-ლექსიკონი უმთავრესად რეალურ-ყოველდღიური და არა ესთეტიურ-მოგონილი ენიდან უნდა მოდიოდეს. ტონალობის მხრივ ასეთი ლირიკა უეჭველად უნდა ასცდეს სიტკბილეს და დინჯ სტილს დაუახლოვდეს.

ყველა ამ ჟანრებისათვის, მით უმეტეს ახალი ჟანრებისათვის ბრძოლა ცუდათაა დაყენებული ჩვენში. არის ცდები. მაგრამ მცირე. კ. კალაძის თბილისში ვკითხულობთ:

„თბილისელები, ამ დღეებში ელიან ზაქუს,
მისი მაღალი ბრწყინვალება უთუოდ მოვა,
ჩაჯდება როგორც სიხარული ქალაქის
თვალში.

დაახრჩობს ღამეს,—
და ცაზე მთვარე ველარ ამოვა“.

ისევე „მუშების საუბარი“ ასე იწყება:

—„ხელმარჯვენივ, მარტო, თვალის ერთ მოსმაზე.
აგურით აგებულ კედლის თუ შეხედავ, -
მის დაბლა ძველის ძველ გატეხილ ბოროჰალეზე
ფიქრებში გართული მუშები სხედან...“

აქ ჩვენ გვხვდება თხრობითი ჟანრზე მუშაობა. კალაძე ჰქმნის მოყოლითი-საუბრო ჟანრსაც (ლექსი „ერთ საუბარში“) განსაკუთრებით საყურადღებო და სიმპტომატიურია ამ მხრივ მისი უკანასკნელი ლექსი „მუშების საუბარი“ და „ზამთარი“. ამ ლექსებში მოცემულია პრინციპიალურად ახალის ნიშნები, ისინი ღირსნი არიან სპეციალური ყურადღების. ამ ლექსების შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია წამოვაყენოთ ლოზუნგი: „ბრძოლა მწერლობაში ყოველივე „პოეტური“-ს წინააღმდეგ, ბრძოლა ყოველგვარ „ესთეტიურ“ სიყალბის წინააღმდეგ. ბრძოლა კონკრეტული, პრაქტიკული, და თანამედროვე ენის ლექსიკონის და სტილისათვის.

ბევრი იმუშავა ალ. მაშაშვილმა ლირიკის მოქალაქეობრივ სიმაღლეზე აყვანისათვის, მასში ნებითი და გმირული ელემენტების შეტანისათვის:

„გავსქერი ხარბათ გაცოფებულ მტერს და
გორიალს....
და ქვე ყოველი მოედანზე წამოქცეული
დაღუპულ გმირთა გაპობილი გული მგონია“
(„ძველი ბაზარი“).

ეხლახან დაიბეჭდა ი. ვაკელის „ლექსი მეგობრებისადმი“. ჟანრის მხრივ ეს ლექსი ახალი არ არის (პუშკინის გავლენაა), მაგრამ საყურადღებოა, როგორც ნიმუში პროლეტარულ მწერლობაში ოდიდან მომდინარე ძლავრი ლექსის შემოჭრა (თუმცა ვაკელის ამ ლექსის პათეთიურობა ცრუ კლასიკურ სიყალბემდე მიდის).

მართალია ჩამოთვლილი ამხანაგების წერის მანერა პრინციპიალურად ახალი არ არის, მაგრამ იგი გამოგვადგება როგორც გზა ახალი ფორმების და ჟანრების შექმნისაკენ.

თანამედროვე ბოლშევიკური მჭერმეტყველობის მხატვრულ იმიტაციას წარმოადგენს კ. ფეოდოსიშვილის ლექსი. ეს მეტად საყურადღებო მუშაობაა, ვინაიდან პოეზიის ისეთი დარგი, როგორიცაა ოდა, ორატორიიდან მოდის. აქ არსებობს რიტორიკის და გაფუქსავატების საშიშროება, რომელსაც ყოველმა ამ ჟანრზე მომუშავემ უნდა ერიდოს. განა ოდის კონკრეტიზაციაც არ არის შესაძლებელი?!

ახალი მხატვრული ფორმების შექმნის ერთ-ერთი თანამედროვე და მეტად სასარგებლო გზაა — თანამედროვე ყოფაში არსებულ საუბრის და ყოველდღიურად სახმარი ენის, სხვადასხვა საქმიანი და ცოცხალ პროფესიონალურ, პარტიულ და დაკონიურ - პროვინციალურ „ჟარგონების“ მხატვრული მეთოდის სიმაღლემდე აყვანა (მაგალითად საქმიანი, ინჟინერული ან პარტიულ-ბოლშევიკური მოხსენების მეთოდის იმიტაცია, სტალინის მოხსენებას მომჭირნეობით და პუნქტებად არგუმენტაციის ჩამოვლის სისტემის მხატვრული გამოყენება, შენიშვნების და ყოველგვარი პრესის ფელეტონების და მიმოხილვების ფორმის გამოყენება, „რაპორტისა“ და სამხედრო უწყებათა ბრძანებით - მომჭირნეობითი სტილის გამოყენება, რაიც ი. სელვინსკიმ მოახერხა მშვენიერ ლექს „Рапорт“-ში.

ჩამოთვლილი პროლეტარული მწერლების მიღწევები არასაკმარისია. პროლეტარულმა მწერლობამ მალე უნდა განვლოს ეკლექტიური შემკრებლობითი საფეხური, უნდა დაწყებულ იქნას პროლეტარული მხატვრული სტილის შემოქმედებითი პერიოდი. პროლეტ. საზოგად ყოველდღიური განვითარება სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებს საკუთარ მწერლობას. ახალი მოთხოვნილება საჭიროებს წინსვლას მხატვრული ფორმის სფეროშიაც. თუ ჩვენმა მხატვრულმა მწერლობამ არ უპასუხა ამ ახალ მოთხოვნილებებს, როგორც იდეურად ისე ფორმალურად, მაშინ იგი საბოლოოდ დაიღუპება. როგორც მომქმედი საზოგადოებრივი ფაქტორი, თანამედროვეობამ—კი მწერლობიდან [illegible] მხატვრული კონკრეტულობა მოითხოვა, ინტელიგენტური საერთო ფრაზები, ლირიკული შეძლებები და ეკლექტიურ ფრაზებში ორიოდე რევოლიუციონური სიტყვა საკმარისი აღარ არის, ახალი კონკრეტული თემატიკა, თემატიკის პრობლემ. ახალ თემატიურ ფორმებს აყენებს. იდეა, თემატიკა და ფორმა მხატვრული ნაწარმოების სამი, ერთმანეთთან უშუალო შეკავშირებული მხარეა, ახალი ჟანრებისათვის ბრძოლა ახალი თემატიკისათვის ბრძოლასთან ერთად. ახალი ფორმებისათვის ბრძოლაც არის. რაც თავისი მხრივ პროლეტარიატის იდეური წინსვლიდან გამომდინარეობს.

ახალი მხატვრული ფორმისათვის ბრძოლა დაკავშირებული კლასობრივ ჰეგემონიის განმტკიცებასთან და ფორმალურ-მხატვრული [illegible] ამ კლასობრივ ბრძოლისათვის მობილიზაციასთან განამტკიცებს პროლეტარულ მწერლობას ჰეგემონიისათვის ბრძოლაში.

პლ. ქიქოძე.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რედ.

„კრასნაია გაზეტა“-ს რედაქციას

(10 წლის არსებობის გამო).

ლენინგრადის გაზ. „კრასნაია გაზეტა“-ს 10 წლის არსებობის გამო ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა რედაქციას:

ჩემი მხურვალე სალამი ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა და ყველა ერების სახელით ლენინის და პროლეტარული რევოლიუციის პირველი დედა-ქალაქის პროლეტარიატისა და წითელარმიელთა ორგანოს—მისი არსებობის ათი წლის თავზე, ეს არის ეხლა წავიკითხე თქვენი მოწვევა და ამიტომ დამაგვიანდა დამეწერა პატარა წერილი—დიდი ოქტომბრის ორგანოს და დაუვიწყარი ვოლოდარსკის დახასიათება. „კრასნაია გაზეტა“-ს როლი და მნიშვნელობა თვალსაჩინოა: დარაზმული. მთლიანი საბჭოთა პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან მჭიდროდ დაკავშირებული, წარმატებით მუშაობს სოციალისტური მეურნეობის აღორძინებისა, მრეწველობისა და მიწადმოქმედების ინდუსტრიალიზაციისათვის და ყველა ერების—საბჭოთა კავშირის ერების მშრომელებთან ერთად მზად არის ძველებური გმირობით და ენტუზიაზმით იბრძოლოს ლენინის საქმისა და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

გაუმარჯოს წითელი და ლენინის მშვენიერი ქალაქის „კრასნაია გაზეტა“-ს.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე

მიხა ცხაკაია.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში გატარებული იქნეს ა.-წ. 15 თებერვლიდან; მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 1-ლი მარტისათვის.

რაც შეეხება შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალა შეიმუშავოს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების გატარების წესი, გეგმა და ვადები, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გამოცდილება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში.

სათანადო დადგენილების პროექტი ა.-კ. სახკომსაბჭოს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 1928 წლის 1-ლ მარტისა.

რაც შეეხება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებს, საკითხი ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შესახებ ამ დაწესებულებებში ღიად არის დატოვებული იმ დრომდე, სანამ სათანადო საკავშირო ორგანოებიდან მიღებული არ იქნება უფრო დაწვრილებითი ინსტრუქციები ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების გატარების წესისა და ვადების შესახებ.

ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შემოღებამდე, ა.-კ. სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო ყველა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში გატარებული იქნეს თანამდებობით ჯამაგირების სისტემა; ჯამაგირები დაწესებული უნდა იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულებებით ან სატარიფო შეთანხმებით სათანადო პროფკავშირთან.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ მიიღონ ყველა ზომები, რათა ზემოაღნიშნულ ვადებში იქნეს გატარებული ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, რისთვისაც სათანადო მითითებები უნდა მიეცეს როგორც შრომის კომისარიატს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ფინსახკომს, ისე ყველა დაინტერესებულ უწყებებს.

საქართველოს სამთო სიმდიდრენი

საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე

ხ. მ. ფ. საბჭოში მიღებულია ცნობები, რომ მარტის პირველი რიცხვებისათვის ევროპის უდიდეს ქალაქებში მოეწყობა საერთაშორისო სამრეწველო გამოფენები, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ყველა ქვეყნების მადნეულობის ნიმუშები.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია საქართველოც. ამის გამო ხ. მ. ფ. ს პრეზიდიუმმა დაავალა სამთო მრეწველობის ტრესტს შეუდგეს შესაფერის სამზადისს და დაამზადოს ექსპონატები—პარიზის, ბრიუსელის, მილანის და ბერლინის გამოფენებზე გასაგზავნად.

სამთო მრეწველობის ტრესტი გამოფენებზე გაგზავნის მხოლოდ იმ მადნეულობის ნიმუშებს, რომელთა დამუშავება უკვე სწარმოებს ამჟამად.

ასეთ მადნეულთა რიცხვს ეკუთვნის—ბარიტი, საინფუზორიო მიწა, ლითოგრაფიული ქვა და სხ.

ექსპონატები დამზადებულია და ამ დღეებში გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

ცემენტის ქარხნის გეგმა დამტკიცებულია

გუშინ ხ.მ.ფ. საბჭოში მიიღეს ამხ. ბ. ჩიჩინაძის დეპეშა, რომლითაც იგი მოსკოვიდან იტყობინება, რომ საკავშირო ხ.მ.ფ. ხ-თან არსებულმა ტეხნიკურ-საამშენებლო კომიტეტმა და სამეცნიერო-სატეხნიკო სამმართველომ დაამტკიცეს კასპში ცემენტის ქარხნის აგების გეგმა.

ამის გამო ხ.მ.ფ.ს. ახალმშენებათა კომიტეტს წინადადება მიეცა დაჩქარებით შეუდგეს ცემენტის ქარხნის ასაგებ წინასწარ სამუშაოებს და ახლო ხანში დაასრულოს ყველა მოსამზადებელი სამუშაოები.

ცემენტის ქარხანა, როგორც უკვე ცნობილია, პირველი იქნება საქართველოში. ყოველწლიურად ქარხანა ბაზარზე გამოუშვებს ერთ მილიონზე მეტ ფუთ ცემენტს, რაც მოხმარდება საქართველოში დაწყებულ ახალ საამშენებლო სამუშაოებს. ქარხნის ასაგები ადგილი უკვე გამოყოფილია და იქ აგებულია მუშათა საცხოვრებელი ფარდული და შენობა კანტორისათვის.

სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებათა გამგეების საკავშირო თათბირი

კვირას, 15 იანვარს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შენობაში გაიხსნა მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატებთან არსებულ სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებების გამგეთა საკავშირო თათბირი. თათბირზე ჩამოსული არიან წარმომადგენლები ყველა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

თათბირი გახსნა საქართველოს ჯანსახკომთან არსებულ სან.-ეპიდ. განყ. გამგემ ექ. ლ. ნაზარეტიანმა. თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში ნაზარეტიანმა აღნიშნა თათბირის საქართველოში მოწვევის მნიშვნელობა და სთქვა, რომ თათბირის წინაშე სდგას ბევრი მეტად საყურადღებო საკითხები, რომელთა გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხთა ჯანმრთელობისათვის.

შემდეგ თათბირმა მიიღო დღის წესრიგი და გადავიდა საინფორმაციო მოხსენებათა მოსმენაზე. პირველი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ექ. ნაზარეტიანი, რომელიც შეეხო სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილების მუშაობას სხვადასხვა სოციალურ სენებთან ბრძოლის დარგში.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდენ უკრაინის ჯანსახკომის წარმომადგენელი ექ. მარზეევი, რ.ს.ფ.ს.რ.-ის წარმომადგენელი—ექიმი სლანოვსკი, თურქმენისტანიდან— ექიმი მიულერი, სომხეთიდან—ექიმი ფირუმოვი, უზბეკისტანიდან ექ. ვაინბახი, აზერბეიჯანიდან ექ. ალიბეკოვი და სხვ.

მომხსენებლები აღნიშნავდენ თუ რა სოციალურ სენებს აქვს ადგილი მათ რესპუბლიკებში და რა ზომებია მიღებული ამ სენებთან საბრძოლველად.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე დასრულდა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა საინფორმაციო მოხსენებები და გაიხსნა კამათი აღნიშნულ მოხსენებათა გარშემო. კამათის დროს აღნიშნული იყო რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში სანიტარული და ეპიდემიური განყოფილებების მუშაობა ვერ არის შესაფერისად გაშლილი რასაც ხელს უშლის სათანადო ფონდების ნაკლებობა (სომხეთი, აზერბეიჯანი, უზბეკისტანი), ხოლო ზოგან კი შემჩნეულია სათანადოთ მომზადებულ კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. მთელ რიგ რესპუბლიკებში სათანადო სიმაღლეზე ვერა სდგას აგრეთვე სანიტარული კანონმდებლობის დამუშავების საქმე. ამ მხრივ შედარებით უკეთესი პირობებია უკრაინაში, სადაც მოწყობილია სრულიად უკრაინის სანიტარული საბჭო, რომლის დადგენილებებსაც კანონის ძალა აქვს.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტის სამმართველო მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 19, 20, 21, 22 და 23 იანვარს მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს უვარგის სასროლო მასალების აფეთქება.

პროფესორები—შრომის გმირები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 19 იანვარს მოწვეულ საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქ. განათლების მუშაკთა კავშირის შუამდგომლობა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორებისათვის — ს. ნ. ტიმოფეევისა და ა. ხ. როლლოვისათვის და დოცენტ ფ. ვ. ლოხიცინოვისათვის შრომის გმირების სახელწოდების მინიჭების შესახებ.

ჯამაგირების გაცემის წესი

ამიერ - კავკასიის შრომის და ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა შეიმუშავეს მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დარიგების წესი. ამ წესის მიხედვით სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფმა წარმოება-დაწესებულებებმა და მეურნეობებმა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი უნდა დაურიგონ თვის პირველსა და 16 რიცხვებში. თემებსა და რაიონებში არსებულ წარმოება-დაწესებულებებმა ხელფასის გაცემის წესების შესახებ უნდა შეუთანხმდენ ადგილობრივ პროფორგანოებს. ასეთ ადგილებში შრომის ხელფასის გაცემა დასაშვებია თვეში ერთჯერაც, მხოლოდ გაცემა უნდა სწარმოებდეს მიმდინარე თვის 20 ან 25 რიცხვებში.

მუშა-მოსამსახურეთათვის შრომის ხელფასის გაცემის შესახებ დაწესებული ვადებს არა სამუშაო დღეებზე (უქმე, დასასვენებელ დღე) მოხვედრის შემთხვევაში, წარმოება-დაწესებულებები ვალდებული არიან ხელფასი გასცენ წინა დღეს.

სეზონური სამუშაო

ამიერ-კავკასიის შრომის სახკომისარიატის დადგენილებით ამიერ - კავკასიაში გლაუბერის მარილის ამოღებისა და დასამუშავებლად წარმოებული სამუშაოები გამოცხადებულია სეზონურ სამუშაოდ.

პასუხისმგებლობა დამზადება—ექსპორტისათვის

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, 1927-28 სამეურნეო წელში ა.-კ. ექსპორტის პასუხისმგებლობა დაეკისრათ პერსონალურათ: „ა.-კ. სახვაჭრობიდან“—**ა. ტერ-არაქელიანს**, „ზაკოიუზიდან“—**ვ. კანდელაკს**, „ა.-კ. საუტილიზაციო ნედლეულიდან“—**დ. ვეზიროვს**, საზოგადოება „ბიანი“-დან—**ი. მეთიქოვს** და „ექსპორტხლება“-დან—**ჩიკაროსოვს**.

პირადივე პასუხისმგებლობა დაეკისრათ საექსპორტო ნედლეულის დამზადებისათვის: აზერბეიჯანის სატყეო მრეწველობის ტრესტიდან—**გ. ვექილოვს**, ყაზახის კოოპ. „იტული“-დან—**ი. ჯუხეინოვს**, ა.-კ. სამბამბო კომიტეტიდან—**ი. ელენტს**, ა.-კ. რკ. გზებიდან—**ხ. ჯიოევს** და აფხაზეთის სატყეო მრეწველობის ტრესტიდან—**ზ. ბენიკს**.

უბედურ შემთხვევების გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის სახ.-სან. შრომის ინსპექციამ გამოიკვლია ქვემო სვანეთის ტყეებში მომხდარი უბედური შემთხვევები. გასული წლის განმავლობაში აღნიშნულ რაიონში ტყეში მუშაობის დროს დაღუპულა 5 მუშა.

დაღუპულთა ოჯახებს მოკლე ხანში სოცდაზღვევის კომიტეტის მიერ დაენიშნება პენსიები.

სამგზავრო ლიტერები

1928 წლისთვის გადადებულ სამგზავრო ლიტერების მთელი რაოდენობა ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა გაანაწილა შემდეგნაირათ: საქართველოს შრ. სახ. კომისარიატს—40 პრ., აზერბეიჯანს—50 პრ. და სომხეთის—10 პროცენტი. შრომის კომისარიატებს დაევალათ ლიტერების გაცემის დროს მტკიცეთ დაიცვან ცირკულიარები და არსებული კანონები.

კედლის გაზეთი სოცდაზღვევის შესახებ

საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტმა გამოსცა კედლის გაზეთის პირველი ნომერი სოცდაზღვევის შესახებ. გაზეთში მდაბიო, გასაგები ენით განმარტებულია, თუ როგორ უნდა მიიღოს დახმარება დაზღვეულმა—ავადმყოფობის, ორსულობის და მშობიარობის შემთხვევაში. აგრეთვე გაზეთში მკაფიოთ გაშუქებულია უმუშევრობის დროს დახმარებისა და ბირჟაში ჩარიცხვის შესახებ არსებული წესები და დადგენილებები.

გაზეთი დაეგზავნება ყოველ ფაბრიქარხკომებს თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად.

განსახკომი

- **სახ. უნივერსიტეტთან** ახლო ხანში გაიხსნება საზეითლო ფაკულტეტი.
- **საყოველთაო სწავლების შემოღებისა**თვის წინასწარი მუშაობის საწარმოებლად განსახკომმა გადასწყვიტა დაარსოს კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

მიწსახკომში

- **მესაქონლეობის კურსები.** მიწსახკომმა კიკეთში (შორ. მაზრა) გახსნა მესაქონლეობის ორკვირიული კურსები.
- **ამერიკული ვაზის სანერგე.** რაჭის მაზრაში ამერიკული ვაზის სანერგეს მოსაწყობად გამოყოფილი იქნა 7 ჰექტარი მიწა.

კოოპერაცია

- **ბამბის დამზადება.** ა.-კ. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა წელს დაამზადეს 125.000 ფუთი ნედლი ბამბა.
- **მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევა.** გუშინ დაიწყო თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევის კამპანია.
- **ახალი გამგეობა.** თებერვლის ბოლო რიცხვებში შესდგება მუშკოოპის ახალ რწმუნებულთა კრება, რომელიც აირჩიევს ახალ გამგეობას.

კრებები და მოხსენებები

ქართული ენის კაბინეტში დღეს, საღამოს 7 საათზე ლიტერატურის მკვლევართა მარქსისტულ სემინარში შურა დუდუჩავა გააკეთებს მოხსენებას: „ფორმალური სკოლა და მარქსიზმი“

დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე ქართული ენის კაბინეტში შესდგება არა ქართული სკოლების ქართული ენის სემინარის მორიგი მეცადინეობა.

სხვადასხვა

- **პროლეტსტუდენტთა ბიუროში.** 16 იანვარს თბილ. პროლეტარული სტუდენტთა ბიუროს პლენუმზე, ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ს. გეგენავა, მდივნად კი — ჰეჰიაძე.
- **დასასვენებელ სახლებში** წელს გაიგზავნება 4619 კაცი.
- **შაბიამანი.** „ზაკსელმაშმა“ საქართველოსათვის მიიღო 1.700 ტონა შაბიამანი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბაქოდან — მუსაბეკოვს, ქუთაისიდან—ჯოხაძეს, მოსკოვიდან — იაგულოვს, კაჭკავიდან—რეშეტოვს, სვერდლოვსკიდან — [illegible], ურმიიდან — აირაპეტიანს, ძირულიდან—გეგიძეს, სოხუმიდან — ანთელავას, ოზურგეთიდან — გრუზშვეინოვს, ერევნიდან—როსტომაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრი—რუსული სექტორი

„Разлом“—ლავრენევის. დადგმა ტატიშჩევის

თანამედროვე სოციალური დრამა თანდათანობით უკვე სცილდება იმ მშრალ ლოგიკურ სქემებს, რომელშიც ვთარდებოდა რევოლიუციის პირველი ხანის „აგიტკები“. ამ უკანასკნელში პუბლიცისტურად მოცემული იყო რევოლიუციონურ დღეების ქრონიკა, სამოქალაქო ომის ეპიზოდები, მაგრამ დრამატურგიული სტრუქტურა ამ აგიტკების ისეთი იყო, რომ იქ სავსებით იკარგებოდა შინაგანი ემოცია, შინაგანი დამაჯერებელი ძალა, ურომლისოდაც ლიტერატურული ფაქტი მოკლებულია ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას.

ლავრენევის „Разлом“-ი ახალი ფორმის სოციალური დრამაა. ლიტერატურულად დამახასიათებელი აქ ის არის, რომ ავტორმა შესძლო პოლიტიკური განწყობილების მთავარ ფონზე გაეშალა აგრეთვე ლირიული მომენტები (გოდუნის და ტატიანას ჩუმი სიყვარული) და თვალსაჩინოთ დაენახვებინა ძველი ყოფა-ცხოვრების მეშჩანური უნიათობა (ქსენია) და აგრეთვე ბრძოლა ძველ ინდივიდუალისტურ ზნე-ჩვეულებათა რევოლიუციონერის მოვალეობასთან (ბერსენევი). ყოფითი და ლირიული ელემენტების დაკავშირებამ პოლიტიკურ მოვლენებთან —შექმნა ის ლიტერატურული მთლიანობა, რომელიც ეგზომ საჭიროა დრამატურგიული შემოქმედებისათვის; და თუ ყოველივე ეს გაშლილია შესაფერისს სიუჟეტში—მაშინ აუცილებლად დრამატურგიული ნაწარმოები ლიტერატურულად გამართლებულია. ლავრენევის „Разлом“-ში სავსებით დაცულია ყველა ეს პრინციპები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად შესძლო ავტორმა ლირიული მომენტის გამოყენება ამა თუ იმ პერსონაჟთან: მატროსთა მეთაური არტემ გოდუნი, რომელიც სცხოვრობს რევოლიუციით, რომელიც იმ თავითვე განიცდის სიდიადეს ბოლშევიკური გამარჯვებისას, რომელიც სულდგმულობს მარტივი, მაგრამ ღრმა ფილოსოფიური „ბოლშევიკური არითმეტიკით“: „ბურჟუებს უნდათ მოსპონ მილიონები, რომ თავისუფლად და მხნედ აცხოვრონ ათასები, ჩვენ გვინდა მოვსპოთ ათასები, რომ სიცოცხლე ვარგუნოთ მილიონებს“—აი ასეთი ტიპი, იმ ხანაში, როცა ის ემზადება პიტერის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. რომ დაამყაროს ბოლშევიკური წესწყობილება,—ბუნებრივია შორს უნდა იყვეს იმ მეშჩანურ „სიყვარულისაგან“, რომლითაც ლავრენევმა „დააჯილდოვა“ თავისი პიესის ცენტრალური ფიგურა—გოდუნი.

აქ არის პიესის ლიტერატურული სისუსტე. მაგრამ ეს სისუსტე დაჩრდილულია იმ ძლიერი ფსიქოლოგიური ხაზებით, რომელშიაც მოცემულია მთელი პიესა. კრეისერ „ზარია“-ს მატროსები კრონშტადტიდან ემუქრებიან კერენსკის „დემოკრატიულ“ მთავრობას. ყოველი დეტალი მათი ყოფა-ცხოვრებისა, ყოველი მათი სპეციფიური იუმორი გაჟღენთილია სიძულვილით ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ: ამით აიხსნება ის ენტუზიაზმი, რომელსაც ისინი იჩენდინ მოღალატე ბოცმანის და კონტრ-რევოლიუციონერ ოფიცრის შტუბეს თვითგასამართლების გამო.

მუშათა თეატრის რუსულმა სექტორმა სწორედ ამ ფსიქოლოგიურ მომენტებს მიაქცია განსაკუთრებული გულის ყური: მთავარი აქ არის პიესის აქტიორული დამუშავება და არა სცენის გარეგანი ეფექტი. ამ მხრივ რუსულმა თეატრმა აუცილებლად გაიმარჯვა.

მსახიობ **ლიუბიმოვის** განსახიერებაში აუდიტორიის წინ წარმოსდგა არა ჩვეულებრივი ტრაფარეტული მატროსი, რომელიც მუდამ მღერის, ღიღინებს, მასხრობს და თავისუფალ დროს „ძმა-ბიჭებთან“ დანავარდობს, არამედ მატროსი, რომელმაც არ იცის ისტორიის ღრმა ფილოსოფია, მაგრამ რომელსაც შეუგნია „ბოლშევიკური არითმეტიკის“ მარტივი თეზისი: მილიონები ვერ იცხოვრებენ ადამიანურად, თუ არ მოვსპეთ ათასეული მუქთახორა“; ასეთ მატროსში მოცემულია მტკიცე ნებისყოფა, ურყევი რწმენა გამარჯვებისა და რომანტიული სიმშვენიერით აღსავსე ვნებური გატაცება. ლიუბიმოვმა შესძლო მხატვრული სისწორით გადმოეცა ყველა ეს მომენტები: არავითარი ზედმეტი ჟესტი, არავითარი ცრუკლასიკური პათოსი, ბუნებრივობა თავიდან ბოლომდი, მხატვრული სიმართლე და გულწრფელი განცდა ტიპის,— აი რა ახასიათებდა ლიუბიმოვის გოდუნს. მხატვრულ ბუნებრივობის ჩარჩოში ანვითარებდა მსახიობ **ლიუბოში** კაპიტან ბერსენევის როლს. კარგი იყო **ხანდამიროვი** შტაუბეს როლში, ხოლო **სნეჟინამ** (ტატიანა) და **იგონ-დოგანოვსკაიამ** გულწრფელად სძლიეს მეშჩანური იუმორი (ქსენია) და ღრმა სულიერი ტრაღედია ახალგაზრდა ქალის (ტატიანა).

მაგრამ ყველაზე უფრო განირჩეოდა მსახიობი—კოლექტივი მატროსები. რეჟისორ **ტატიშჩევმა** შესძლო რევოლიუციონერ მატროსების სულისკვეთების მხატვრული გადმოშლა: მათი იუმორი (როცა ისინი დასცინიან „დროებით მთავრობის“ წარმომადგენელთ) და მათი წყურვილი შურისძიებისა კონტრ-რევოლიუციონერებზე—ისე მწყობრათ, ისე მხატვრულად, და ისე ძლიერი ექსპრესიით იყო მოცემული, რომ მაყურებელი მთლიანად დაიპყრო მატროსების რევოლიუციონურმა აღტაცებამ. აქ არის ამ დადგმის აუცილებელი გამარჯვება. პიესა თავიდან ბოლომდი ფსიქოლოგიურია. მატროსები—აი მთავარი პერსონაჟი ამ დადგმის, ამიტომაც ტატიშჩევის ხაზი—აქტიორისაკენ და არა გარეგანი ეფექტისაკენ—აუცილებლად ამართლებს პიესის მთავარ აზრს. კრეისერ „ზარიამ“ მოსპო შინაგანი მოღალატენი (ბოცმანი და შტაუბე) და ძლიერი ენტუზიაზმით უასწია პეტროგრადისაკენ კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, რომ გაებატონოს „ბოლშევიკური არითმეტიკა“—აქ არის აპოგეია მატროსული აღტაცების და აგრეთვე იმ ძლიერი რწმენისა თავის საქმეში, ურომლისოდაც რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს. ეს ძლიერი ფსიქოლოგიური მომენტი მუშათა თეატრის მსახიობებმა იშვიათი მხატვრულობით სძლიეს.

შ. დუდუჩავა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ბოროვსკის კონცერტი.** კონსერვატორიის დარბაზში დღეს გაიმართება პიანისტ ბოროვსკის გამოსათხოვარი კონცერტი.

◆ **„ლეილა და მეჯნუნი“.** წითელ არმიელთა კლუბში დღეს სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ლეილა და მეჯნუნი“.

◆ **„ამერიკელი ძია“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

კინო

დისპუტი სურათზე—„კანონის ძალით“

გუშინ, 16 იანვარს, ტრამვაის მუშათა კლუბში ნაჩვენებ იქნა სოვკინოს სურათი „კანონის ძალით“, რეჟისორ კულეშოვის დადგმა. დარბაზი სავსე იყო უმთავრესად მუშა-მაყურებლებით. სურათის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისპუტი იმის შესახებ, თუ რამდენათ არის მისაღები სურათი „კანონის ძალით“ იდეურათ და მხატვრულათ.

სურათის სიუჟეტათ აღებულია ჯეკ ლონდონის მოთხრობა „მოულოდნელი“. ჰოლანდიელი, შვედი, ამერიკელი და ორი ინგლისელი, რომელთა შორის ერთი ქალია, გამდიდრების სურვილით გატაცებული მიდიან შორეულ ჩრდილოეთში ოქროს მადნების დასამუშავებლათ. ერთი მათგანი, რომელიც მსახურათ ახლავს დანარჩენებს, აღმოაჩენს ოქროს. დამქირავებელნი მას ოქროს ჩამოართმევენ. ამ ნიადაგზე იბადება შური ოქროს მაძიებელთა შორის, რომელიც იმით თავდება, რომ ის, ვისაც ოქრო ჩამოართვეს, ჰკლავს ორ თავის თანამგზავრს. დამნაშავეს დაატყვევებს ცოცხლად დარჩენილი ქალი და მეხუთე ამხანაგი. მკვლელი ხელფეხშეკრული გდია გამოზაფხულებამდე იმის მოლოდინში, რომ ხელისუფლება მოვა და ბოროტმოქმედს „კანონის ძალით“ გაასამართლებს. როცა ხელისუფლების მოსვლის ცდა უნაყოფო გამოდგა, ცოცხლად დარჩენილებმა თვით მოაწყვეს გასამართლება, ერთ და იმავე დროს ითამაშეს მსაჯულის და მოწმის როლი, დამნაშავეს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა და თვითვე მოიყვანეს განაჩენი სისრულეში, თვითვე დაიტირეს დასჯილი.

სურათი, ამრიგად, ისახავს მიზნათ აჩვენოს მაყურებელს ბურჟუაზიის ცხოველური სიხარბე ოქროსადმი სარწმუნოების სახელით, დაცინვა ადამიანზე და კანონიერების იდიოტიზმამდე დაყვანილი ფეტიშიზმი, რომელსაც ადგილი აქვს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამასთან ერთად სურათის დამდგმელნი ცდილან დაეცვათ სანახაობითი ელემენტიც (ოქროს მოპოების პროცესი).

მიზანი, როგორც ვხედავთ, მისაღებია, იდეოლოგიური ნაკვეთი სწორი და მიზანშეწონილია საბჭოთა საზოგადოებრივობის თვალსაზრისით, მაგრამ... სურათი სრულიად წინააღმდეგ ეფექტს ახდენს. ეს იმიტომ. რომ „კანონის ძალით“ ვერ არის გამართლებული ვერც მხატვრულათ, ვერც ფსიქოლოგიურათ და ვერც ტეხნიკურათ. ამასთან ერთათ მნიშვნელოვნათ მოიკოჭლებს თამაში. განსაკუთრებით სუსტია ქალი (ხოხლოვა), რომლის გამომეტყველება უაღრესათ ტრაგიკულ მომენტში უაღრესათ კომიკურია. ყოველივე ამით აიხსნება ის თითქმის ერთსულოვანი აღშფოთება, რომელიც თამაშმა მუშებს შორის გამოიწვია „კანონის ძალით“-მა. ვერც თვით რეჟისორ კულეშევის გამოსვლამ დამცველის როლში, ვერც სურათში მონაწილე მსახიობების დასწრებამ დისპუტზე ვერ შეაჩერა ის ბუნებრივი უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც მუშებში გამოიწვია სურათმა. სურათის ერთერთ მთავარ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მთელი ექვსი მოქმედების განმავლობაში აუდიტორია შეპყრობილია რაღაც მისტიურ ჟრუანტელით. 12 ორატორებისაგან მხოლოდ ორმა ილაპარაკა სურათის სასარგებლოთ და მათ შორის ერთი თვით რეჟისორი იყო.

აუდიტორიის ერთსულოვანი დასკვნა ასეთია: „შორს ასეთი სურათები“, „რაც შეიძლება ახლო მუშა მაყურებლის იდეოლოგიურ და ესთეტიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ“.

ვ. ზ.

სასამართლო

ამბავი მთავარ საავადმყოფოში

მოქ. ჯორბენაძე დადიოდა სამკურნალოდ მთავარ საავადმყოფოში. ექიმების დასკვნით მას ჰქონდა ეპილეპსიის ნიშნები და საჭიროებდა ხანგრძლივ მკურნალობას.

გასული წლის 20 დეკემბერს მოქ. ჯორბენაძე ჩვეულებრივ მივიდა საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა, რომ მისაღებ ოთახში ავადმყოფების დიდი რიგი იყო, ჯორბენაძემ „შინაურ კაცივით“ შეაღო მორიგე ექიმის კაბინეტი და ბოდიშიც არ მოუხდია სხვა ავადმყოფების წინაშე.

— მოითმინეთ, მოქალაქევ. თქვენი რიგი მოვა და მიგიღებთ, უთხერს ჯორბენაძეს.

— მე ცდის დრო არა მაქვს. ეხლავე სისხლი უნდა გამისინჯოთ. სანამდე უნდა ვიცადო, —ხმა ამაღლებით ლაპარაკობს ჯორბენაძე.

ეს კიდევ არაფერი. ჯორბენაძემ გააღირა თავი და შევარდა საოპერაციო ოთახში, სადაც ავადმყოფს ოპერაციას უკეთებდნენ.

საოპერაციო ოთახში ჯორბენაძემ ასტეხა ყვირილი. დაიწყო ლანძღვა უშვერი სიტყვებით.

ექიმები იძულებული გახდენ შეეწყვიტათ ოპერაცია. ექიმმა ჟვანიამ ჯორბენაძეს დაუწყო დამშვიდება და თავაზიანი რჩევა-დარიგებით გამოიყვანა გარეთ.

როგორც კი დამშვიდება დაეტყო ჯორბენაძეს ექიმი ჟვანია მობრუნდა და გაეშურა თავის საქმეზე.

ჯორბენაძე დაეწია ჟვანიას და თავში სთხლიშა ჯოხი. დარტყმა ისე მაგარი იყო, რომ ჯოხიც გადატყდა და თავიც საგრძნობლად დაუზიანდა ექიმს.

ჯორბენაძე დააპატიმრეს.

საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოს. გამომძიებელმა ამხ. თულაშვილმა უკვე დაასრულა საქმის გამოძიება.

უმთავრესად გამოსარკვევი იყო შემდეგი: იყო თუ არა ჯორბენაძე ეპილეპსიურ მდგომარეობაში ბოროტმოქმედების ჩადენის დროს და საერთოდ მოელოდა თუ არა მანამდე დამბლა.

ექსპერტების დასკვნით, მართალია ჯორბენაძე ეპილეპსიით შეპყრობილი ავადმყოფია, მაგრამ 20 დეკემბერს სავსებით ნორმალურ მდგომარეობაში იყო და ის აფექტი, რომელიც მან გამოიჩინა, იყო ფიზიოლოგიური და არა პათოლოგიური.

ჯორბენაძეს წარდგენილი აქვს ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 90 მუხლში: ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფა სამსახურის ასრულების დროს.

საქმე მალე გაირჩევა.

ყალბი კონიაკი

თბილისში არსებობდა კონიაკის დამამზადებელი ფირმა „კოლოკოლ“ რომელიც ეკუთვნოდა მოქ. **დავით დავიდოვს** ფირმა უშვებდა ხუთ ვარსკვლავიან „ნატურალურ“ კონიაკს.

კონიაკის სურნელება იმდენად სპეციფიური იყო, რომ მან მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. კონიაკი შეამოწმეს და შიგ აღმოჩნდა ისეთი ნივთიერებანი, რომლის გარევა კონიაკის სპირტში აკრძალულია. დავიდოვი დააპატიმრეს.

საქმე გაარჩია თბილისის სამაზრო —საქალაქო სასამართლომ.

დავიდოვს მიესაჯა 6 თვის ციხე და 1987 მანეთის გადახდა სააქციზო უწყების სასარგებლოდ. ამნისტიის ძალით დავიდოვს სასჯელი მოეხსნა.

ყალბი კონიაკის მეორე „გმირი“ გახლდათ **აშოთ მელქუმიანცი.**

მის ფირმას ერქვა „არიოლი“. ისიც ყალბ კონიაკს ასაღებდა თბილისის ბაზარზე.

მელქუმიანცს მიესაჯა [illegible] თვის ციხე. მანვე უნდა დააკმაყოფილოს სააქციზო უწყების სარჩელი, რომლის რაოდენობას გამოარკვევს სამოქალაქო სასამართლო.

ამნისტიით სასჯელი მოეხსნა.

გაჭირვება მოიმიზეზა

გრიგოლ მიხეილის ძე საყვარელიძე მუშაობდა სურამის სადგურის მოლარის თანამდებობაზე. ცხოვრობდა, ასე ვსთქვათ, გვარიანი კარგად, უფრო უკეთ, ვინემ მისი კატეგორიის სხვა მოსამსახურეები. ფერზედაც და ჯანზედაც კარგად იყო, მაგრამ ბოლო დროს ცოტა „ციებ-ცხელება“ დააწყებია, როცა მის სალაროს რევიზია ეწვია.

რევიზიამ ნახა, რომ სალაროს აკლია 631 მანეთი.

— სად არის ეს თანხა?—ეკითხებიან საყვარელიძეს.

საყვარელიძემ ჯერ არ გაიტეხა იხტიბარი და კამათი დაუწყო სარევიზიო კომისიის წევრებს შემოსავალ-გასავლის ჯამის სისწორის შესახებ.

ბოლოს, როცა საქმეს ცუდი ხასიათი ეძლეოდა, საყვარელიძემ განაცხადა:

— გაჭირვების ბრალია; ისეთი რამეები შემემთხვა, რომ ეს ფული შემომეხარჯა... თქვენ იცით და თქვენმა პატიოსნებამ.

საყვარელიძე დააპატიმრეს. საქმე გაარჩია სურამის უბნის სასამართლომ.

საყვარელიძეს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 14 თვით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინწინ ღამის 11 ს. იოდით თავი მოიწამლა სიმონ ივანეს ძე ცომაიამ (მცხ. კომუნალური ქ. № 61—მოქ. ცომაია მოთავსებულია ქალაქის პირველ საბჭოთა საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი — ოჯახური უსიამოვნებაა.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ დღისით თავის მოკვლის მიზნით მტკვარში გადავარდა სირანუშ სარქისიანცი.

სარქისიანცის ქალი გახრჩობას გადაარჩინეს თავის დახრჩობის განზრახვის მიზეზი რომანიულია.

ქურდი მეეზოვეები

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მეეზოვე ხაჩატურ კირაკოზის ძე არუთინოვი და ალექსი გალუსტის ძე სიმონიანცი.

გამოირკვა, რომ ხსენებულმა პირებმა მოქ. გრ. შენგელაიას (მცხ. გრიბოედოვის ქ. № 6) მოპარეს 10 ფუთი რკინა.

საპარიკმახეროს გაქურდვა

გუშინწინ ღამით გაქურდეს საპარიკმახერო (მუხრანის ქ. № 25); წაიღეს ხელსაწყოები და ერთი ყუთი პაპიროსი. ერთი ბოროტმოქმედთაგანი დააპატიმრეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე. იგი აღმოჩნდა გიორგი ალექსანდრეს ძე დალაქიშვილი.

ჩხრეკის დროს დალაქიშვილის ბინაზე იპოვნეს 200 მანეთის ნაქურდალი ნივთები.

წყალსადენის მილის დაზიანება

კვირას, 15 იანვარს, დღისით არსენას ქუჩაზე № 38 სახლის პირდაპირ გასკდა წყალსადენის მთავარი სამაგისტრალო მილი, საიდანაც ამოხეთქა წყალის მეტად ძლიერმა შადრევანმა. შადრევანი ორ სართულიან სახლის სიმაღლეზე ისროდა წყალს. სასწრაფოდ გამოიწვიეს ოსტატები წყალსადენის სამმართველოდან და დაზიანებული მილი შეაკეთეს.

ტრამვაის დაჯახება

გუშინ დღისით ტრამვაის ვაგონი № 123 პლეხანოვის პროსპექტზე № 27 სახლის პირდაპირ დაეჯახა ეტლს. ეტლი დაიმსხვრა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ დაჯახება არ მომხდარა ვატმანის დაუდევრობით.

600 მანეთის გამოტყუება

გუშინწინ სოფ. რუისთავის მცხოვრებმა ზაქარია ხარებამ, რომელიც თბილისში მანუფაქტურის საყიდლათ ჩამოვიდა, შევიდა მუშკოოპის მაღაზიაში და საქონელს ათვალიერებდა. გამგემ უთხრა ხარებას, რომ საერთო წესის მიხედვით, მას მანუფაქტურა მიეცემა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით.

ამ ლაპარაკს უსმენდა ვიღაც მესამე პირი. როცა მოქ. ხარება მაღაზიიდან გამოვიდა, უცნობი დაეწია მას და აღუთქვა, რომ ერთ-ერთი დაწესებულების საშუალებით დიდძალ საქონელს გამოატანინებდა მას საფეიქრო სინდიკატიდან. ზ. ხარება დასთანხმდა. უცნობმა ხარებას გამოართვა 600 მანეთი მანუფაქტურის „შესაძენად“ და მიიმალა.

რკინისგზაზე

ხაზის გამაგრება

გაზაფხულის წყალდიდობა ყოველთვის საშიშროებას უქადის რკ. გზას. რათა ეს საშიშროება წელს თავიდან იქნეს აცილებული, ა.-კ. რკ. გზებზე უკვე დაწყებულია სათანადო მუშაობა.

იმ ადგილების გასამაგრებლად, სადაც შარშან ადგილი ქონდა ხაზების წარეცხვას, მზადდება ქვა, სილიანი ტომრები და სხვა.

წელს რკ. გზა გაზაფხულის წყალდიდობას სავსებით მომზადებული შეხვდება.

ორმაგი სატელეფონო კავშირი

თბილის-ლენინაკანის შორის სადისპეტჩერო სატელეფონო კავშირის დასამყარებლად, ყველა სამანძილთაშორისო სადგურებზე იდგმება სპეციალური შვედური სისტემის ტელეფონები.

გარდა ამისა, ნავთლუღ-ლენინაკანის უბანზე სწარმოებს მუშაობა დამატებით სადგურთაშორისო სატელეფონო კავშირის მოსაწყობად. ამ მიზნისათვის ყველა სამანძილთაშორისო სადგურებზე და მცირე სადგურებზე იდგმება ინდუქტორული ტელეფონები.

ახალი ამერიკული ვაგონები

საქციო საზ-ბა „საქ. მარგანეცს“ განზრახვა აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროზე ადრე შეუდგეს ფოთში ახალ მძლავრ მოწყობილობის შენებას მარგანეცის დასატვირთავად.

ამ მოწყობილობის დადგმის შემდეგ საზ-ბა „საქ. მარგანეცს“ შორაპან-ფოთის უბანზე მარგანეცის გადასაზიდად განზრახული აქვს შემოიღოს ახალი ოთხ ღერძიანი ამერიკული ტიპის ღია ვაგონები.

ჭადრაკი

კაპაბლანკა რევანშს მოითხოვს

ნიუ-იორკი, 15 იანვარი კაპაბლანკამ ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით დაეხმაროს მას მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან მატჩის მოწყობაში. კაპაბლანკა წინადადებას იძლევა მოეწყოს მატჩი ამერიკაში (ადს).

კანალიზაცია

ქალაქის უდიდეს ნაწილში, განსაკუთრებით გარეუბნებში, დღემდე არ არის გაყვანილი კანალიზაცია, რის გამო ადგილი აქვს ანტისანიტარულ მდგომარეობას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა გადამდებ სენების გავრცელებას.

თბილისის აღმასკომმა ჯერ კიდევ შარშაა გაზაფხულზე გადასწყვიტა განსაკუთრებული ზომების მიღება კანალიზაციის ქსელის გასაყვანად გარეუბნებში და ამ მიზნით გადასდო სპეციალური თანხა—43.246 მანეთის რაოდენობით.

აქ თანხით კომუნალური მეურნეობა შეუდგა კანალიზაციის გაყვანას. დღემდე ნაძალადევში გაყვანილი იქნა ქუჩის მთავარი საკანალიზაციო მაგისტრალი 1.597 მეტრის სიგრძეზე, ნადიროვკაში 625 მეტრი, პეტროვსკის რაიონში—1118 მეტრი და ქალაქის სხვადასხვა ნაწილში 883 მეტრის სიგრძეზე.

საკანალიზაციო მუშაობის გასაფართოებლად თბილისის აღმასკომმა დაადგინა შემოიღოს საკანალიზაციო დანარიცხები წყლის გადასახადზე. ამ გზით აღმასკომს წინასწარი ვარაუდით წელიწადში შემოუვა 300.000 მანეთი და ეს თანხა სავსებით მოხმარდება კანალიზაციის ქსელის გაფართოებას ქალაქში.

ფიზკულტურა

„დინამო—ა“—„დინამო—ბ“

კვირას, 15 იანვარს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრი „დინამო—პირველსა“ და „დინამო—მეორეს“ შორის.

„დინამო—პირველმა“ ადვილად მოუგო შემოდგომის სეზონის პირველობის აღება „დინამო—მეორეს“ 4:2.

ფიზკულტურა ქუთაისში

ქუთაისში პროფკავშირების ხაზით არსებობს ფიზკულტურის 15 წრე; სამი წრე ჩამოყალიბებულია პროფბიუროსთან, დანარჩენი 12 კი ცალკე კავშირებთან.

ფიზკულტურის ყველა წრეებს შორის ყველაზე ძლიერ წრეთ ითვლება ამჟამად მეტყევეთა პროფკავშირის წრე, რომელიც აერთიანებს 66 მუშა-ახალგაზრდას, და პროფბიუროს წრე, რომელშიაც ჩაბმულია 55 ახალგაზრდა მუშა-კომკავშირის წევრები.

სწარმოებს აგრეთვე სექციური მუშაობა. ჩამოყალიბებულია კალათბურთის და მძლეოსნობის წრეები. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ფიზკულტურელების გასამხედროვებას. ამ მიზნით ქუთაისის პროფბიუროს განზრახული აქვს გახსნას სასროლო ტირი. განზრახულია პროფბიუროსთან ჩამოყალიბდეს აგრეთვე ჭადრაკის სექცია.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 17 იანვარი

დღეს, 17 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მიწსახკომის მოხსენება: როგორ უნდა შევარჩიოთ კარგი ნამყენი ვაზები — ქართულ ენაზე.

განსახკომის მოხსენება: სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის საკითხები —ქართულ ენაზე.

წითელი არმიის პოლიტმმართველობის მოხსენება: წითელი გვარდია — თურქულ ენაზე.

წითელ არმიელთა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე.

ავიაქიმის მოხსენება: ავიაქიმის საზოგადოების ამოცანები — რუსულ ენაზე.

გაზეთი „პროლეტარი“ — სომხურ ენაზე.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბაზრის მდგომარეობა ამიერ - კავკასიაში — თურქულ და სომხურ ენებზე.

ა. ბოროვსკის კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო კონსერვატორიიდან.

ობსერვატორიის ცნობა — ქართულ და რუსულ ენებზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

თბილისი-ნიუიორკი-ლონდონი

უკანასკნელ ხანებში ევროპაში და საბჭ. კავშირში აწარმოებენ ცდებს რად.-ცნობ. გადასაცემად ე. წ. მოკლე ტალღებით. მოკლე ტალღებით მომუშავე რადიო-სადგურების ძალოვნება არ აღემატება ერთ კილოვატს, ასეთი მცირე ძალით მას თავისუფლად შეუძლია გადასცეს ცნობები რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე.

თბილისის რადიო-გადამცემის სადგურის თანამშრომელმა გასული წლის ნოემბერში მოაწყვეს ასეთი რადიო-სადგური. იგი მუშაობს 44 მეტრიან ტალღაზე. დეკემბრის განმავლობაში სადგური აწარმოებდა ცდებს რადიო-ცნობათა გადასაცემად შორს მანძილზე მოკლე ტალღებით. პირველმა ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღეს თბილისიდან გადაცემული ცნობები კარგად ისმოდა „მატოჩკინ შარ“-ზე (თბილისიდან მდებარეობს 8.700 კილომეტრის მანძილზე) და შორეულ აღმოსავლეთში—ნოვოსიბირსკში (თბილისიდან დაშორებულია 8.100 კილომეტრით). ცდები გაგრძელდა აგრეთვე იანვრის პირველ რიცხვებშიც.

ამ დღეებში ამიერ-კავკ. ფოსტა-ტელეგრ. რადიოს სამმართველომ მიიღო ცნობა, რომ თბილისის მოკლე ტალღოვანი რადიო-გადამცემი სადგურის გადაცემა კარგად ისმის ნიუ - იორკში, ლონდონში, მანჩესტერში და შვეციაში ცნობა იუწყება აგრეთვე რომ მოკლე ტალღებით გადაცემა უფრო კარგად ისმის ასეთ შორს მანძილზე, ვინემ გრძელი ტალღებით გადაცემული ცნობები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტ. იუწყება, რომ ოთხშაბათს, 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია საბჭოთა უჯრედების თათბირი.

დღის წესრიგშია: საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგები საბჭოთა უჯრედების მუშაობის გარშემო. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ: საბჭოთა უჯრედების ბიუროების მდივნები და წევრები, დაწესებულებათა ხელმძღვანელი კომუნისტები და რაიკომების პარტმუშაკები. თათბირზე მოწვეულნი არიან აგრეთვე ამ.-კავკასიისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების ხელმძღვანელი მუშაკები და საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ფრაქციის წევრები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ამხ. ივ. ნიკ. ძე ჩხეიძეს, პიმენ სოხაძეს, შალვა მაღრაძეს და ახმედ ახმედოვს სასწრაფოდ გამოცხადდენ ხსენებულ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 11).

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 17 იანვარს საღამოს სრულ 5 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტების შენობაში (რუსთაველის პროსპ. 20) მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მე-14-ტე მოწვევის მეცხრე პლენუმი, თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატებთან ერთად.

პლენუმი ყველა წევრ-კანდიდატების ვთხოვთ დაუგვიანებლად გამოცხადდენ აღნიშნულ ადგილზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი —**სილაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე ამავე რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-მე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ მეხუთემეტე სამაზრო საქალაქო კონფერენციაზე არჩეული დელეგატები მანდატების მიღებისათვის აუცილებლად უნდა გამოცხადდენ რაიონულ კომიტეტებში ანკეტების შესავსებათ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

არსრაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრკანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. გალაქტიონ ნუცუბიძეს, ომიაძეს, გიგო კიკნაძეს, პილ. კიკალეიშვილს, ვ. ხუტულაშვილს, ალექსანდრე ჩიჩელაშვილს, ლოლა ბიბინეიშვილსა და გრ. სვანიძეს გამოცხადდენ დღეს, 17 იანვარს დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

დღეს, 17 იანვარს ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება დიასახლისთა საერთო რაიონული კრება საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგანიზ. ძველ დელეგატებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა.

შრომის ბირჟაში

თბილისის შრომის ბირჟა, დღეს, 17 იანვარს სამუშაოზე გზავნის შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექციიდან: კირილე ჟუჟიკაშვილი; შალვა მურასფაშვილი, სამსონ კურტანიძე; ნიკო მხითაროვი; დავით ზაუტაშვილი; ვასილ ხუბეშოვი; სარდიონ იოზელიშვილი. **მედიცინის მუშაკთა სექციიდან:** ოლღა ჰინჭარაძე; ესაკია-სიორიძეს ნინო, ვართანუშ ერშჩიანი; მარიამ ყანჩაველი; მარიამ აშჩიანცი; ევგენია სოკოლოვა; მარუსია ჩაგრიძე; გიორგი ხუნდაძე; ვიაჩესლავ მაღრაძე; ნინო გიორგაძე; მარიამ ვეტცელი; ტუტუნა ფიტისენკო; ბრონისლავ გუცი; დარია ბოიცოვა. ამასთან მიდსექცია უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ **დუშეთის მაზრაში** სოფ. მაღაროს კარის საექიმო პუნქტზე საჭიროა: ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 100 მანეთი., უფასო ბინით, ქ. **ახალციხეში**—საავადმყოფოში ბებია-ექიმის თანაშემწე ჯამაგირი 40 მანეთი. **მცხეთის** ბავშვთა ახალშენში, ბებია ქალი, ჯამაგირი 37—50 კაპ.; ბინა გათბობა, და განათება. დაწვრილებით პირობებთან გასაცნობათ მსურველებმა უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. **გოგეშვილს. მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** სპირიდონ ხმალაძე; სვიმონ მძინარაშვილი; ევტიხი ბერიძე; ილიანე ბაქრაძე; ნიკოლოზ დავითაშვილი; ოგანეს ვოსკანიანცი; არტავაზ ნაზარიანი; კონსტანტინე პავლოვსკი; გიორგი იარალოვი; პავლე ტიხმაროვი; ამაიაკ ხაჩატურიანი; გევორქ საკიანი; მიხეილ მიხაილოვი; იოსებ წიკლაური; ივანე [illegible]; ადი-ბაბა-გუსეინ ოღლი; მხითარ [illegible]; ირზა-ოღლი-გაჯი

იურიდიული დახმარება

სტუდენტს კავშ. წევრს წიგნაკი № 14/16124.

კითხვა

ვარ უმუშევარი, სტუდენტი, [illegible] მაქვს არავითარი [illegible] ყოველთვიური დახმარებისა 25 მანეთის ოდენობით ვცხოვრობ საპიორის ქუჩაზე, სახლი № 32, მიკავია ერთი ოთახი 25 კვ. მეტრი.

გთხოვთ გამაგებინოთ რამდენი უნდა გადავიხადო ოთახის ქირა?

პასუხი

ბინის ქირის დებულების 14 მუხლის თანახმად თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ოც-ოცი კაპ. კვადრატიულ მეტრზე.

კავშირის წევრს წიგნაკი № 334

კითხვა

ვარ დაზღვეული, უმუშევარი სტუდენტი. 1924 წელში ჩემმა ამხანაგმა შემიყვანა ოთახში. ერთი წლის შემდეგ ამხანაგი წავიდა. ოთახი დამრჩა მე თვეში 10 მანეთად; სახლის პატრონის ნებართვით ჩემთან საცხოვრებლად მოვიწვიე ამხანაგი. ქირას ორივე ვიხდით ერთად სისტემატიურად, დღეს ამხანაგი მეუბნება —ოთახი ჩემია და დამიცალეო. შეუძლია თუ არა, რომ გამომასახლოს ოთახიდან ჩემმა ამხანაგმა ან სახლის პატრონმა?

პასუხი

ვინაიდან თქვენ ოთახის დამქირავებელი ხართ. მოიწვიეთ ამხანაგი თქვენთან ერთად საცხოვრებლად ამ ოთახში, არც ამ ამხანაგს და არც სახლის პატრონს არ შეუძლიათ გამოგასახლონ ოთახიდან, უკეთუ თქვენ სისტემატიურად იხდით ქირას.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. მეჯვრისხევში ა. წ. 14 იანვარს გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი პატარა

ქუქუნა

რასაც ვაუწყებთ ნაცნობთ-ნათესავებს ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ ვასილის ძე და ნინა ივანეს ასული, დები: ეთერი და ელიკო ხახუტაშვილები 1115

ღრმად დამწუხრებულნი: დიდედა ეკატერინე, პაპა ვასილი, ძამიდა ნინო; ბიძები: გიორგი და ლევანი ხახუტაშვილები, ბიძა ნიკოლოზი ძალუა მარიამი და ბიძაშვილი ოთარი ლოლაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროვოდ გამოასალმა სიცოცხლეს მათი საყვარელი პატარა

ქუქუნა ნიკოლოზის ასული ხახუტაშვილი

ა. წ. 14 იანვარს სოფ. მეჯვრისხევში. 1115

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი და გულდათუთქულნი: მეუღლე პელაგია როსტომის ასული, შვილები ნიკოლოზ და თამარ, სიძე ივანე ზოსიმეს ძე ხუბულავა და შვილიშვილი პატარა ბაჩიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს უსაყვარლესი და მარად დაუვიწყარი

ლევან იოსების ძე გოგნიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე 19 თებერვლის ქ. № 12. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დედა ელისაბედ ქაიხოსროს ასული მიქელაძე, ქალიშვილი მარიამ მიქელაძე—ბაგრატიონისა ქმრით ადამით, და ნინო ამირაჯიბი, და ძმა ზაალ მიქელაძე მეუღლით იუწყებიან უფროსი ძმის

ალექსანდრე პლატონის ძე მიქელაძის

გარდაცვალებას ქალაქ ქუთაისში 16 იანვარს დილის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 18 იანვარს, ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან—ჯაფარიძის ქ. № 58. 1116

ღრმად დამწუხრებულნი დედა სალომე ნიკოლოზის ასული, მამინაცვალი არტემ დავითის ძე და ძმა ალექსანდრე იოსების ძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 16 იანვარს დილის 6 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ბარბარე იოსების ასული გადახაბაძე

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 18 იანვარს, დღის 4 საათზე, ბინიდან—ყიფიანის ქ. № 31, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1117

აპოლო სოლეი არფასტო

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

მთის კანონი

დადგმა რეჟისორ ზ. მიხინი ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში: (ცნობილ სურათის „აბრეკ ზაური“-ის გმირი) დამსახ. მსახ. ვ. გუნია, ვ. ბესატაევი ნ. სანოვი, ნ. განტარინი, ა. სემიონოვი, გამრეკელი, ანდრონიკოვა-კახიძე და სხვ.

დარბაზი

უკანასკ. თბილ. მოსკოვში გაგზავნის წინ

ვარიეტე

მთ. როლებში ლია-დეპუტი. ემილ იანინგსი

მალე: გარი პილ სურ. უთაო მხედარი



ა. ჩხენკელი — ბიოლოგია (სახელმძღვანელო მეორე საფეხურის სკოლებისათვის) გვ. 215. ფასი 1მან. 50 კაპ.

ა. ხარაბაძე — მათემატიკურ ამოცანათა კრებული (სახელმძღვანელო მეექვსე და მეშვიდე ჯგუფისათვის. გვ. 236. ფასი 1 მ. 50 კაპ.

ს. იაშვილი — მსოფლიოს მოკლე გეოგრაფია (ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია) 11 ნაწ. გ. 248 ფასი 1 მან. 50 კაპ.

429 ნ.

25—9

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა.**

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

13—1 **ვ. მ. მუხაძე.**

დადგენილება № 130

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა

1928 წ. იანვრის 14.

სავალდებულო დადგენილება № 128-ის მე-2-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე ნაწილის გაუქმების შესახებ.

ქ. თბილისში და მის მაზრაში ელექტრონის განათების, ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელის გაფუჭებისა და ამ გაფუჭებასთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევათა ასაცილებელ ღონისძიებათა შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების № 128-ის მე-2-ე მუხლის შესაცვლელად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

„სავალდებულო დადგენილებიდან № 128“ (რაც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტი“-ს, „მუშა“, „ზარია ვოსტოკას“ და „რაბოჩაია პრავდა“-ს № 1—1928 წ) ამოშლილ იქნეს მე-2 მუხ. მე-2 და მე-3 ნაწ. დაწყებული სიტყვებიდან „უკეთუ გამოირკვევა, რომ ხაზის და მოწყობილობის გაფუჭება... ბოლომდე, დათავებული სიტყვებით: „მე-203¹ მუხლ. 2-ე ნაწილის თანახმად გამოიწვევს დაპატიმრებას ერთ წლამდე“.

თბ. აღმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი

ნ. 486 **მდივანი თხილავა.**

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი კობალაძე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 20 იანვარს დილის 11 საათზე დანიშნულია ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ანდრი ფარნაოზის-ძე ხორავას ქონების, დასაკმაყოფილებლად, „აჭარისტანში“ ს.მ.ჯ.ს. კონტორის ვალის 4379 მ. 88 კაპ. ხსენებული ქონება მდებარეობს ქალაქ. ფოთში მეგრელიის ქუჩაზე, და შეიცავს ერთიერთ სართულიანი შერეული მასალებისაგან სახლს 5. განყოფილებით. ზედვე მიდგმული სამზარეულო ერთი განყოფილებით, დახურული კრამიტით და აივანით აგებული ნაკვეთ მიწაზე № 23 ხოლო ძველი გეგმით კი № 405 ზომით 382 5/10 ოთხ-კუთხედი საჟენი საზღვრებთაშორის: აღმოსავლეთით ნიკოგოსოვის და თურქიანცის მამული, დასავლეთით მეგრელიის მოედანი სამხრეთით მეგრელიის ქუჩა, და ჩრდილოეთით ნაკვეთი მიწა № 404 ირინე დოლიძისა, რომელიც შეფასებულია 4000 მანეთად. ვაჭრობა მოხდება შეფასებაზე, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებ მსურველებმა, უნდა წარუდგინონ აღმასრულებელს ცნობა გათვალისწინებული 311—312 სამოქ. საპ. კოდ. მუხლების მიხედვით, და აგრეთვე საწინდარი 10 პროც. შეფასებულ თანხიდან.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატა

აცხადებს, რომ სასწორების და საზომი იარაღების ყველა მეპატრონენი, რომლებიც ჰყიდიან, ხმარობენ ან ინახავენ მათ 1927—28 წლის შესამოწმებელი დაღის დაუკვრელად, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ისინი პალატაში (ჯულაშვილის ქ. № 18. ყოფ. რტიშჩევის ქუჩა) შესამოწმებლად და დაღის დასაკრავად მიმდინარე 1928 წლისათვის.

სასწორების და საზომი იარაღების წარმოდგენის ვადა ქ. თბილისში შემდეგია:

იანვარი	—1 და 2	სამილიციო რაიონები	
თებერვალი-	3 „ 4	„	„
მარტი	—5 „ 6	„	„
აპრილი	—7 „ 8	„	„
მაისი	—9 „ 10	„	„
ივნისი	—თბილისის მაზრა		

მაზრებში სასწორების და საზომი იარაღების წარმოდგენის ვადა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ვინც დაწესებულ ვადაში არ წარმოადგენს სასწორებს და საზომ იარაღებს, მიცემული იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში ზომა-წონის შესახებ არსებულ დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია საკავშირო ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1924 წელს 6 ივნისის თარიღით.

პალატის მმართველი გოცირიძე.

ნ. 459 **საქმის მწარმოებელი ქარსელი.**

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქუჩ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს, 21 იანვარს, დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში ნ. 485

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ძოძუაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 20 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 10 იარდისუბნის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ნესტორ ხოსტარიას მოძრავ ქონებას: ბუფეტს, სასადილო გასაწევ მაგიდას და სხ. შეფასებულს 92 მანეთად, მ.ძ. „მირკურკრედიტი“-ს და სხ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 თებერვ. 1927 წ. თარიღით, №: 1115 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა.

გაზ. „კომუნისტ“-ზე მიიღება ხელისმოწერა გალის მაზრაში და ქალ. ოჩემჩირეში კონტრაგენტ კონსტ. კილასონიასთან

473 3—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექ. ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

ექიმი

პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფ ბის მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.** ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგი დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად **კუჭის** და **ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელ. 12—6

დაჰკარგა თბილისის დამზღვევ სალაროს საპენსიო წიგნაკი № 4258 დიმიტრი დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 1114

დაჰკარგა დამზღვევ სალაროს უმუშევრობის წიგნაკი № 6252—871—დავით გრიგოლის-ძე ვარდუაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1109

დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 1667 და სიღარიბის მოწმობა № 023 ოლღა ივანეს ასული ლაპიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1112

დაჰკარგა თბილისის მუშკოოპის წიგნაკი № 42584—ნათელა მუჯირის სახელზე. ჩ. გ. 1110

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 65